

№2
2018

ISSN 2587-4551



სკოლა და ცხოვრება

საქართველოს სახელმწიფო-პედაგოგიური
უნივერსიტეტი

№2
2018

ISSN 2587-4551

საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი



სკოლა და ცხოვრება

ბაგოდის 1924 წლიდან

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის
პედაგოგთა კავშირი

მთავარი რედაქტორი
ბარი ჩაფიძე

სარედაქციო კოლეგია

ოლეგი ალავიძე
შალვა ამონაშვილი
აზა ბუაძე
ლია გიგაური
ლეილა გეგეშიძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
სერგო ვარდოსანიძე
აკაკი ზოიძე
პავლე თვალთაშვილი
კახა კოპერიძე
ზვიადი ლაზარაშვილი
მეუფე იონა
ლია მარტაშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ვაჟა მიროტაძე
რუსუდან მოსიძე
ინგა შამილიშვილი
ზურაბ ცუცქერიძე
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა ხამხაძე
დიმიტრი ჯანიანი

რედაქციის მისამართი: 0182; ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7;
3700; ქ. რუსთავი, შვეჩენკოს ქუჩა №5;
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: (032)2 27-89-00;
(0341) 22-25-00; 25-37-00;
პასუხის მგებელი მდივნის: (0341) 22-45-00;
განყოფილებათა რედაქტორების: (032)2 27-89-01;
(0341) 27-51-00; 27-61-00;
გავრცელების სამსახური: (0341) 22-77-77;

სარჩევი

| | |
|--|------|
| მილოცვა | 3, 4 |
| ბარი ჩაჭიძე - აღზრდის ხელოვნება | 5 |
| ნოდარ ბასილაძე - აზროვნების გაკვეთილები ვ. ა. სუხომლინსკის პედაგოგიკურ თეორიასა და პრაქტიკაში | 8 |
| აკაკი ზოიძე - სწავლებისა და აღზრდის იცნოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიები | 13 |
| ბარი ჩაჭიძე - მასწავლებელი მოდის!" | 28 |
| ცირა თავზავაძე - კიდევ ერთხელ აგრესიის შესახებ ... | 31 |
| ლია მარტაშვილი - წიგნების წერას ღამეების თენება სჭირდება | 38 |
| მანია ჯოსაძე - იაკობ გოგებაშვილის „დედა ენით“ გზა ევროპისაკენ | 43 |
| მერი ღიასამიძე - ინოვაციური მეთოდების არჩევანის თავისუფლება მოსწავლეებისათვის | 56 |
| გიორგი არგოლიშვილი - სასწავლო ელექტრონული რესურსი ... | 62 |
| რეზო ბალანჩივაძე - აღზრდისა და განათლების ურთიერთმიმართების შესახებ | 64 |
| ჯონ დიუი - ჩემი პედაგოგიური მრწამსი | 72 |
| იაკობ გოგებაშვილი - ეროვნული სენი და წამალი | 76 |



საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „სკოლა და ცხოვრების“ რედაქცია და საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირი შობა-ახალ წელს გილოცავთ საგანმანათლებლო სისტემის ყველა მუშაკს, მშობელს და მოსწავლეს.

წარმატება, სულიერი სიმშვიდე, ბედნიერება და ბარაქა დაბედებოდეს მთლად საქართველოს.



ჩვენ ყველამ მშობლებისა და წინაპართაგან მივიღეთ გენეტიკური მემკვიდრეობა. ამ მემკვიდრეობის, გარემოებათა და პიროვნული არჩევანის მიხედვით კი ვყალიბდებით ინდივიდებად.

ეს შემოქმედებითი პროცესია, რადგან გვაქვს შესაძლებლობა, ჩვენი ქმედებების ნაწილი მოვიწონოთ, ნაწილი დავიწუნოთ, ზოგს განვერიდოთ, ზოგს მუდმივად ვებრძოლოთ და ასე გავხდეთ თანამონაწილე ჩვენი „მე“-ს გამოძეწვისა.

ავს ვაკეთებთ თუ კარგს, ეს ყველაფერი შემდეგ იმ ქვეყნად აისახება და მთელი სისავსით გამოვლინდება; ამიტომაც ჩვენს ყველა ნაბიჯს და არსებობის ყოველ წუთს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ვმოქმედებთ გონებით, სიტყვით, საქმით, გრძნობით და პასუხს ვაგებთ ფიქრზე, რომელიც გონებაში გვაქვს, საქმეზე, რომელსაც ვაკეთებთ, ტკივილზე თუ სიხარულზე, რომელსაც განვიცდით, სიტყვაზე, რომელსაც ვამბობთ, მზერაზეც, კი რადგან ეს ჩემი აზრია, ჩემი გრძნობაა, ჩემი მოქმედებაა, ჩემი სიტყვაა, ჩემი განწყობაა. მე ვქმნი ამ ყოველივეს და ჩემს „მე“-დ, ჩემს ინდივიდუალურ ყოფად ვაქცევ.

**ფრაგმენტი საქართველოს პატრიარქის
2018 წლის საშობაო ეპისტოლეიდან**

აღზრდის ხელოვნება

უკვე რამდენიმე წელია ვერაფრით მოვუძებნე ამომწურავი პასუხი კითხვას, რატომ არის, რომ ერთ ოჯახში კარგი ბავშვი იზრდება, ხოლო მეორეში ცუდი? უფრო მეტიც, ერთ ოჯახში აღზრდილი ორი ბავშვიდან ერთი კარგია, მეორე კი ცუდი? ალბათ ეს შეკითხვა ბევრ თქვენთაგანსაც დაბადებია, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, თუ იგი აზრთა და მეცნიერებათა უსიერ ტყეში შემიყვანდა, რომელსაც სახელი არ ჰქონდა... არც ფილოსოფია, არც პედაგოგიკა, არც ეთიკა, არც ფსიქოლოგია... არადა, მხოლოდ ეს კი არა, სხვა ბევრი რამეც უნდა ვიცოდეთ, რომ ბავშვი აღზარდოთ, ამიტომაცაა უდიდესი ინტერესი საოჯახო პედაგოგიკისადმი, რომელიც სათავეს გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან იღებს, მსოფლიო ვერ უმკლავდება თავის შვილებს, მშობლები ვერ ასწრებენ შეეგუონ, მიუსადაგონ თავიანთი ბავშვები შეუწყნარებლად ცვალებად ცხოვრების პირობებს. არ ძალუძთ, შესაბამისად ჩქარა ცვალონ თავიანთი პედაგოგიური შეხედულებები და აღზრდის მეთოდები. პედაგოგიკა მეცნიერებაა ბავშვთა აღზრდის ხელოვნებაზე, მაგრამ ჩვენ ერთი რამ უნდა გავარკვიოთ, ესაა ხელოვნება არა საკუთარი, არამედ მხოლოდ სხვისი შვილების აღსაზრდელად... როცა საქმე მიდგება საკუთარი შვილების აღზრდაზე, ყოველგვარი მეცნიერება, მოძღვრება მთავრდება და იწყება – კაცმა არ იცის, რა! გინახავთ ისეთი ქირურგი, რომელმაც საკუთარ გულს გაუკეთა ოპერაცია? დიახ, სხვისას ზრდიან პედაგოგები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში საკუთარს, ვერა, რამეთუ პედაგოგიური მეცნიერება შესანიშნავად მოქმედებს, როცა აღმზრდელის წინაშე ათასი ბავშვია, ხოლო სავსებით ცუდად, როცა აღმზრდელს ორი ან ერთი ბავშვი აბარია, მე აღმოვაჩინე: – ყველაზე განათლებულ მშობლებსაც კი არ გაეგებათ, რომ ორიდან ხუთ წლამდე ბავშვი გამუდმებით ჯიუტობს და მზად არის ყოველგვარი თავხედობისთვის. ეს მძიმე „ორჯერ – ორი“ ჩვენგან მხოლოდ მოთმინებას მოითხოვს, იაპონიაში ხუთი წლის ასაკამდე მოზარდმა არ იცის სიტყვა – „არა!“ – მისი არსი და მნიშვნელობა, რამეთუ იქ მათ არაფერს უშლიან და არასოდეს ეუბნებიან უარს სურვილების შესრულებაზე. დიახ, უნდა მოვახდინოთ სასწაულები, რომ არ შევაკრთოთ მოზარდი ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ მშობლებმა არ იციან, რომ ნეგატივიზმი – საერთოდ კანონია. ფიქრობენ, რომ თუ სამი წლის

ბავშვი ცუდად იქცევა და არ ასწავლე მას მოქცევა, მაშინ ის ასეთად დარჩება, სინამდვილეში ამ სწავლებით ისინი მას ხდიან ავს! საჭიროა გავიგოთ აღზრდის პროცესი, უნდა გავარკვიოთ რა ხდება ჩვენსა და ბავშვებს შორის, როცა ჩვენ მათ ვზრდით რა ძალა აქვს ჩვენს პედაგოგიურ მოქმედებას, ზოგიერთს ეს შველის თუნდაც იმიტომ, რომ ისინი იმ დღიდან უკეთ ეპყრობიან შვილებს. გრძნობენ თავიანთ შესაძლებლობათა საზღვარს და არ მოითხოვენ ბავშვებისათვის იდუმალ სრულყოფას. ბუნებრივია, ცუდისათვის ვსჯით, ვკიცხავთ, ხოლო კეთილი საქმისთვის ვასაჩუქრებთ მოზარდს. აბა სხვაგვარად როგორ მოვიქცეთ? მთელი სამყარო ხომ ამაზეა დაფუძნებული. ჯარიმებსა და ჯილდოებზე. სამყარო პრინციპულად სხვანაირად არის მონყობილი. ცხოვრება გვთავაზობს ამოცანებისა და არჩევნების მთლიან ჯაჭვს. წარუმატებელ არჩევანს უეჭველად მოსდევს უსიამოვნო, ზოგჯერ მძიმე, გამოუსწორებელი შედეგი, ხოლო კეთილზნეობისათვის ყოველთვის არ მიეზღვის ადამიანს, რადგან ცხოვრებაში ჯილდოებისა და ჯარიმების განაწილების სამართლიანობის ალბათობა უმცირესია. ცხოვრებაში სხვა უამრავი კატაკლიზმების გვერდით არსებობს გაჭირვება, დანაკარგი, უბედურება, ავადმყოფობა და ისინი ხშირად დამნაშავეთა წილად კი არ მოდის, არამედ მას ერგება, ვისაც არაფერი დაუშვებია... ნახალისებისა და დასჯის მეთოდით ბავშვის შეგნებაში პირველი დღიდანვე საფუძველს ვუთხრით რწმენას სამართლიანობაზე. მოზარდი ძალიან მალე აღმოაჩენს, რომ ჯილდო ყოველთვის როდი ხვდება იმას, ვინც სიკეთეს ჩადის და არც ავის ქმნელს ეზღვება საკადრისად! იგი ვერასოდეს შეიცნობს სამართლიანობის არსს. ვერ გაიგებს, რომ სამყარო არენა არაა, არც ბაზარია და არც სავაჭრო მოედანი. სამყარო უფრო სახელოსნოს ჰგავს. დიახ, აქ არც გაცვლა-გამოცვლაა, რომ ვთქვათ: „მე ჩავიდენ სიკეთეს და სამაგიეროს ვილაც მომიზღავს“. ადამიანი თავისი სულიერი ცხოვრებით ვაჭარი კი არა, შემოქმედია! ჩვენ გვიყვარს ადამიანები, ჩვენ ვცდილობთ სიკეთე ვთესოთ. ვშრომობთ და ვტკბებით ცხოვრებით, იმიტომ, რომ ის თავისთავად არის შემოქმედება, ცხოვრება პრობლემური ხასიათისაა და არა გაცვლითი. სამყაროს სამართლიანობა – მის შემოქმედებაში, პრობლემურობაში, ჩვენს საქმიანობასა და შრომაშია... ბუნებრივია, ჩვენ ხშირად შევხვედრივართ სიტუაციას, როდესაც მოზარდის ცუდი ქცევების გამო მის აღზრდაზე მშობლები და პედაგოგები აგებენ პასუხს, რადგან არ აუხსნეს, როგორ უნდა მოიქცეს და თუ აუხსნეს, ამის მერე თითქოს იგი გამოსწორდება. ამ მიზნით აუცილებელია მორალის გაკვეთილები, სადაც ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში უნდა ვესაუბროთ ბავშვებს, რომ არ უნდა გაიტაცონ სხვისი მანქანა, არ უნდა აიღონ სხვისი ნივთი... მაგრამ რატომ არის რომ ადამიანები, რომელთაც თვალითაც არ უნახავთ სისხლის სამართლის კოდექსი, არ ჩადიან დანაშაულს, ხოლო ისინი, რომელთაც ზეპირად იციან კოდექსის ყველა მუხლი, ხვდებიან დამნაშავეთა სკამზე. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამქვეყ-

ნად თუნდაც ერთი ბავშვი არსებობდეს, რომელმაც არ იცოდეს, რომ არათუ მანქანის, არამედ სხვისი ნემსის აღებაც კი ცუდი საქციელია, რამეთუ „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი“... ერთნაირი დამნაშავეა. ყველა მშობელი მხოლოდ კარგის კეთებას უნერგავს შვილებს, მაგრამ ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების შუქზე უამრავ ისეთ მშობელს შევხვედრივარ, რომელიც დათვურ სამსახურს უწევს შვილს და ამით მასში უზნეობის ფაქტორს აყალიბებს, ხოლო არავინ მინახავს ისეთი, რომ შვილს ცუდი რამ ჩააგონოს. ბავშვები ცუდ ადამიანებად იმიტომ კი არ იზრდებიან, რომ არ იციან, რა არის კარგი და ცუდი, არც იმიტომ, რომ უნებისყოფონი არიან, არამედ სულ სხვა მიზეზის გამო. აქ აუცილებელია ცნობილი უკრაინელი პედაგოგის ვ. სუხომლინსკის სიტყვები გავიხსენოთ: „აღმზრდელის უძლურების მიზეზი, ბავშვის აღზრდაში ის კი არ არის, რომ აღსაზრდელია გამოუსწორებელი, არამედ იმაშია, რომ თვითაღზრდის პროცესი მიმდინარეობს მცდარი გზით. აღმზრდელი ცდილობს ბავშვის სულში ამოძირკვოს ბინიერება. უკეთეს შემთხვევაში აიცილებს მის წარმოშობას, ჩასახვას. გამოცდილება კი გვარნმუნებს, რომ ამ გზით არ შეიძლება აღვზარდოთ მყარი ზნეობრივი რწმენა... მანკიერება თავისთავად ამოძირკვება, ბავშვისთვის შეუმჩნეველად ქრება და მის მოსპობას არავითარი მტკივნეული მოვლენები არ ახლავს თუ მას გამოდევნის „ღირსების ძლიერი ამონაყარი“. არადა, ამ „ღირსების ძლიერ ამონაყარს“ ყოველთვის ვერ ვღებულობთ. მომავალი თაობის აღზრდა მოგეხსენებათ, რომ ურთულესია. ჩვენ მშობლებს ხშირად ვეუბნებით, რომ ცემა ბავშვისთვის არაპედაგოგიური ხერხია და იმავდროულად მოვითხოვთ ფიზიკურად დასაჯონ ისინი. ვამბობთ, მოვეპყროთ ბავშვებს მოთმინებით და იქვე – ნუ გავანებივრებთ მათ. მოვუნოდებთ – მივცეთ მეტი თავისუფლება ბავშვებს და დავსძინთ თავის ნებაზე არ მიუშვათ ისინი, ვავალდებულებთ იყვნენ კეთილგანწყობილი ბავშვისადმი და გვსურს ამავდროულად, ძალზე მომთხოვნნი გახდნენ მათდამი... როგორც ხედავთ, ეს ცნებები დაპირისპირებულია და ერთმანეთს პროგრესულად ვერ წვდება, აქ საყურადღებოა ის ასპექტი, რომ დედებს ისე მივმართავთ, როგორც მასწავლებლებს, მაგრამ გვაკინცდება, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში დედას საყვედურს ვერ გამოუცხადებ და ვერც სამსახურიდან მოხსნი. არადა ეუბნებიან, დედავ, მოჰკიდე ხელი ბავშვის თვითაღზრდას, მაგრამ ამისათვის მთავარი ის გახლავთ, რომ თვითონ აღზარდონ საკუთარი თავი. ალბათ არც იმის გარკვევა იქნება უცხო, რომ გაზრდა სხვაა და აღზრდა კიდევ სხვა, ისე კი თვითაღზრდა, აღზრდაზე ასჯერ უფრო რთულია და დედასაც შეუძლია შეუდგეს საკუთარი თავის სრულყოფას, თუკი მას ამ მომხიბვლელი საქმიანობისათვის ექნება დრო, მაგრამ განა მარტო დრო? ამისათვის აუცილებელია კულტურა, დონე, უნარი... ისე კი მშობლებს გულწრფელად ვურჩევდი, გაცნობოდნენ გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოცემულ წიგნს: „მშობელთა სწავლების სახელმძღვანელო“.

„აზროვნების გაკვეთილები“ ვ. ა. სუხომლინსკის პედაგოგიკურ თეორიასა და პრაქტიკაში

ვ. ა. სუხომლინსკის მდიდარ პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უჭირავს მოსწავლეთა აზროვნების განვითარების საკითხებს, რასაც იგი ჯერ კიდევ სკოლამდელი ასაკის ბავშვებში იწყებდა. სკოლამდელთათვის მან შემოიღო „სკოლა ლურჯი ცის ქვეშ“, რომელსაც „სიხარულის სკოლა“ უწოდა და პატარებთან ატარებდა „აზროვნების გაკვეთილებს“, რაც, სპეციალისტების აზრით, ყველაზე ფასეულია სუხომლინსკის პედაგოგიკურ საგანძურში. აზროვნების გაკვეთილები ფაქტობრივად იყო „მოგზაურობა ბუნებაში“ – ექსკურსია ტყეში, ბაღში, მინდვრებში, მდინარის პირას და ა. შ., სადაც „ბუნების სიმშვენიერით მოხიბლული ბავშვები მშობლიურ ენაში ეძებდნენ „თავიანთ“ სიტყვებს, რომლებიც გადმოსცემენ გარემომცველ სამყაროს სილამაზეს“ (5).

ექსკურსიის დროს ბავშვები აკვირდებოდნენ ფრინველებს, მწერებს, ყვავილებს, მცენარეებს, ფოთლებს, მათ ფერისცვალებას და აკეთებდნენ ჩანახატებს, წერდნენ პატარ-პატარა მინიატურულ მოთხრობებს, ზღაპრებს და ა. შ. ყოველივე ეს ხელს უწყობდა მათი ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, აღქმის უნარის გამომუშავებას და აზროვნების განვითარებას. „კვირაში ორჯერ გავდიოდით ბუნების წიაღში, – წერს სუხომლინსკი, – ვსწავლობდით ფიქრს, არა უბრალო დაკვირვებისათვის, არამედ ფიქრის სასწავლად. არსებითად ეს იყო აზროვნების გაკვეთილები; არა მიმზიდველი გასეირნებანი, არამედ სახელდობრ გაკვეთილები“ (1, 131). ასეთ „გაკვეთილებზე“ მოსწავლეები პასუხობდნენ მასწავლებლის შეკითხვებზე, რომლებიც იწყებოდა სიტყვებით: „რატომ?“ „რისთვის?“ „საიდან იცი?“ „აბა, დამიმტკიცე“ და ა. შ. საუბარი კი ეხებოდა ბუნების მოვლენებს – სეზონურ ფერისცვალებას, ფრინველების ცხოვრებას, მათზე ზრუნვას და ბავშვებისათვის სხვა მრავალ საინტერესო საკითხს.

ვასილ სუხომლინსკის თავისი სკოლის უკანასკნელ წლიურ სამუშაო გეგმაში ჩამოთვლილი აქვს „აზროვნების გაკვეთილების“ 92 თემა. აი, ზოგიერთი მათგანი: „სულიერი და უსულო“, „უსულო დაკავშირებულია სულიერთან“, „ბუნებაში ყველაფერი ცვალებადია“, „მზე სიცოცხლის წყაროა“, „ბუნების გამოღვიძება გაზაფხულზე“, „გაზაფხულის ყვავილები“, „ზაფხულის ყვავილები“, „ვარსკვლავები ცაზე“ და ა. შ. „ბუნების წიგნის“ კითხვაში, – აღნიშნავს იგი, – მე ვხედავდი არა გასართობ დროსტარებას, არა მიმზიდველ თამაშს, არამედ მეცნიერულ ცოდნათა სამყაროსკენ მიმავალ გზას“ (1, 136). მისი მიზანი იყო, ბავშვები გარკვეულიყვნენ მოვლენათა შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებში, ბუნების კანონზომიერებათა არსში, რაც განუვითარებდა პატარებს აბსტრაქტულ აზროვნებას.

სწავლების განმავითარებელმა იდეამ, რომელზეც ახლა ბევრს ლაპარაკობენ, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხორცშესხმა სუხომლინსკის პედაგოგიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ჰპოვა.

შემოდგომის ერთ მზიან დღეს მდინარის პირას სეირნობისას ვ. სუხომლინსკი ეკითხება ექვსწლიან ბავშვებს:

– შეხედეთ, ბავშვებო, ამ ოქროსფერ ქვიშას და იმ მწვანე ბალახს... რითი ჰგვანან ისინი ერთმანეთს, ან რა განასხვავებს მათ?

– ქვიშაზე ყვავილები არ იზრდება, ბალახზე კი, – ამბობს ლუდა.

– ძროხები ბალახს ძოვენ, ქვიშას კი არა, – ისმის პეტრიკის შეძახილი.

– წვიმის შემდეგ ბალახი იზრდება, ქვიშა კი არა, – ამბობს ფიქრში წასული მიშა...

თანდათან ბავშვების გონებაში იკვეთება პირველი წარმოდგენა ცოცხალსა და არაცოცხალ ბუნებაზე, სულიერსა და უსულო საგნებზე, მაგრამ პედაგოგი ამით როდი კმაყოფილდება. მას სურს, ასწავლოს ბავშვებს, რით განსხვავდება სულიერი უსულოსაგან.

– სულიერი მოძრაობს, უსულო კი, უძრავია, – ამბობს კოსტია.

მას თითქმის ყველა ეთანხმება, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისმის ხმები:

– ჯოხი მოძრაობს, მიცურავს მდინარეზე, მაგრამ ცოცხლია?

– ტრაქტორი მოძრაობს, მაგრამ ის ხომ ცოცხალი არაა?

– აბლაბუდა ირხევა ჰაერში, მაგრამ მას განა სული უდგას?..

ბავშვები ისევ ფიქრობენ, მსჯელობენ. ბოლოს ისინი ასკვნიან, რომ სულიერი იზრდება, უსულო კი არა. მაშასადამე, სულიერსა და უსულო საგნებს შორის განსხვავება მათ ზრდაშია და არა მოძრაობაში (1, 132-134).

შემდეგ ბავშვები ამავე გზით იგებენ, რომ სულიერ საგნებს არ შეუძლიათ მზისა და უსულო საგნების გარეშე არსებობა.

„ბუნებაში ყველაფერი ცვალებადია“, – ასეთია მომდევნო საუბრის თემა, რაშიც ბავშვები ადვილად რწმუნდებიან ხეხილის ბაღში ხეებზე წელიწადის სხვადასხვა დროს დაკვირვების შედეგად.

ბუნების მოვლენებზე დაკვირვების გარდა, ექსკურსიის დროს ბავშვები გამუდმებით ეკითხებოდნენ თავიანთ საყვარელ მასწავლებელს: რატომ იშლება დილით ბაბუანვერა, შუადღისას კი იხურება? როგორ ჩნდება ელჭექი? რატომ ეკიდება რკინას ჟანგი? რატომ არ ჯდება მტრედი ხეზე? რატომ წვავენ ბაღში ჩაღას ხეების ყვავილობისას? რატომ ისმის ტყეში ექო? რა არის ცისარტყელა? რატომ არაა ზამთრობით ჭექა-ქუხილი? რატომ დაფრინავენ მერცხლები წვიმის დროს დაბლა? რატომ თესავენ საგაზაფხულო ხორბალს შემოდგომაზე, საშემოდგომოს კი გაზაფხულზე? რატომ ანათებენ ციცი-ნათელები? (1, 122-123).

მოსწავლეთა აზროვნების განვითარების მიზნით ვ. სუხომლინსკი სხვა საშუალებებსაც მიმართავდა. სეირნობისა და დასვენების დროს იგი ხშირად ავარჯიშებდა ბავშვებს ამოცანა-გამოცანების ამოხსნა-

ში, როგორცაა: „მგელი, ცხვარი და კომბოსტო“, „თავი და ფეხები“, „ასი ბატი“ და სხვა. ერთ-ერთი მათგანი ასეთია: „მცირერიცხოვანი სამხედრო რაზმი მიუახლოვდა მდინარეს, რომელიც უნდა გადაელახათ. ხიდი ჩატეხილი აღმოჩნდა, მდინარე კი ღრმაა. რა უნდა ელონათ? უცებ ოფიცერმა ნაპირთან ორი ბიჭუნა შენიშნა, რომლებიც ნავში თამაშობდნენ. მაგრამ ნავი ისეთი პატარა იყო, რომ მასში შეიძლება ჩამჯდარიყო მხოლოდ ერთი ჯარისკაცი ან ორი ბიჭუნა, არა უმეტეს. და მაინც ყველა ჯარისკაცმა სწორედ ამ ნავით გადასცურა მდინარე. რანაირად?“ (1, 149-150).

მეორე გამოცანა ასეთია: „ორი ბიჭი ცხვრებს მწყემსავს. თუ პირველი მეორეს მისცემს ერთ ცხვარს, ორივეს თანაბრად ეყოლება. თუ მეორე მისცემს პირველს ერთ ცხვარს, მაშინ მას მეორეზე ორჯერ მეტი ეყოლება, რამდენი ცხვარი ჰყავთ მწყემსებს ცალ-ცალკე?“ (1, 150). ან კიდევ: „ეზოში ქათმებსა და ბოცვრებს ვხედავთ. მათ სულ 10 თავი და 24 ფეხი აქვთ. რამდენი ქათამია ეზოში სულ და რამდენი ბოცვერი?“ (1, 150).

დანყებითი კლასების მოსწავლეებს სუხომლინსკი ხშირად ავარჯიშებდა ასევე ზღაპრებისა და პატარ-პატარა მოთხრობების წერაში. თავად მან შექმნა „ეთიკის ქრესტომათია“, რომელშიც მრავალი ზღაპარი და მინიატურული მოთხრობაა შესული. ისინი დაწერილია უბრალო, ბავშვებისათვის მისაწვდომი ენით და აშკარად გამოხატული მორალური მიმართულება აქვს.

პავლიშის საშუალო სკოლაში, ვ. სუხომლინსკის მემორიალურ-პედაგოგიურ მუზეუმში ინახება ორმოცდაათამდე ტომი, რომლებშიც მოთავსებულია დიდი პედაგოგის მოსწავლეთა მიერ შედგენილი საუკეთესო ზღაპრები. ბევრი მათგანი ცალკე კრებულშია შესული.

აი, როგორ ასწავლიდა სუხომლინსკი მოსწავლეებს ზღაპრების წერას: – ბავშვებო, ეს ხოჭოა, – მიმართავს იგი ერთ-ერთი გასეირნებისას ექვსწლიან ბავშვებს, – იგი დაფრინავს. წარმოიდგინეთ, რომ ფრენის დროს ხოჭო წამოეგო ეკალზე და დაჭრილი მიწაზე დავარდა. ეს შენიშნეს სხვა ხოჭოებმა, მისმა ამხანაგებმა და დასახმარებლად გაეშურნენ. მაშ, ბავშვებო, შემდეგ რა მოხდებოდა?

პატარები ფიქრობენ, მსჯელობენ და თავიანთ ნააზრევს გადმოსცემენ:

– მეგობრებმა მაშინვე შეუხვიეს ჭრილობა.

– შემდეგ მოვიდა სასწრაფო დახმარების მანქანა და იგი საავადმყოფოში წაიყვანეს.

– იქ ჭრილობა კარგად შეუხვიეს.

– გადაუსხეს სისხლი...

ამ დროს ვილაც ამატებს:

– შემდეგ მოფრინდნენ პატარ-პატარა ხოჭოები, მისი ვაჟიშვილები... (2, 40-41).

ზღაპრების შედგენაზე მუშაობისას სუხომლინსკი მიზნად ისახავდა არა მარტო მოსწავლეთა აზროვნების განვითარებას, არამედ,

უპირველეს ყოვლისა, მათგან ჭეშმარიტი მამულიშვილების ჩამოყალიბებას.

მოსწავლეთა აზროვნების განვითარება, სუხომლინსკის აზრით, შესაძლებელია მხოლოდ პრობლემური სწავლებისას. აქ იგი იშველიებს დიდი გერმანელი კლასიკოსი პედაგოგის ა. დისტერვეგის სიტყვებს, რომ კარგმა მასწავლებელმა კი არ უნდა გადასცეს მოსწავლეებს ჭეშმარიტება, არამედ უნდა ასწავლოს მათ ჭეშმარიტების აღმოჩენა. ცოდნის დონის შემოწმებისას მოსწავლეებს არასოდეს არ უნდა დაეფუსვათ ისეთი კითხვები, რომელთა მზამზარეული პასუხები სახელმძღვანელოშია. მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლემ უნდა იფიქროს, იმსჯელოს, იაზროვნოს, მოახდინოს შედარებები და დაადგინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. ასეთ გონებრივ ოპერაციებს მოსწავლე მიმართავს მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები პრობლემურია. აი, როგორი კითხვები იქნა დასმული გაკვეთილზე, წერს ვ. სუხომლინსკი, თემის – „ბატონყმობის გადავარდნა რუსეთში“ – შესწავლისას: ბავშვებო, რა მოხდებოდა რუსეთში, მეფის ხელისუფლებას გლეხობა რომ არ გაეთავისუფლებინა? ვინ იყო დაინტერესებული ბატონყმობის შენარჩუნებით და რატომ? რომელი საზოგადოებრივი ჯგუფის პოზიცია გაძლიერდა 1861 წლის რეფორმის პროცესში? როგორ გესმით ნეკრასოვის მიერ 1861 წლის რეფორმის შედარება „დიდი ჯაჭვის“ განწყვეტასთან, რომლის ერთი ბოლო მოხვდა მემამულეს, მეორე კი – გლეხს? თუ რეფორმამ არ გააუმჯობესა გლეხთა მდგომარეობა, მაშ, რატომ ვლასპარაკობთ ბატონყმობის გადავარდნის პროგრესიულ როლზე? (4, 266).

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლებელია მრავალი ფაქტობრივი მასალის ანალიზის გარეშე და რაც უფრო მეტი მასალა იქნება გამოყენებული, მით უფრო უკეთ იქნება გააზრებული და გაგებული კითხვა.

ანალოგიურად ხდება განვლილი მასალის გამეორება. დავუშვათ, ამბობს სუხომლინსკი, მოსწავლეები იმეორებენ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში. ყოველივე ამას სახელმძღვანელოში დათმობილი აქვს რამდენიმე ათეული გერდი, რომლის წაკითხვას დიდი დრო სჭირდება. ითვალისწინებს რა ამას, მასწავლებელი მოსწავლეებს ურჩევს მოამზადონ პასუხები ასეთ კითხვებზე:

რომელი რევოლუციური და რეაქციული ძალები ეჯახებოდნენ ერთმანეთს გლეხთა მოძრაობის დროს? რატომ მარცხდებოდა ექსპლოატატორულ საზოგადოებაში გლეხთა ყოველი მოძრაობა? რა მოთხოვნებს აყენებდნენ გლეხები? ვინ იყო მათი მთავარი მონინააღმდეგე?

ასეთი განმეორების დროს, გვასწავლის სუხომლინსკი, მოსწავლე ყველაფერს თავიდან ბოლომდე კი არ კითხულობს, არამედ ეძიებს დასმულ კითხვებზე პასუხებს, იკვლევს, ადარებს ერთმანეთს

ფაქტებს. ასეთი კვლევა-ძიების შემდეგ მოსწავლეთა პასუხები მონოტონური, ერთფეროვანი და მოსაწყენი თხრობა კი არ არის, არამედ ესაა წიგნით ხელში დავა, კამათი, სათანადო წყაროებით ნათქვამის დასაბუთება (4, 264).

ლიტერატურის გაკვეთილებზე ვ. სუხომლინსკი მოსწავლეებს არასოდეს უკრძალავდა სახელმძღვანელოების გამოყენებას, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთ კითხვებს უსვამდა, რომლებზეც პასუხის გაცემა ფიქრის, მსჯელობისა და განვლილი მასალის ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო, რადგან წიგნში პირდაპირ, მზამზარეულ პასუხს ვერსად იპოვიდით (3, 129-130).

მოსწავლეთა აზროვნების განვითარებაში ვ. სუხომლინსკი დიდ როლს ანიჭებდა ისეთი საგნების შესწავლას, როგორიცაა: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია და სხვა. განმავითარებელი სწავლების საკითხებს იგი უშუალოდ უკავშირებდა შესასწავლი საგნის სპეციფიკას და აღნიშნავდა, რომ ის მეთოდები, რომლებიც გამოიყენება ფიზიკის ან ქიმიის შესასწავლად, მთლიანად შეიძლება არ იქნეს გამოყენებული მხატვრული ლიტერატურის სწავლებისას და – პირიქით, თუ სხვა საგნებში იგი ილაშქრებდა ზეპირობის წინააღმდეგ, ლიტერატურის შესწავლისას აუცილებლად მიაჩნდა ლექსებისა და ცალკეული მხატვრული ნაწარმოებების ნაწყვეტების ზეპირად დასწავლა, რადგან ყოველი მეთოდი გაკვეთილზე ითვისებისწინებს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ამოცანის რეალიზებას, არამედ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის კომპლექსურ ამოცანათა გადანწყვეტასაც.

ვ. სუხომლინსკის საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ასევე ხელით შრომასა და ზროვნების ურთიერთკავშირის შესახებ. მისი აზრით, ბავშვის ინტელექტუალური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ შემოქმედებით შრომაში. „ჭკუა ადამიანის თითებზე ამოიკითხება“, – იმეორებდა ხშირად იგი ბავშვობაში გაგონილ ხალხურ ანდაზას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ვ. სუხომლინსკი დიდ როლს ანიჭებდა მოსწავლეთა საქმიანობას ტექნიკურ შემოქმედებით წრეებში, რომლის დროსაც ერთმანეთს ერწყმის „გონებისა და ხელის ძალა“.

ასეთია ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიკური თეორია და პრაქტიკა მოსწავლეთა აზროვნების განვითარების შესახებ. მისი მდიდარი გამოცდილების შესწავლა და ცხოვრებაში გატარება ყოველი პედაგოგის უპირველესი ვალია.

ნოდარ ბასილაძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

სწავლისა და აღზრდის ინოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიები

ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიებისა და მეთოდების მოთხოვნათა შესაბამისად ორგანიზება და შემოქმედებითად გამოყენება სავსებით დროულად დააყენა ცხოვრებამ დღის წესრიგში. სკოლა ბავშვს უნდა ამზადებდეს შრომისთვის, ცხოვრებისათვის. დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილისა და დასავლური პრაგმატული პედაგოგიკის ამ პრინციპის რეალიზაციისთვის, ბაზისური უნარ-ჩვევებით მოსწავლე-ახალგაზრდობის აღჭურვისათვის აუცილებელია სწავლება წარიმართოს ახალი პროგრესული, ინოვაციური მეთოდებით, რომელიც დაეფუძნება ეროვნული სწავლების მეთოდებს, ხერხებს, საშუალებებს და შემოქმედებითად იქნება გამოყენებული პედაგოგიურ მუშაობაში.

უპრიანია აღინიშნოს, რომ ეროვნული ტრადიციული სწავლების მეთოდების ხელაღებით უარყოფამ და ყოველგვარი შემოწმების, აპრობაციის გარეშე უცხოური მეთოდების დანერგვაზე გადასვლამ არასასურველი შედეგი გამოიღო. აქტიური სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც სერბიის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, ფსიქოლოგიის ინსტიტუტისა და იუნისეფის ბელგრადის განყოფილებიდან იღებს სათავეს და ინერგება ჩვენს სკოლებში, უფრო ადრე, განმავითარებელი სწავლების კონცეფციის სახით, რომლის ცალკეული დიდაქტიკური მოდელები-პრობლემური სწავლება პროგრამირებული სწავლებაა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს განათლების მინისტრის, პროფესორ ოთარ ქინქლაძის ინიციატივით და ხელმძღვანელობით დაინერგა საქართველოს სკოლებში, ხოლო თანამშრომლობის პედაგოგიკის მოთხოვნები ნოვატორი პედაგოგისა და აღიარებული მეცნიერის შალვა ამონაშვილის ხელმძღვანელობით 70-იანი წლებიდან ინერგებოდა განათლების სისტემაში. ჩვენ ადვილად ვივინყებთ საკუთარ კარგს და უცხოურს ვაიდვალებთ. ქვეყანა, რომელიც სამი საუკუნით უსწრებს ევროპის რენესანსს, ქვეყანას რომელსაც IV-საუკუნეში ჰქონდა ფაზისის აკადემია, სადაც დიდი კულტურის მქონე ბერძნებიც სწავლობდნენ. იყალთოს აკადემიის, „მეორე ათინად“ წოდებული გელათის აკადემიის პატრონი ერი არ უნდა უარყოფდეს საკუთარ, ეროვნულ, ასწლეულობით შექმნილ, ნალოლიავებ ტრადიციებს და უმდიდრეს გამოცდილებას.

რათქმაუნდა, საქართველოს ინტეგრაციას ევროპასთან ბუნებრივად თან სდევს პედაგოგიური ფასეულობების ურთიერთგაზიარება-დასავლური ღირებულებები აუცილებლად უნდა გავიზიაროთ, მაგრამ არა საკუთარის უგულვებელყოფით. საჭიროა მიკვლეულ იქნას ინტერაქტიური და ტრადიციული სწავლების მეთოდების პე-

დაგოგოგურად მიზანშეწონილი თანაფარდობა სასწავლო პროცესში, მათი შეხამების გზის პოვნა.

ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების მოთხოვნათა შესაბამისად, განათლების სისტემის სტრატეგიულ მიმართულებად დასახულია პიროვნებაზე, შედეგზე ორიენტირებული განათლება. სწავლების ცენტრში უნდა დადგეს მოსწავლის პიროვნება, მისი შემეცნებითი საქმიანობა, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარების განვითარება. მან არამარტო უნდა შეძლოს აჩვენოს ის, რომ გარკვეულ ინფორმაციას, ცოდნას ფლობს, არამედ ისიც, რომ მას შეუძლია ამ ინფორმაციის, ცოდნის ეფექტურად და ზნეობრივი პრინციპების გათვალისწინებით გამოყენება.

ამგვარად, თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება. შესაბამისად სწავლების მეთოდიკაც მოსწავლეზე ორიენტირებული ანუ ინტერაქტიური უნდა იყოს. იგი ეყრდნობა მასწავლებლისა და მოსწავლის ახალი როლების ძიებასა და ჰუმანიზმის პრინციპებს. ინტერაქტიურ სწავლებას შემოაქვს პედაგოგულში სწავლების და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები. იგი საშუალებას გვაძლევს გავააქტიუროთ და განვაავითაროთ მოსწავლის შემეცნებითი შესაძლებლობები. აღვზარდოთ პატრიოტი, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, საკუთარი შესაძლებლობების მუდმივად განვითარების შემძლე, ინფორმირებული და ამ ინფორმაციის ადეკვატურად გამოყენების უნარის მქონე, ბუნებრივი გარემოს დამცველი, კანონმორჩილი და ტოლერანტი ადამიანი.

აქტიური სკოლა მასწავლებლისაგან მოითხოვს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოქნილ ორგანიზაციას. იგი უნდა გახდეს გაკვეთილის ორგანიზატორი, შემქმნელი, დიზაინერი, მოსწავლეებისაკენ მიმავალი „გზების აღმომჩენი“. მან უნდა შეძლოს უფრო აზრიანი და საინტერესო გახადოს სწავლება აღსაზრდელებისათვის, წაახალისოს და დააინტერესოს ბავშვები შესასწავლი მასალით. მას მართებს ფიქრი – აძლევს თუ არა მისი გაკვეთილი მოსწავლეებს დამოუკიდებელი აზროვნების, ინიციატივის გამოვლენის საშუალებას. უყალიბდება თუ არა გაკვეთილზე მოსწავლეს მრწამსი, მოქალაქეობრივი პოზიცია, საკუთარი დამოუკიდებლობა შესასწავლი საკითხების და საერთოდ სინამდვილის მიმართ.

მასწავლებლის მიერ მოსწავლის ნიჭისა და შესაძლებლობათა გამოვლენას, ინტელექტუალური ძალების ამოქმედებასა და განვითარებას სოკრატე „მეორე დაბადებას“ უწოდებდა.

აღნიშნული ამოცანების რეალიზაციისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა მოტივაცია საქმიანობისადმი. დაძლეული იქნას მათი გაუცხოება სწავლისადმი. სკოლა უნდა იქცეს არა მარტო სასწავლო ცენტრად, არამედ თითოეული მოსწავლის მზრუნველად.

მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს საქმიანობა, რომ მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცეთ:

- განავითარონ თავიანთი სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური მონაცემები, ინტერესები და მიდრეკილებანი.
- გამოიმუშაონ ზნეობრივი მრწამსი, შეხედულებანი.
- გააცნობიერონ საკუთარი როლი მომავალში.
- დაეუფლონ საბაზრო ურთიერთობებისა და სწრაფადცვალებად სამყაროში საქმიანობის უნარ-ჩვევებს, თავდაცვის ხერხებს და საშუალებებს.
- მშობლიურ ენასთან ერთად დაეუფლონ უცხო ენებს.
- ჩამოუყალიბდეთ გარემოსადმი ფრთხილი, მზრუნველი დამოკიდებულება.
- შეექმნათ პირობები დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის.

ინტერაქტიური სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია:

- ტრანსმისიური სწავლება (ცოდნის გადმოცემის პროცესი)
- აღმოჩენის გზით ანუ ვარაუდების გამოყენებით სწავლება.
- სიუჟეტურ-როლებიანი თამაში.
- პროექტი.
- საკლასო დისკუსია.
- კლასის გაყოფა მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად.
- ორმხრივი სწავლა.
- ურთიერთქმედებითი სწავლა.
- ცოდნის შეერთება.
- გუნდური სწავლა.
- გონებრივი ვარჯიშის გაკვეთილი.
- გაკვეთილი ლექცია.
- გაკვეთილი სემინარი.
- კვლევითი მუშაობა მუზეუმებში.
- გაკვეთილი კონფერენცია.
- გაკვეთილი პრესკონფერენცია.
- გამოკითხვა ტესტებით.

ტრანსმისიური სწავლება

ტრანსმისიური სწავლების მეთოდი მოიცავს სწავლების როგორც ტრადიციულ, ისე აქტიურ მეთოდებს. ეს არის ცოდნის გადაცემის პროცესი. მოსწავლეები პასიური მსმენელის როლში რომ არ აღმოჩნდნენ საამისოდ გაკვეთილის დაწყებისთანავე უნდა გავუღვივოთ აღსაზრდელებს ინტერესი შესავალი მასალისადმი და ეს ინტერესი მთელი გაკვეთილის მანძილზე შევინარჩუნოთ, რამეთუ მხოლოდ ამ პირობით შეიძლება გაააქტიურო ბავშვები, მოახდინო მათზე ძლიერი შთაბეჭდილება, შეიჭრა მათ ცნობიერებაში, გამოიწვიო ღრმა განცდები და ემოციები. ხშირად ეს ინტერესი ქვეითდება

ან საერთოდ ქრება, როცა გაკვეთილზე შესავალ საუბარში გადასცემს პედაგოგი ახალი მასალის შინაარსს, უმიზნოდ აწარმოებს ტექსტების კითხვაში ვარჯიშს, ან კლასის აქტიური მონაწილეობის გარეშე ატარებს სასწავლო მუშაობას.

როგორი მარტივიც არ უნდა იყოს შემეცნებითი ამოცანა, მისი გადწყვეტა გამორიცხავს მზამზარეულ პასუხს და მოსწავლისაგან მოითხოვს ფიქრს, მსჯელობას, შედარებას, ანალიზს, საკუთარი გამოცდილების მოშველიებას.

როგორ შეიძლება განხორციელდეს შემეცნებითი ამოცანები?

პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება ნაწარმოების აღქმას, მოსწავლეთა ფსიქიკური განწყობილების შექმნას, ტექსტების ლოგიკურ ანალიზს – გეგმის შედგენა, დასურათება, ფაქტების, მოვლენებისა და მოქმედ პირთა სწორად გაგება-შეფასება, მათი ემოციური აღქმა, დედააზრის გამოტანა, ახალი წარმოდგენების შემუშავებას – დაეთმობა. ამ მიზნით ეფექტურად გამოიყენება ნაწარმოების სხვადასხვა თვალსაზრისით კითხვაში მოსწავლეთა ვარჯიში. მაგალითად, მოსწავლეებს შეიძლება დაავალოთ: წაიკითხეთ და გვითხარით, რა იყო გაუგებარი? რა იყო მოულოდნელი? რა მსგავსი შემთხვევა შეგხვედრიათ ცხოვრებაში? რამ გაგახარათ? რამ შეგანუხათ? დაგაფიქრათ? წაიკითხეთ ადგილი, სადაც ბუნების სურათია აღწერილი. გმირის სულიერი მდგომარეობაა გადმოცემული. მოძებნეთ საგაკვეთილო მასალაში ავტორისეული დამოკიდებულება მოქმედი პირისადმი. დააკვირდით სტროფებს და გაარკვიეთ, რა პოეტური ფერებით ხატავს ავტორი გარემოს ან როგორაა აღწერილი ზამთრის ბუნება? შემოდგომა, ზამთარი და ა. შ.

დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა მოსწავლისაგან მოითხოვს ფიქრს, მსჯელობას, აზროვნებას, ტექსტში სათანადო ადგილის მონახვას, საკუთარი აზრის დასაბუთებას.

აღმოჩენების გზით ანუ ვარაუდების გამოყენებით სწავლება

ინტერაქტიულ მეთოდებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღმოჩენების გზით სწავლებას. იგი ხორციელდება მაშინ, როდესაც:

- სასწავლო სიტუაციის ზოგი ელემენტი ცნობილია, ზოგი – არა.
- ნათელია საკვლევი პრობლემების არსი.
- მოსწავლეები თვითონ პოულობენ პრობლემის გადაჭრის, მისი შემონახვის მეთოდებს და მასწავლებელი ფრთხილად წარმართავს ამ პროცესს.
- აღმოჩენის გზით სწავლება ეხება ცოდნის მოპოვების ინდივიდუალურ ინიციატივაზე დაფუძნებულ ცოდნას.
- ცოდნის მოპოვების აუცილებლობის ინიციატორი, ორგანიზატორი, მეგზური მასწავლებელია. მან გაკვეთილი პერსპექტივაში უნდა

წარმოისახოს. თუ ტრადიციულად მხოლოდ ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმა იწერებოდა, ინტერაქტიური სწავლების დროს მხოლოდ წინასწარი გეგმა კი არ იწერება, არამედ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაკვეთილის შემდგომ ანალიზს, რეფლექსიას, გაცნობიერებას. ასე, რომ გაკვეთილის ჩატარებამდე და გაკვეთილის შემდეგ აქტიურია მასწავლებელი, გაკვეთილზე კი – მოსწავლე.

აღმოჩენების გზით ანუ ვარაუდების გამოყენებით სწავლების პროცესი ასე წარიმართება.

ზოგიერთი მხატვრული ნიმუში მთლიანად კი არ შეისწავლება, არამედ მისი გარკვეული ნაწილი – შემდეგ კი დაისმება მასწავლებლის კითხვა: რიგორ ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგ?

მაგალითისათვის მოგვაქვს ქობულეთის №4 საჯარო სკოლის მასწავლებლის ლალი აბაშიძის მიერ ჩატარებული გაკვეთილის ნიმუში.

გაკვეთილის მასალა გიორგი ნატროშვილის „კეთილი გული“

ვაკეთებ ხიდს ძველი მასალიდან ახალზე გადასასვლელად. ვაცნობ გაკვეთილის თემას და ვინყებ მოთხრობის კითხვას: „თამაზი სოფლის ბოლოში ცხოვრობდა, სკოლა შორს იყო და ამიტომ ბიჭი ადრინადა მიდიოდა ხოლმე. ერთხელ შუა გზაში რომ იყო, დაინახა ერთი სახლის ფანჯრიდან შავი კვამლი გამოდიოდა. თამაზს ტირილის ხმა შემოესმა“: აქ ვწყვეტ მასალის კითხვას და ვარკვევ:

– რას ნიშნავს, ფანჯრიდან შავი კვამლი გამოდიოდა?

მოსწავლე – ეს იმას ნიშნავს, რომ სახლს ხანძარი გაუჩნდა.

მასწავლებელი – როგორ ფიქრობთ, საიდან შემოესმა თამაზს ტირილის ხმა?

მოსწავლე – ცეცხლნაკიდებული სახლიდან.

ახლა უკვე ვსვამ პრობლემურ კითხვას, რის მიხედვითაც ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდებს.

მასწავლებელი – როგორ ფიქრობთ, როგორ მოიქცევა თამაზი?

I მოსწავლე – თამაზი შეშინდა და გაიქცევა.

II მოსწავლე – თამაზი მეზობლებს დაუძახებს.

III მოსწავლე – თამაზი გააგრძელებს გზას, რადგან იცის ცეცხლს ვერ ჩააქრობს.

IV მოსწავლე – თამაზი ეცდება, როგორმე გადაარჩინოს გოგონა.

მასწავლებელი – ახლა ვნახოთ, სინამდვილეში როგორ განვითარდება მოვლენები. ნაკითხული შეადარეთ თქვენს მიერ გამოთქმულ ვარაუდებს.

„...თამაზი ფირცხლავ შევარდა ეზოში და ცეცხლნაკიდებული სახლიდან პატარა გოგონა გამოიყვანა.

ამასობაში ...მაინც გადანყვიტეს ეპოვათ ეს ბიჭი. ისევ ვჩერდები და ვეკითხები ბავშვებს:

– როგორ ფიქრობთ, იპოვნენ თამაზს?

მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს.

I მოსწავლე – კი, ის იქვე იქნებოდა სახლში.

II მოსწავლე – კი, ის გოგონას დედას დაელოდებოდა.

III მოსწავლე – კი, გმირ ბიჭს არ გაუშვებდა ხალხი.

IV მოსწავლე – არა, მას სკოლაში ეჩქარებოდა.

ვაგრძელებ კითხვას, – რა მოხდა სინამდვილეში?

„...ეძებეს, ეძებეს და ვერსად იპოვეს. ან როგორ იპოვნინდნენ? თამაზი უკვე კლასში იჯდა და გულმოდგინედ უსმენდა მასწავლებელს“.

ბოლოს ვსვამ პრობლემურ კითხვას: – როგორ ფიქრობთ თამაზი მოუყვებოდა ვინმეს თავისი გმრობის შესახებ? მოსწავლეები აქაც გამოთქვამდნენ ვარაუდებს.

I მოსწავლე – მოუყვებოდა, იმიტომ, რომ ყველამ შეაქოს.

II მოსწავლე – არ მოუყვებოდა, რადგან მან სიკეთე გააკეთა და სამაგიეროს არ მოითხოვს.

აზრს რამდენიმე მოსწავლე გამოთქვამს და მიმდინარეობს კამათი. კამათში ვერევი, რათა სწორი მიმართულება მივცე მას. მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით ვაკეთებ დაკვნას.

ეს მეთოდი ძალიან უყვართ ბავშვებს. მისი გამოყენებით ვაღწევ იმას, რომ მოსწავლეებს უძლიერდებათ ინტერესი ტექსტის მიმართ. ინტერესის გაძლიერებას თან ახლავს ემოციური მომენტიც: გაკვირვება, აღფრთოვანება ან იმედგაცრუება. გაკვეთილზე რაღაც უცნობის, მოულოდნელის აღმოჩენის განცდით დამუხტული მოსწავლეები ეჩვევიან მსჯელობას, დისკუსიას. მათ ეძლევათ შემოქმედებითი ინიციატივისა და ნიჭის გამოვლენის მეტი შესაძლებლობა.

სიუჟეტურ-როლუზიანი თამაში

თამაში ბავშვის ქცევის ნამყვანი ფორმაა მისი გამოყენება სასწავლო პროცესში ააქტიურებს მოსწავლეს, ამაღლებს მის შემეცნებით აქტივობას.

სიუჟეტური თამაში მცირე დადგმა, მცირე მოცულობის სპექტაკლია, რომელიც შესასწავლად მასალას, მოვლენებს, უცნობ ფაქტებს გათამაშების გზით აცოცხლებს მოსწავლეების წინაშე.

შესასწავლ თემას არჩევს პედაგოგი, ადგენს სიუჟეტს (სცენარს) და აღსაზრდელებთან ერთად ანაწილებს როლებს. ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს წარმოდგენა (სპექტაკლი). წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მთელი კლასი მონაწილეობს მის განხილვაში.

პროექტი

პროექტი-მოსწავლეთა მიერ წინასწარ დაგეგმილი და დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოა, რომელიც შეიძლება წარმოადგინონ მოხსენების, ჩანახატის, ლექციის, ლექსის და სხვა სახით.

პროექტის თემას არჩევს მასწავლებელი და სთავაზობს მოსწავლეებს. ბავშვები გეგმავენ, როგორ შეასრულონ დავალება, რა ლიტერატურა გამოიყენონ, რა წყაროები მოიძიონ. თემის შესაბამისად განისაზღვრება პროექტის შესრულების ვადა. იგი შეიძლება იყოს რამდენიმე დღე, კვირა ან თვე.

პროექტი უნვითარებს ბავშვს აკადემიურ-სოციალურ და შემოქმედებით უნარ-ჩვევებს. იგი ეფექტური გზაა თეორიული ცოდნიდან პრაქტიკამდე.

ბათუმის №5 საჯარო სკოლის უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი მზია გაგნიძე ხშირად იყენებს პროექტზე მუშაობას აღსაზრდელთა გონებრივი განვითარებისა და ზნეობრივი სრულქმნისათვის.

ერთ-ერთი ასეთი საჩვენებელი, სამოდულო გაკვეთილი ხელოვანმა პედაგოგმა Xკლასში სამოქალაქო განათლებაში ჩაატარა. გაკვეთილს პედაგოგებსა და სკოლის ხელმძღვანელებთან ერთად ესწრებოდნენ აჭარის განათლების სამინისტროს კულტურისა და სპორტის წარმომადგენლები. გაკვეთილის თემა იყო სახელმწიფოს სიმბოლოები – დროშა, გერბი, ჰიმნი.

მიზანი: საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლოების ისტორიის, მათი როლისა და მნიშვნელობის გაცნობა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, სიმბოლოებისადმი პატივისცემის, სიყვრულისა და ერთგულების გრძნობების გაღვიძება.

რესურსები – სახელმწიფოს ატრიბუტებზე მიძღვნილი ნაშრომები, ატრიბუტების ნიმუშები, საინფორმაციო ბუკლეტები, პლაკატები, სლაიდები, აუდიო და ვიდეო კასეტები, სამუშაო რვეულები.....

ესთეტიკური გემოვნებით გაფორმებული და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით მოწყობილი გეოგრაფიის კაბინეტი და ყვავილების სურნელება ამალღებულ განწყობიღებას, შესანიშნავ ფონს ქმნიდა შემოქმედებითი შრომისა და აზროვნებისათვის.

გაკვეთილი სახელმწიფო ჰიმნის შესრულებით დაიწყო. მასწავლებელი მიესალმა ფორმებით გამონწყობილ, სახეგაბრწყინებულ, თვალხატულა გოგო-ბიჭებს:

„უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი“ – მიმართა აღსაზრდელებს და ბრძნული შეგონება: „სტუმარი ღვთისაა“ მოაგონა. ჩვენც პატივი ვცეთ მობრძანებულ სტუმრებს ყურადღების, გულისხმიერების, ტაქტის, ცოდნის, აზროვნების, შემოქმედებითი ნიჭის გამომჟღავნებითა და საკუთარი აზრის დახვეწიღად, ლამაზად, სხარტად, ხატოვნად და ემოციურად გადმოცემით.

ცნობისათვის: კლასში 26 მოსწავღეა. სახელმწიფოს ატრიბუტები დროშა, გერბი და ჰიმნი როცა შეისწავღეს, ბავშვებს დაებადათ იღეა, მოემზადებინათ პროექტი, შეექმნათ კლასისა და სკოლის სიმბოლიკა. როცა მასწავღებღს გაანღეს იღეა, მონონება დაიმსახურეს და კლასში ხუთმა ჯგუფმა კლასის, ხოლო მეექვსე ჯგუფმა სკოლის ატრიბუტები წარმოადღინეს.

მოზარდები იმანაც დააინტერესა, რამდენად სრულყოფილად იცნობს ფართო საზოგადოება თავისი ქვეყნის სიმბოლიკას. ამ მიზნით აწარმოეს გამოკითხვა ქალაქ ბათუმისა და ხელვაჩაურის რაიონში. შედეგები არასახარბიელო აღმოჩნდა. ბავშვებისათვის ისიც მოულოდნელი ოყო, რომ სოფლის მოსახლეობა უფრო უკეთ იცნობს სახელმწიფო სიმბოლიკას, ვიდრე ქალაქისა.

სამოქალაქო განათლების ძირითადი მიზანია ერთის მხრივ არჩევანის თავისუფლების, ხოლო მეორე მხრივ საკუთარ არჩევანზე პასუხისმგებლობის გააზრების სწავლება. მოსწავლეებისათვის გადამწყვეტილების მიღების უნარის განვითარება.

ეს მხარეები კარგად გამოიკვეთა გაკვეთილზე. მოსწავლეებმა კარგი მომზადება, საკითხის საფუძვლიანი ცოდნა, შემოქმედებითი უნარი, მსჯელობის, დიალოგის, კამათის, დებატების წარმართვის, დასკვნის გამოტანის, ურთიერთპატივისცემისა და სხვისი აზრის მოსმენის კულტურა გამოამჟღავნეს.

ბავშვებს შესანიშნავი სიმბოლიკა შეექმნათ. პრეზენტაციისათვის ჯგუფებს შვიდ-შვიდი წუთი მიეცათ. ჯგუფის ხელმძღვანელებმა ჩინებულად მოახდინეს სიმბოლოების პრეზენტაცია. ნათლად წარმოაჩინეს სიმბოლოების ცალკეული დეტალები და მათი სიმბოლოური მნიშვნელობა. აღინიშნა, რომ დროშაზე ცისფერი ზოლი განასახიერებს შავ ზღვას, ცისფერსხივებიანი მზე – მზიურ საქართველოს უღრუბლო, ფირუზისფერ ზეცას, 26 ვარსკვლავი კლასის 26 მოსწავლეს, „დედა ენა“ მშობლიური ენის სიყვარულს, მტრედი – მშვიდობას, ეკლესია – ღვთისმსახურებას, ჩირაღდანი – ცოდნის დაუფლების წყურვილს და ა.შ.

მოსწავლეები არ შემოფარგლულან მხოლოდ კლასისა და სკოლის ატრიბუტებზე საუბრით, მათ ასევე კარგად წარმოაჩინეს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები. ისაუბრეს სახელმწიფო და სამეფო დროშებზე. ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ სამეფო დროშას XII-XIII საუკუნეებში საქართველოს ძღვევამოსილ მეფეთა სახელებსაც უწოდებდნენ: გორგასლიანს, დავითიანს, ბაგრატიონს და ა.შ.

„თამარის დროშა გაშალეს, შეკრიბა დიდუბეს ლაშქარი“ – მოსწავლეებმა მოიტანეს ნაწყვეტი გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოდან“.

ქართული დროშისადმი, როგორც „ერის პატიოსნების, ერის ღირსებისადმი“ ქართველი კაცის უსაზღვრო, ძვალ-რბილში ჩაკირულ-ჩადულაბებული სიყვარულისა და მისთვის თავგანწირვის ნათელსაყოფად ბავშვებმა სიმონ ჩიქოვანის ლექსი „ქართველი დედა“ გაიხსენეს და მხატვრულადაც წაიკითხეს.

მოსწავლეებმა ასევე ინტერესით ისაუბრეს გერბისა და ჰიმნის შესახებ. მდიდარი ცოდნა დაეხმარათ ორიგინალური სახით შეექმნათ გერბისა და ჰიმნის ნიმუშები და თავადვე მაღალ დონეზე შეესრულებინათ ჰიმნი.

გაკვეთილზე კარგად განხორციელდა საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მიზნები. კარგად წარიმართა სალექსიკონო მუშაობა. მოსწავლეების ლექსიკა გამდიდრდა ატრიბუტებთან დაკავშირებული სიტყვებით. ბავშვების აქტიურობით, მათ მიერვე შეჯამდა გაკვეთილი.

მოზარდებმა კარგად გაიაზრეს დიდი ბრძენკაცის ილია ჭავჭავაძის შეგონება: დროშას ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის არა თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი სიცოცხლეს არ ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია“.

გაკვეთილი ორგანიზაციულად, ლოგიკურად და ფსიქოლოგიურად წარმოადგენდა მთლიან პროცესს. მოსწავლეები მუშაობდნენ ჯგუფებად, ავლენდნენ საკუთარ შესაძლებლობებს, დამოუკიდებელი აზროვნების, ძიების, ფიქრის, ანალიზის, თავისუფალი აზრის გამოხატვის, ლოგიკური მსჯელობის, მოსმენის კულტურას.

გაკვეთილი სრულიად თავისუფალი იყო. მას ძირითადად მოსწავლეები წარმართავდნენ. თუმცა მასწავლებელი თითქოს შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც დახვეწილი ტაქტით, დინჯად უძღვებოდა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს. დასაწყისიდანვე დამყარდა პედაგოგსა და აღსაზრდელებს შორის უშუალობისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის განწყობილება, შეიქმნა ძიებისა და მიზანმიმართული მუშაობის სასიამოვნო ატმოსფერო.

გაკვეთილი ეფექტური, ორიგინალური და აკადემიურად დატვირთული იყო.

საკლასო დისკუსია

დისკუსია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. იგი ამაღლებს მოსწავლის შემეცნებით აქტივობას, უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, აჩვენებს ფიქრს, მსჯელობას, დასკვნის გამოტანას, აუფლებს კამათის კულტურას.

დისკუსიის მეთოდით სწავლება საშუალებას გვაძლევს ბავშვებს დავანახოთ, რომ ყოველი მტკიცება სხვადასხვა მხარეს შეიცავს და დასკვნის გაკეთებაც უამრავი გზით არის შესაძლებელი.

დისკუსიის ჩატარებას წინ უნდა უძღოდეს მასწავლებლის მიერ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება. მოსწავლეები ადრეული ასაკიდან უნდა დაეუფლონ სადისკუსიო ქცევის წესებსა და ურთიერთობის ნორმებს. ასეთი მუშაობით აღსაზრდელებს ჩამოუყალიბდებათ ქცევის სტანდარტები. შეეძლებათ სხვისი აქტიური მოსმენა, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და არგუმენტაცია, მსჯელობა, კრიტიკული ანალიზი, სხვისი ნააზრევის შეფასება და განსხვავებული აზრისადმი პატივისცემისა და შემწყნარებლობის დამოკიდებულება.

დისკუსიისათვის უნდა შეირჩეს შესაბამისი მასალა, ვთქვათ, „ფუტკარი და ჭიანჭველა“, „კუ და მორიელი“ „გამზრდელი“, „ხე-

ვისბერი გოჩა“, „მატეო ფალკონე“, „ტარას ბულბა“...„სამყაროს კეთილი ელჩი და პანანინა სანიტრები (ფუტკარი და ჭიანჭველა) – ამ თემაზე წარმართა დისკუსია ბათუმის № 1 საჯარო სკოლის პედაგოგმა, აჭარის დამსახურებულმა მასწავლებელმა ლილი ფირცხალიაშვილმა.

გაკვეთილის მიზანი იყო: მწერების – ფუტკრისა და ჭიანჭველას შესახებ მიღებული ცოდნის გაღრმავება.

– ბუნებისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, მიღებული ცოდნა-ჩვევების ცხოვრებაში გამოყენება.

– კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების, შემოქმედებითი უნარის ჩამოყალიბება, კამათის კულტურის დაუფლება.

გაკვეთილზე მოსწავლეები დაყოფილი იყვნენ ჯგუფებად:

– ფუტკრები.

– ფუტკრის გულშემატკივრები.

– ჭიანჭველები.

– ჭიანჭველების გულშემატკივრები.

მასწავლებელმა ჯგუფებს მისცა დავალება ესაუბრათ და ემსჯელათ აღნიშნული მწერების მთავარ, ძირითად დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე, დაესაბუთებინათ არჩეული მწერის მეტი სარგებლიანობა ადამიანისათვის.

ინსცენირების სახით ფუტკრისა და ჭიანჭველას დაპირისპირების შემდეგ მოსწავლეებს დაეთმოთ „თავისუფალი მიკროფონი“. საუბრობენ ფუტკრის „გულშემატკივრები“. მათ უამრავი საინტერესო მასალა შეესწავლათ. წარმოაჩინეს სამგზის ოქროს მედალოსანი ქართული, ეროვნული ფუტკარი, „კეთილი ელჩის“ საოცარი თვისებები და უპირატესობანი სხვა ქვეყნის ფუტკრის ჯიშებთან შედარებით. აღწერეს, თუ როგორ ამზადებს ფუტკარი თაფლს, ფიჭას. აღნიშნეს, რომ მედიცინაში გამოყენება აქვს არამართო თაფლს, არამედ ფუტკრის რძესა და შხამს. ხაზი გაუსვეს ფუტკრის უპირატესობას ჭიანჭველებთან.

ფუტკრების „გულშემატკივრებს“ არც ჭიანჭველების „გულშემატკივრები“ ჩამორჩნენ. ისინი თავდავიწყებით ცდილობდნენ ამ ნამცეცა მწერის საოცარი თვისებების წარმოჩენას. ჭიანჭველები ბუდის აგების უბადლო ოსტატები, ინჟინრები და არქიტექტორები არიან. „ესრე არის აგებული, ამგებელსა ადიდებდე,“ – უთქვამთ მათი ბუდეების მნახველთ. ისინი მილიონობით მავნე მწერს ანადგურებენ, აჯანსაღებენ ტყეს, ავრცელებენ მცენარეთა თესლს. ჭიანჭველამყავა გამოიყენება მედიცინაში.

ჭიანჭველების ბუდის დანგრევა ბრაკონიერობაა, – აღნიშნეს ჭიანჭველას „გულშემატკივრებმა“. „იმაზე დიდი რა უნდა იყოს, კაცს თაფლი მისცე ღმერთს კი სანთელი“, – შოთა ნიშნიანიძის ამ სიტყვებით ფუტკარზე თითქმის ყველაფერი თქვეს „გულშემატკივრებმა“.

გაკვეთილზე გამოჩნდა ზრუნვა მოსწავლეთა ეკოლოგიურ, ეს-

თეტიკურ და პატრიოტულ აღზრდაზე, ზრუნვა მეტყველების კულტურასა და ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე, აზროვნების, მსჯელობის, ანალიზის, სინთეზის, საკუთარი აზრის არგუმენტაციის განვითარებაზე.

გაკვეთილზე გამოიკვეთა ადამიანის ზნეობრივი ვალი. შრომა ყველა სასახელოა, მაგრამ სხვებისათვის ზრუნვა, სხვებზე განეული შრომა უფრო დასაფასებელია. ასეთ ადამიანს ყველა პატივს საცემს. ამგვარად, ფუტკრისა და ჭიანჭველას ცხოვრების წესი ადამიანს ჭკუას ასწავლის. მოსწავლეები აქტიურობდნენ გაკვეთილზე. აქვთ მსჯელობის, კამათის, ერთმანეთის მოსმენის ჩვევა, შეუზღუდავია მათი ქცევა.

მოსწავლეთა ჯგუფების ცოდნის, კამათის კულტურის შეფასებისას მასწავლებელმა სიმბოლურად გამოიყენა თემიდას სასწორი. შეაქო ბავშვები, რადგან მათ ფუტკრებისა და ჭიანჭველების მსგავსად უშრომიან. უსურვა მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება.

* * *

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში გამოიყენება დისკუსიის სხვადასხვა ფორმა, კერძოდ:

– „მრგვალი მაგიდა“ – მოსწავლეთა მცირე ჯგუფი (4-5 კაცი) ახდენს აზრთა ურთიერთგაცვლას, ასევე კლასის მოსწავლეებთან.

– „პანელური დისკუსია“ – უძღვება ჯგუფის მიერ წინასწარ დანიშნული ლიდერი.

– „ფორუმი“ – მთელი ჯგუფი ახდენს აზრთა და იდეათა ურთიერთგაცვლას თანაბარ სანყისებზე.

– „სიმპოზიუმი“ – მონაწილეები გამოდიან წინასწარ მომზადებული მოხსენებებით.

– „დებატები“ – აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. კამათში მონაწილეობს ჯგუფის თითო წარმომადგენელი, რიგრიგობით.

კლასის გაყოფა მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად

კლასი იყოფა ორ ჯგუფად:

მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ერთი ჯგუფი რომელიმე მოქმედ პირს, ფაქტს მხარს უჭერს, მეორე კი იმავეს აკრიტიკებს და უარყოფს (ჯგუფების ფორმირება ხდება მოსწავლეთა სურვილების გათვალისწინებით) მაგალითად, იგავ-არაკის „ჭრიჭინა და ჭიანჭველას“ შესწავლის შემდეგ კლასი გაიყოფა მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. მოსწავლეთა ერთი ნაწილი იცავს ჭიანჭველას, ამართლებს მის მოქმედებას, მეორე ნაწილი კი პირიქით, ადანაშაულებს ჭიანჭველას, რადგან მან ზამთარში ხელი არ გაუმართა ჭრიჭინას, რის გამოც ვერ გამოიზამთრა ჭრიჭინამ.

ზოგჯერ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მესამე ჯგუფი, რომელიც ცდილობს ორივე ჯგუფის მოსაზრებათა სინთეზირებას და მათ შორის კომპრომისის მიღწევას.

ორმხრივი სწავლება

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს 5-6 კაციან ჯგუფებად. ჯგუფს ჰყავს ხელმძღვანელი. მისი მოვალეობაა ჯგუფის წევრებთან შეთანხმებით დასვას წინასწარ მოფიქრებული პრობლემური კითხვები გამოსაკითხი გაკვეთილის ძირითადი საკითხების ირგვლივ. შეკითხვები შეიძლება ჯგუფის წევრებმაც მოიფიქრონ. გაკვეთილის გამოკითხვის ეს მეთოდი კარგ შედეგს იძლევა. ის ააქტიურებს თითქმის ყველა მოსწავლეს და იწვევს ინტერესს აღნიშნული მასალისადმი.

ურთიერთქმედებით სწავლა

სწავლის ეს მეთოდი ემყარება იმ ფაქტს, რომ მოსწავლეებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ცოდნის ის სფერო, რომელსაც ახალი მასალა ეხება. მასწავლებლის მიერ მოსწავლეზე ცოდნის გადაცემა ძირითადად მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთქმედებაა.

სწავლების პროცესში, რომელიც პედაგოგიური ურთიერთქმედების ფორმას ეყრდნობა, გამოიკვეთება მასწავლებლის, როგორც პარტნიორის როლი. იგი ამ ურთიერთობათა მარეგულირებელია. მისი აქტივობა გამოიხატება შემდეგი ქმედებით: ახალი მასალის ახსნის დროს სწავლის სიტუაციის მთლიანად წარმოდგენა, დიდაქტიკური საშუალებების მომზადება, გაკვეთილის დაგეგმვა, პრობლემური სიტუაციის შექმნა, მოსწავლეთა ჯგუფური ორგანიზაცია.

მოსწავლეთა აქტივობა: არსებული ცოდნა-გამოცდილების მობილიზება, პრობლემური სიტუაციის გადაჭრა.

ურთიერთქმედებითი სწავლა მოსწავლეთა ჯგუფში გულისხმობს მოსწავლეთა დაჯგუფებას მათი მომზადების დონის მიხედვით. მასწავლებელი ქმნის ისეთ პრობლემურ სიტუაციებს, როდესაც აშკარად გამოიკვეთება უფრო მომზადებული და ნაკლებად მომზადებული მოსწავლეების ცოდნა და გამოცდილება. მოსწავლეები სხვადასხვაგვარად მონაწილეობენ სწავლის პროცესში. ერთნი სწავლობენ ერთ ასპექტს, მეორენი კი მეორე ასპექტს. ამის შემდეგ ერთობლივად მიიღწევა მთლიანობა. ჯგუფებს შორის აზრთა გაცვლა, გაზიარება, რაც მათ ურთიერთშევესებისა და გამდიდრების საშუალებას აძლევს.

ცოდნის შიერიტება

სწავლების ეს ფორმა „მოსწავლეები – მოსწავლეებისათვის“ ყველაზე მეტად ააქტიურებს მოსწავლეებს. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში.

იქმნება ჯგუფები. თითოეულ ჯგუფს მიეცემა დავალების ერთი კონკრეტული ნაწილის შესრულებისა. შემდეგ კი ხდება ამ ცალკეული ნაწილების გაცვლა და გაერთიანება.

მუშაობის ამ ფორმას საფუძვლად უდევს ის მოსაზრება, რომ კლასში მოსწავლეებს სხვადასხვა გამოცდილება, ცოდნა და უნარი გააჩნიათ. ამ სხვადასხვა გამოცდილებათა მომზადება და გაცვლა ააქტიურებს კლასის ყველა წევრს.

გუნდური სწავლება

გუნდური სწავლება პატარა ჯგუფებში მუშაობის განსაკუთრებული ფორმაა. გუნდური მუშაობისათვის დამახასიათებელია ფუნქციების განაწილება.

სწავლების ასეთი მეთოდი ძირითადად, პრობლემათა შესწავლას გულისხმობს. პრობლემის გადასაჭრელად მოსწავლეთა მუშა ჯგუფი აწარმოებს ფუნქციებს. შემდეგ ხდება შესწავლილის შეჯამება. მასწავლებლის საქმიანობა სწავლების ამ მეთოდის დროს განისაზღვრება ორგანიზატორის, მუშაობის წარმართველის და დისკუსიაში პარტნიორის როლით.

გონებრივი იერიში

ამ მეთოდის მიზანია პრობლემის გადაჭრა მთელი ჯგუფის მონაწილეობით. საკუთარი იდეების, მოსაზრებების თავისუფალი გამოთქმის გზით.

გონებრივი იერიში ავითარებს მოსწავლის შემოქმედებით აზროვნებას. ბავშვები სწავლობენ სხვის მოსმენას, ეუფლებიან კამათის კულტურას.

პედაგოგი წინასწარ არჩევს პრობლემას და აცნობს მას მოსწავლეებს. იწყება გონებრივი იერიშის პირველი ეტაპი. მას იდეათა გენერაციის (დაგროვების) ეტაპი ეწოდება. ამ დროს საჭიროა დავიცვათ შემდეგი წესები:

– მოსწავლეების მიერ მოსაზრებების გამოთქმის დროს დაუშვებელია მათი კრიტიკა, კამათი, შეფასება.

– მონაწილეები აზრებს გამოთქვამენ თავიანთი სურვილის შესაბამისად.

– ერთ ბავშვს შეუძლია გამოთქვას რამდენიმე მოსაზრება.

– გამოთქმული წინადადებები იწერება დაფაზე.

– აზრთა გამოთქმის დრო განისაზღვრება 20-30 წუთით.

– შეფასების დროის ხანგრძლივობას წყვეტს პედაგოგი. შეიძლება იმავე დღეს შეფასდეს ან სხვა დროს.

შეფასების ეტაპზე:

– ხდება გამოთქმული იდეების მიმოხილვა.

– მსგავსი მოსაზრებები გაერთიანდება.

– განზოგადებული იდეებიდან მოსწავლეები მათთვის ყველაზე ღირებულ მოსაზრებას აირჩევენ.

– ბოლოს გამოიყოფა ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები, რომლებიც დასმული პრობლემის გადაწყვეტისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება.

ბაკვეთილი – ლექცია

პროგრამული მასალის გარკვეული ნაწილი შეიძლება გადაიცეს ლექციის სახით.

ლექციის დასაწყისში პედაგოგი ასახელებს თემას, მიზანს, აყალიბებს პრობლემებს და გამოყოფს მთავარ პრობლემას. თითოეული საკითხის გაშუქების შემდეგ მოსწავლეებელი კითხვების საშუალებით ამოწმებს, როგორ აითვისეს ბავშვებმა გადაცემული მასალა.

შეიძლება ლექციას დაეთმოს მთელი გაკვეთილის დრო. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გაერთიანდეს რამდენიმე პარაგრაფი ან თემა. ასეთ გაერთიანებას აქვს თავისი დადებითი მხარე. მოსწავლეები გლობალურად შეხედავენ და მთლიანობაში აღიქვამენ რომელიმე საკითხს და მიზეზ-შედეგობრივ კავშირს.

ბაკვეთილი – სემინარი

სემინარი თეორიული ცოდნის შემოწმების, მისი პრაქტიკულად გამოხატვის ფაქტობრივი ცოდნის გამოვლენის საუკეთესო საშუალებაა.

ხელს უწყობს მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის სტიმულირებას, კომუნიკაბელურობას, დიალოგის წარმართვას და ა.შ.

ჯგუფებს შორის ანაწილებს თემებს.

ჯგუფებში მოსწავლეები აზროვნებენ, ფიქრობენ, საუბრობენ მსჯელობენ, კამათობენ დასმული საკითხების ირგვლივ. კამათის დროს გამოვლინდება მოსწავლეთა ცოდნის დონე, გამოიკვეთებიან მოაზროვნე მოსწავლეები, რომელთა შორის ზოგი სწრაფად აზროვნებს, ზოგი კი შედარებით ნელა. ერთ ნაწილს შეუძლია ლოგიკური აზროვნება, მოვლენების ანალიზი, მათი ურთიერთკავშირიდან შედეგის ზუსტად განსაზღვრა. მეორე ნაწილი კი აზროვნებს წმინდა სუბიექტური შეხედულებებით.

გამოჩნდებიან ისეთი მოსწავლეებიც, რომლებსაც ნაკლები ცოდნა აქვთ. თუმცა ინტერესით არიან ჩართულნი მუშაობაში. გამოთქვამენ საკუთარ აზრებს, მსჯელობენ და კამათობენ. ეს ჩრდილში მყოფ ბავშვებს საკუთარი თავის გამოვლენის შესაძლებლობას მისცემს. მოსწავლეთა განვითარებისა და ცოდნის განსხვავებული დონე იძლევა მათ შორის ცოდნის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობას – ყველა თავისებურად ანალიზებს შესწავლილ საკითხს და ხაზს უსვამს თავის მოსაზრებებს და შეხედულებებს.

სემინარზე მოსწავლეებელი მოქმედებს ტაქტიით. ის წარმართავს კამათს. ეხმარება მოსწავლეებს ნაბიჯ-ნაბიჯ დასძლიონ პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებული სიძნელეები და გააკეთონ მართებული დასკვნები.

ამგვარად, თანამედროვე ტექნოლოგიური, ინოვაციური მეთოდები სწავლებისა და სწავლის ეფექტური გზისაკენ არის მიმართული. სწავლების ტრადიციულ მეთოდებზე დაყრდნობით მათი შემოქ-

მედებიტად, მიზანმიმართულად გამოყენება ხელს შეუწყობს კრიტიკულად მოაზროვნე, ფართო თვალსაზრისის მქონე, გონებაგახსნილი, ინიციატივიანი და ქმედითუნარიანი პიროვნების აღზრდას.

თუ როგორ გავითავისებთ ინოვაციურ მეთოდებს, როგორ მოქნილად და უნარიანად წარვმართავთ სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობას, ეს მასწავლებლის ოსტატობაზე, პროფესიონალიზმსა და შემოქმედებით ნიჭზეა დამოკიდებული.

აბაჰი ზოიძე,

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის
პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური
ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი.

კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია; ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა კმაყოფილება არა აქვს, იმედი თუა სადმე, ამაში უნდა იყოს.

ილია ჭავჭავაძე

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად.

ვაჟა-ფშაველა

მასწავლებელი მოღის!

დასაწყისი

სოფელ მერჯევში, (საჩხერის რაიონი) აღმართს რომ აივლით, პირველად დეკანოიძეების უბანში მოხვდებით. შრომისმოყვარენი ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ამ უბანში... იმ დღეს გალინამ სიმნიფის ატესტატთან ერთად ქების სიგელიც მოიტანა სკოლიდან – „წარჩინებული სწავლისათვის და კომკავშირულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის.“ ეს 1936 წლის ივნისი იყო...

– შვილები წამოგვეზარდნენო, შვილები! – გაიხარეს მერჯევის კარლ მარქსის სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა სერგო დეკანოიძემ და ნადეჟდა ცერცვაძე-დეკანოიძემ, თან ამაყად გადახედეს ხუთ პირმშოს, რომელთაც მარტო სწავლაში კი არა, შრომაშიც წრთვნიდნენ მშობლები. ყველაზე უკეთესი მათი ნაკვეთი იყო სოფელში...

ასე გვზრდიდა საშუალო

1941 წლის 25 ივლისის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მრავალტირაჟიანი გაზეთი იუწყებოდა, რომ მიმდინარე სახელმწიფო გამოცდები ჩვეული წარმატებებით დაასრულეს ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის ამჟამად უკვე კურსდამთავრებულმა ნ. აბაშიძემ, თ. ბერიძემ, მ. ბერიძემ, ც. გულისაბედაშვილმა, გ. დეკანოიძემ, მ. ერაძემ, ს. თევზაძემ, ი. სოსელიამ, პ. ჩერქეზიშვილმა და სხვებმა.

ჰო, ომის ქარცეცხლი ტრიალებდა ცოდვილ მიწაზე, უჭირდა ქალაქს, უჭირდა სოფელს, უჭირდა ყველას და ამ უკიდევანო გაჭირვების სივრცეში გალინა დეკანოიძე პედაგოგიურ ნათლობას დირექტორის რანგში ქ. ჭიათურის სოფელ ჩხირაულის საშუალო სკოლაში იღებს – „ახალი აშენებული სკოლა იყო, ორსართულიანი, სოფლის პირობებისთვის მართლაც და ფუფუნება, არაჩვეულებრივი პედაგოგიური კოლექტივი დამხვდა, საუკეთესო მოსწავლეები...“ – იხსენებს ქალბატონი გალინა. ახალგაზრდა დირექტორს, ლამაზ, კაფანდარა გოგოს თაყვანისმცემლების მეტი ვინ უნდა ჰყოლოდა, მაგრამ ომი იყო და... თუმცა გალინა მასწავლებლის სახელზე, ფრონტიდან გამოგზავნილი სამკუთხა ბარათები, რომელსაც თითქმის ყოველდღე იღებდა ადრესატი და ბევრს, ამ წერილების გამომგზავნი ჯარისკაცი, ის ლამაზი ბიჭი, თაყვანისმცემელი ეგონა, გალინას ძმა იყო, ზაქარია დეკანოიძე... ვინ იცის, რაზე ან ვისზე არ წერდა ერთმანეთს და-ძმა, ჰო. წერდნენ... წერილი! – იმდენი წერილი ალბათ კაცობრიობის ისტორიას, კაცობრიობის არსებობის მანძილზე არ დაწერილა, რამდენიც ომის დროს... კონვერტი არ იყო საჭირო, არც ძვირფასი ქალაღდი, წერილი ინერებოდა სუფთა ქალაღდზე, გაზეთის ფურცელზე, ფანქარზე, ქვაზე, კედელზე, სვეტებზე გასაგზავნი თუ გაუგზავნილი, შინაურებისთვის თუ მომა-

ვალი თაობებისთვის... ქალაქს სამკუთხად კეცავდნენ და მიჰქროდა შორს, ფრონტიდან – შინისაკენ, შინიდან – ფრონტისაკენ... შინ უფრო მეტს წერდნენ, წერდნენ გამამხნეველ სტრიქონებს, იმედით, სიყვარულით, ალერსით გამთბარ სტრიქონებს... წერილს დიდი, განუზომელი ფასი დაედო! იგი შვებად იქცა, მონოდებად იქცა! წერილი მტრის რისხვად აენტო! – სოფლის ორლობეში ფოსტალიონის გამოჩენა სასიხარულოც იყო და სევდის მომგვრელიც. ყოველდღე მოდიოდა სამშობლოს დასაცავად წასული პირტიტველა ჭაბუკების დაღუპვის ცნობები... უკრაინის მეორე ფრონტზე, ჟიტომირის სოფელ ვისოკი პეჩთან გმირულად დაეცა სოფელ მერჯევის მკვიდრი ზაქარია დეკანოიძე... ჰო, ამ ცნობამ, ძმის დაღუპვის ცნობამ გატეხა წელში, სულიერად კი – ვერა!

ჩემი სკოლა

ქ. ჭიათურის სოფელ ჩხირაულის საშუალო სკოლის დირექტორს გალინა დეკანოიძეს ახალი დავალება მისცეს – სოფელ პერევისაში სკოლა უნდა აეშენებინა, რომლის დირექტორიც თვითონვე იქნებოდა და გაჩაღდა შრომა... მაშინდელი “ჭიათურმარგანტრესტის” კუთვნილ ცხენებზე ამხედრებულ ახალგაზრდა ქალს რომ შენიშნავდნენ, შორიდანვე ცნობდნენ და ყველა საკითხს უპრობლემოდ უგვარებდნენ, ხოლო სოფლის მკვიდრნი კი დიდი სიყვარულითა და სიმპათიით ელოდნენ გალინა მასწავლებლის გამოჩენას, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობასთან და მშენებლებთან ერთად ხან სამშენებლო მასალებით დატვირთულ ხარებს მოუძლოდა, ხან აგურსა და ქვებს, ცემენტსა თუ ქვიშას ეზიდებოდა და მარტო საკლასო ჟურნალიდან კი არ იცქირებოდა, არამედ ფიზიკურადაც შრომობდა. სკოლაც ააშენა და დიდებაც მოიპოვა... საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის სტატუსიც მიიღო და სკოლას, სადაც დღესაც ამაყად ირეკება გაკვეთილების დაწყების ზარი, თავის სკოლად მიიჩნევს...

შემდეგ ჭიათურის რაიკომის ინსტრუქტორად დაანიშნაურეს, მერე ქალაქ ჭიათურის მრავალტირაჟიანი გაზეთის „კომუნისტური სიტყვის“ რედაქტორად დაამტკიცეს. გაზეთი ჭიათურის საქალაქო სტამბაში დასაბეჭდად რომ მიჰქონდა ხოლმე, სტამბის დირექტორმა აქვსენტი გოცაძემ დაადგა თვალი, დაადგა და... არც ქალი იყო გულგრილი ამ ახოვანი, ტანადი, ლამაზი ვაჟკაცის მიმართ, შექმნეს ქართული ტრადიციული ოჯახი. სამი შვილის აღზრდა იოლი არ გახლდათ... ამიტომაც პარტიული წინსვლა არაფრად ჩააგდო და ჭიათურის საქალაქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგემ პარტიის საქალაქო კომიტეტის მესამე მდივნობაზე უარი განაცხადა და განათლების განყოფილების ინსპექტორად განაგრძო მუშაობა.

დასაწყისის გაგრძელება

ქ. ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე, ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ შუშანა რამიშვილთან ერთად სკოლის დირექტორის კაბინეტში გამოგვიძახეს. დირექტორმა, ბატონმა ელდარ ვაშაძემ ჩვეული სიდარბაისლით მიგვიღო, მერე შუშანა მასწავლებელს მიუბრუნდა და – “იცით ამ

ყმაწვილის ლექსებით თბილისშიც დაინტერესდნენ, პიონერთა რესპუბლიკურ სასახლეში, ამიტომ უნდა შევხვდეთ ქალაქის განათლების განყოფილების ინსპექტორს გალინა დეკანოიძეს”

იმ დღესვე წავედით განათლების განყოფილებაში. შეხვედრისთანავე უდიდესი სითბოთი სავსე თვალები მოგვანათა გალინა მასწავლებელმა, ისეთი, როგორიც ჭეშმარიტ აღმზრდელებს აქვთ, თბილი და მრავლისმეტყველი – გადაწყდა, ქ. თბილისში, ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში უნდა გამოვმგზავრებულებიყავი, მოსწავლეთა მეოთხე რესპუბლიკურ შემოქმედებით შეკრებაზე... ეს გალინა მასწავლებელთან ჩემი პირველი შეხვედრა გახლდათ...

ასი წლის უმღაბ

არ ვიცი, როგორ შეიძლება იმ გრძნობის გადმოცემა, რომელსაც განიცდი მაშინ, როდესაც შენს წინ 100 წლის ადამიანი დგას. არა, გული რომ არ ბერდება ვიცი, მაგრამ თვალებიც არ ბნელდება თურმე... ისევ ისე უდიდესი სითბოთი სავსეა და მასთან ურთიერთობას ის უფრო მიადვილებს, რომ 70 წელზე მეტს ვერაფრით მისცემ, ხოლო მეტყველებითა და აზროვნებით, კიდევ ბევრად უფრო ახალგაზრდაა.

სამი შვილი ... მერაბი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია, მისი მეუღლე ქალბატონი ნანა ლობჯანიძე, ამავე უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი, შესანიშნავი პოეტი და ლიტერატორია, ცირა დიასახლისია, ხოლო მესამე შვილი რამინი ქალაქ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის წამყვანი სპეციალისტი, მისი მეუღლე მარიკა შარიქაძე, ქალაქ რუსთავის მე-5 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილეა, შესანიშნავი ფილოლოგი, დედამთილივით მიზანსწრაფული. მე და მარიკამ რამდენიმე წელი ვიმუშავეთ ერთად, ამიტომაც კარგად ვიცი მისი შემოქმედებითი ნიჭის უზღვავება. გალინა მასწავლებლის შვიდი შვილიშვილიდან ერთი, თამუნა გოცაძე ჩემი თანამშრომელი იყო, უფრო მეტიც, განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი. იგი ისეთი ენთუზიაზმით, ცოდნითა და ერუდიციით უძღვებოდა დაკისრებულ საქმეს, რომ ნამდვილად იგრძნობოდა გალინა მასწავლებლის „სკოლა“.

თოთხმეტი შვილთაშვილი... ეს გალინა დეკანოიძის არასრულყოფილი პროფილია. ასი წლის ქალბატონის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა ჭეშმარიტად მისაბაძია თაობებისათვის, მაგალითი, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ დიდ ხანს და სახელოვნად!

1985 წელს, 67 წლის ასაკში ქ. ჭიათურის საპატიო მოქალაქეობა მიანიჭეს!

წელს კი... ასი წლის ასაკში საქართველოს პედაგოგიური ელიტის უმაღლესი ჯილდო, იაკობ გოგებაშვილის მედალი გადაეცა.

ბარი ჩაფიძიძე

ქილევ ეკთხელ აბრესიის შესახებ

აგრესიის შესახებ ბევრი დაწერილა და წაგვიკითხავს, მაგრამ ამის მიუხედავად, დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება. ტერმინი აგრესიაც ბევრისთვის კარგად ნაცნობია. ყოველდღიურ ცხოვრებაშიც სისტემატურად ვხვდებით აგრესიის შემცველ შემთხვევებს.

განმარტებების და განსხვავებული მოსაზრებების მოძებნა დღეს, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, პრობლემას აღარ წარმოადგენს. ამიტომ ამ სტატიაში აქცენტებს გავაკეთებთ ისეთ საკითხებზე, რაც შემდეგში აგრესიის და მისი ნეგატიური შედეგების პრევენციისთვის დაგვეხმარება. პრევენციისთვის მნიშვნელოვანია, რომ კარგად გავაცნობიეროთ მოვლენის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები და ნეგატიური შედეგები. შევეცადოთ, სხვა თვალთ და პროფელიული კუთხით შევხედოთ ჩვენთვის ნაცნობ ყოველდღიურ მოვლენებს, რასაც ხშირად ყურადღებასაც აღარ ვაქცევთ.

მითუმეტეს, როდესაც დღეს დომინირებს მოსაზრება, რომ ზოგადად გაზრდილია აგრესია და რომ დღეს ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, უფრო აგრესიულები არიან.

არსებობს მოსაზრებები, რომ აგრესია თავისი არსით თვითშენარჩუნებას და თავდაცვას უკავშირდება. ადამიანი აგრესიულად იქცევა იმიტომ, რომ სხვაგვარად ვერ ახერხებს ან ჰგონია რომ შეუძლებელია მისთვის სასურველი შედეგის მიღწევა. ქართულ ვიკიპედიაში აგრესია განმარტებულია, როგორც: „სპეციფიურად ორიენტირებული ქცევა, მიმართული ყველა იმ დაბრკოლების მოსაცილებლად ან დასაძლევად, რომელიც ფიზიკური და/ან ფსიქიკური ორგანიზმის მთლიანობას უქმნის საფრთხეს“ (ვიკიპედია) მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აგრესიული ქცევა განსხვავდება ქცევისგან, თუკი ის საკუთარი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, უფლების დაცვას ისახავს მიზნად.

აგრესია – სხვისთვის ზიანის მომტანი ქცევაა. მაგრამ არის თუ არა აგრესია, თუ სხვას შემთხვევით მოვუტანთ ზიანს? ასეთი სიტუაციები, განსაკუთრებით ბავშვების შემთხვევაში – საბავშვო ბაღებში, სკოლებსა თუ თამაშის დროსაც, ძალიან ბევრია. ამას გარდა, ზოგჯერ „სხვისთვის ზიანის მომტანი“ ქცევა მისაღებად და გამართლებულად მიგვაჩნია, მაგალითად, დასჯა. არის თუ არა ესეც აგრესია?

ნიმუშისთვის, მოდით გადავამოწმოთ, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან, რომელი მიგაჩნიათ აგრესიად?

- სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება;
- ვინმეს შესახებ მავნე ჭორის გავრცელება;
- ბავშვის დასჯა, მაგ; თანატოლთა წვეულებაზე წასვლის აკრძალვა;
- სხვების თანდასწრებით დაცინვა;
- ბავშვის იძულება მუქარით, რომ იმეცადინოს;

- პატრულის მიერ ჯარიმის გამოწერა;
- ოჯახის წევრთან ჩხუბი/ყვირილი;
- გაუფრთხილებლობით ვინმესთვის მიყენებული ზიანი და ა.შ.

ალბათ ადვილი მისახვედრია, რომ სავარაუდოდ, თქვენი და თქვენი ახლობლების აზრებიც კი შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს. ვინაა მართალი?

მარტივად რომ განვმარტოთ, აგრესია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს თავდასხმას. ფსიქოლოგიაში აგრესია განიმარტება, როგორც სხვისთვის ზიანის მიყენებისკენ განზრახ მიმართული ქცევა. ერთმანეთისგან განსხვავდება ბრაზის ემოცია და აგრესია. შესაძლებელია, ადამიანი მართოს თავისი ემოცია და ზიანი არავის მიაყენოს და შესაძლებელია, ადამიანი იმ მომენტში სულაც არ ბრაზობდეს, მაგრამ აგრესიული ქცევა განახორციელოს. აგრესიის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია წინასწარი განზრახვის არსებობა. თუ ადამიანი ვინმეს წინასწარი განზრახვის გარეშე მიაყენებს ზიანს, ეს აგრესიად არ ჩაითვლება. მოდით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ ზემოთ განხილულ ჩამონათვალს და დავრწმუნდეთ, რამდენად სწორი იყო ჩვენი ან ჩვენი ახლობლების პასუხები.

რა ინვესტაცია აგრესიას?

აგრესიის გამომწვევი მრავალრიცხოვანი მიზეზებიდან და თეორიებიდან გამოვყოთ რამდენიმე, რასაც უფრო ხშირად ვაწყდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში და რაც გავლენას ახდენს მოზარდების ქცევის ფორმირებაზე.

პედაგოგებისთვის ცნობილია ალბერტ ბანდურას სოციალური დასწავლის თეორია. მისი არსი ისაა, რომ ქცევის ახალ ფორმებს შეიძლება დავეუფლოთ უშუალო გამოცდილების გარეშეც, სხვაზე დაკვირვებით. სწორედ დაკვირვებისა და მიბაძვის გზით ხდება მანერების, ჩაცმისა თუ საუბრის სტილის და ა.შ. დამკვიდრება, მოცემული კულტურისთვის მისაღები ქცევების დასწავლა. ამავე დროს, ხშირად სულაც არა აქვთ გაცნობიერებული, რატომ აკეთებენ ამას. ბავშვების ქცევაში უამრავჯერ შეგვიძლია მსგავსი მაგალითი ვნახოთ. ისინი ხშირად სწორედ ისე იქცევიან, იგივე მანერებს ან ფრაზებს იყენებენ, რასაც ირგვლივ ხედავენ.

ადამიანს, რომელსაც აკვირდებიან, მოდელს უწოდებენ, ხოლო მოდელზე დაკვირვების გზით სხვა ადამიანის მიერ გარკვეული მოქმედების ან ქცევის ათვისების პროცესს – მოდელირებას.

მოდელი შეიძლება იყოს როგორც რეალური ადამიანი (მეგობარი, მშობელი, და ან ძმა, მასწავლებელი და სხვა), ასევე ფილმის, ლიტერატურული ნაწარმოების ან თამაშის გმირი. ეს სიმბოლური მოდელები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც რეალური. მოსწავლისთვის ხშირად მისაბაძი სწორედ სიმბოლური მოდელი ხდება. მოდელზე დაკვირვებით ადამიანებმა შეიძლება დაისწავლონ როგორც სასურველი, ისე, არასასურველი ქცევა.

ამ თეორიის გახსენების შემდეგ დავფიქრდეთ, ვინ არიან მოდელი დღევანდელი ბავშვებისთვის? რას და ვის ხედავენ ხშირად თავიანთ ონლაინ თამაშებში? მეომრებს და ბრძოლებს ხომ არა? ან რას აშუქებს ხშირად ტელევიზია? იქნებ ძალადობის, უფლებების დარღვევის, აგრესიის ფაქტებს? საინტერესოა, პროცენტულად როგორი შინაარსის ინფორმაცია უფრო მეტად შუქდება დღეს ტელევიზიით: პოზიტიური თუ ნეგატიური? გამოჩენილ მეცნიერებსა თუ სპორტსმენებზე უფრო მეტ ინფორმაციას იღებენ თუ დამნაშავეებზე ან მჩაგვრელებზე? ხშირად ხომ არ გვაკინწყდება, რომ ვერბალური აგრესიაც აგრესიაა (მაგ: გინება) და ხშირად ხომ არ ხვდებიან ბავშვები ისეთ სიტუაციაში, როდესაც უფროსები არც კი ვრეაგირებთ ასეთ აგრესიაზე? მაგ: „მთვრალია და იგინება, მე რას გავაგებინებ?“ არც ვიცნობ და მეტყვიან, რა შენი საქმეაო“? „ხომ არ ჩხუბობს და გინებას ვილა დაეძებს“? და ა.შ. რას სწავლობენ ამ დროს ბავშვები? იმას ხომ არა, რომ გინება მისაღებია, მით უმეტეს, ნასვამისთვის?

ცნობილია ა. ბანდურას ექსპერიმენტების სერია. ამ ექსპერიმენტების დროს ბავშვები უყურებდნენ ფილმებს, რომლებშიც დემონსტრირებული იყო სხვადასხვა დონის აგრესია. მაგალითად, უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებმა ნახეს ფილმი, სადაც ერთი ბავშვი გამეტებით ურტყამდა თოჯინას (თოჯინა ბობო), მაგრამ სხვადასხვა დასასრულით. კერძოდ, ერთმა ჯგუფმა ნახა, რომ ბავშვი აგრესიისთვის დააჯილდოეს, მეორემ – რომ დასაჯეს, მესამემ კი საერთოდ ვერ ნახა შედეგი, ანუ ბავშვს არც სჯიდნენ და არც აჯილდოებდნენ.

ფილმის ნახვის შემდეგ ბავშვები გადაიყვანეს მეორე ოთახში, სადაც მათ ასეთივე თოჯინა დახვდათ.

ბავშვები, რომლებმაც ნახეს, რომ აგრესიისთვის (თოჯინის ცემისთვის) ბავშვი დაჯილდოვდა, თვითონაც აგრესიულად იქცეოდნენ – ცემდნენ თოჯინას. მან, ვინც ნახა, რომ თავდასხმისთვის ბავშვი დაისაჯა, ნაკლები აგრესია გამოამჟღავნა. რაც შეეხება ბავშვებს, რომლებმაც შედეგი ვერ ნახეს, როდესაც მათ ჯილდოს დაჰპირდნენ ფილმში ნანახი აგრესიის მიბაძვისთვის, ყველამ დაადასტურა, რომ მათ ისწავლეს აგრესიული ქცევა.

იქნებ საზოგადოებამ კიდევ ერთხელ უნდა გადავხედოთ იმ გარემოს და ფაქტორებს, რაც ბავშვებზე გავლენას ახდენს?!

ცნობილია, რომ აგრესიულ ქცევას ხშირად წინ უსწრებს სიბრაზე და ნეგატიური ემოციები ან ფრუსტრაცია. იქნებ საზოგადოება უნდა დავფიქრდეთ კიდევ ერთხელ, ვასწავლით კი ჩვენს ბავშვებს და ახალგაზრდა თაობას, როგორ მართოს სტრესი, ემოცია? სად ვასწავლით, ოჯახებში თუ სკოლაში, რომელიმე სასწავლო დისციპლინაში? როგორ ვასწავლით, კონკრეტული რეკომენდაციებით ან სავარჯიშოებით თუ მხოლოდ ზოგადი დიდაქტიკური ფრაზებით შემოვიფარგლებით?

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფასეულობები, რაც ჩვენს მომავალ თაობას უყალიბდება. ალბათ არც ერთ უფროსს არ გვინდა,

რომ ჩვენი მომავალი თაობა აგრესიულობით გამოირჩეოდეს, მაგრამ რას ვაკეთებთ ამისთვის? გვინდა, რომ ისინი იყვნენ ტოლერანტები, პატივს ცემდნენ ერთმანეთს და სხვებსაც, მაგრამ ვიცით კი, როგორ და როდის გავაკეთოთ ეს? საიდუმლო არაა, რომ ხშირად მოზარდები, განსაკუთრებით ბიჭები, გამოირჩევიან ასოციალური ქცევით. რატომ იქცევიან ასე? იქნებ ამით ჩვენი ან თანატოლების ყურადღების მიპყრობა უნდათ? ან იქნებ უბრალოდ ამით ცდილობენ სოციუმში თავისი ადგილის დამკვიდრებას? მახსენდება შემთხვევა, როდესაც ათასმოსწავლიან სკოლაში ფსიქოლოგად მუშაობის დროს თითქოს ერთგვარი „მოდა“ შემოვიდა და უფროსკლასელი ვაჟები ახლადშეცვლილ კლასის კარებს მხოლოდ ფეხით ალებდნენ. როგორც სკოლის ფსიქოლოგმა, უფროსკლასელებთან ჩავატარე ანონიმური გამოკითხვა, სადაც გოგონებმა უპასუხეს შეკითხვას: „როგორი ბიჭები მოგწონთ?“ ბიჭებმა კი – „როგორი გოგონები მოგწონთ?“ როგორც მოსალოდნელი იყო, გოგონების პასუხში სულაც არ გამოიკვეთა მოსაწონად კლასის კარის ფეხით გაღების მსგავსი ქცევა. შედეგები გავაცანი ყველა უფროსკლასელს. ამის შემდეგ, მნიშვნელოვნად შემცირდა ბიჭების მხრიდან იგივე ქცევა, რადგან ისინი ამით გაუცნობიერებლად თავს აწონებდნენ გოგონებს.

რა კავშირშია სქესი და აგრესიულობა?

არსებობს მოსაზრება, რომ ვაჟები მეტად არიან მიდრეკილი აგრესიისკენ, ვიდრე გოგონები. ამ საკითხზე კვლევები განსხვავებულ პასუხებს გვაძლევს. ზოგი კვლევის შედეგად, განსხვავება არაა მნიშვნელოვანი, სხვა კვლევების შედეგად – გოგონებს მეტი აგრესიულობა ახასიათებთ. მნიშვნელოვანია, რომ გოგონები გამოირჩევიან არაპირდაპირი და ვერბალური აგრესიით, მაგ: სოციალური ჯგუფიდან გარიყვა, წივილ-ყვირილი, ზურგს უკან ჭორების გავრცელება და ა.შ, ხოლო ვაჟები – ფიზიკური და პირდაპირი ანუ უშუალოდ სუბიექტის წინააღმდეგ მიმართული აგრესიით, მაგ: ჩხუბი. გოგონები უფრო ემოციური აგრესიით გამოირჩევიან და მეტად გამოხატავენ თავიანთ ემოციებს, ვაჟები კი უფრო ხშირად ძალაუფლების მოპოვებას ცდილობენ.

მნიშვნელოვანია ისიც, როგორი გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებას ვუწყობთ ხელს ახალ თაობაში. საკამათო აღარაა, რომ სტერეოტიპები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის მიერ მოვლენების შეფასებას და მის ქცევას. გავიხსენოთ, რამდენჯერ გაგვიგონია ვაჟების მისამართით ნათქვამი: „რა გატირებს, გოგო ხომ არა ხარ?“ არა და, იქნებ სწორედ ტირილი შეიძლება იყოს შვევა, განტვირთვის შესაძლებლობა და აგრესიული მუხტის დაგროვების ალტერნატივა. რამდენჯერ გაგვიგონია ეზოში მოთამაშე ბავშვების „დიდაქტიკური შეგონება“ – „დაგარტყა და შენც დაარტყი. ვაჟკაცი არა ხარ?“ ხომ არ ვასწავლით ამით, რომ ვაჟკაცობა ნიშნავს შეუწყნარებლობას, იმპულსურობას და/ან ფიზიკური ძალის

უპირატესობას? ან გოგონებთან შედარებით რამდენად ნაკლები ვაჟია დაკავებული საბალეტო სკოლებში? არა და, იქნებ სწორედ აქ ეპოვა რომელიმე „უკან რომ არაფერზე დაიხვეს, ისეთ კარგ ვაჟკაცს“ თავისი მოწოდება და თვითრეალიზებაც მოეხერხებინა? აბრაამ მასლოუს პედაგოგებისთვის კარგად ცნობილი მოთხოვნილებათა პირამიდაც ხომ იმას გვეუბნება, რომ თვითრეალიზაციამდე ჯერ სხვა მოთხოვნილებების საფეხურებია გასავლელი, მათ შორის მოთხოვნილებები, რომ მიგიღონ ჯგუფის წევრად, გქონდეს დადებითი თვითშეფასება, სხვების მიერ პატივისცემა და აღიარება, წარმატების, დამოუკიდებლობის მოთხოვნილებები. და რადგან ეს მოთხოვნილებები სხვაგან ვერ დაიკმაყოფილა, ეს „ვაჟკაცი“ მიეკედლა მოზარდობისას „ქუჩის ბიჭების“ ჯგუფს და ამან განსაზღვრა მისი მომავალი.

სტერეოტიპების და მოზარდებზე მიწებებული იარლიყების მნიშვნელობის გასააზრებლად გავიხსენოთ ცნობილი ამერიკელი პედაგოგის ჯეინ ელიოტის გახმაურებული ექსპერიმენტი, რომელიც თავის მესამე კლასელებთან ჩაატარა და რომელმაც შემდეგ ბევრი მკვლევარი და აღზრდის საკითხებით დაინტერესებული აალაპარაკა. ექსპერიმენტის მოკლე და ვრცელი ვარიანტების ამსახველი ვიდეო რგოლები ადვილად შეგიძლიათ იპოვოთ ინტერნეტში როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაზე სათაურით „ჯეინ ელიოტის ექსპერიმენტი“


(<https://www.youtube.com>) ან სხვა ინტერპრეტაციები ექსპერიმენტისა „ყავისფერი თვალები – ლურჯი თვალები“. ექსპერიმენტში ნაჩვენებია, როგორ იცვლებიან ელიოტის მოსწავლეები ახალი იარლიყების გავლენით, რომელიც მოსწავლეებს უპირატესობას თვალების ფერის მიხედვით ანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ექსპერიმენტის მიზანი მოსწავლეებისთვის ანტირასიზმის მნიშვნელობის გააზრება იყო, ექსპერიმენტში კარგადაა ნაჩვენები ზოგადად სტერეოტიპების და იარლიყების გავლენა.

აგრესიასა და ძალადობაში სტერეოტიპების მნიშვნელობაზე ფიქრისას ღირს გავიხსენოთ ცნობილი ძალადობის პირამიდა. პირამიდის პირველი საფეხური სწორედ სტერეოტიპებია და ქცევაში გამოიხატება, როგორც ზიზღთან მიახლოებული აქტები – იარლიყები, დაცინვა, ჭორები, უარყოფითი ინფორმაციის მიღება, დადებითი ინფორმაციის იგნორირება, გულგრილობის დემონსტრირება.

მეორე საფეხური, შეუწყნარებლობა, ქცევაში გამოიხატება, როგორც: განტევეების ვაცის ძებნა/მისი გამოყოფა, დაცინვა, სოციალური იზოლაცია, დეჰუმანიზაცია.

მესამე საფეხურის, დისკრიმინაციის აქტებია: სექსუალური შევიწროება, დისკრიმინაცია სამუშაოზე მიღებისას ანდა განათლების სფეროში, საზოგადოებისგან მიუღებლობა.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ დისკრიმინაციის შემდეგი საფეხური არის ძალადობა და შემდეგ უკვე გენოციდი.



ნახატი 1. ძალადობის პირამიდა

რა ფაქტორები ახდენს (ინვეს) აგრესიის პროვოცირებას?

ერთის მხრივ, პრაქტიკა აჩვენებს, რომ აგრესიული ქცევა დაისწავლება, მაგალითად, თუ ბავშვის არასასურველ ქცევაზე უფროსები ყვირილით ან მუქარით რეაგირებენ, ბავშვიც უფროსებს მიბაძავს და ჩათვლის, რომ ყვირილი ან მუქარა არასასურველ სიტუაციაზე რეაგირების ოპტიმალური გზაა. ამიტომ მნიშვნელოვანია, გავაკონტროლოთ აღზრდის სტილი, რომელსაც ბავშვებთან ვიყვებნთ – ხომ არ ვართ ზედმეტად მკაცრები (ავტორიტარული) ან ზედმეტად დამთმობები (ქაოსური/ინდიფერენტული)?

მეორე მხრივ, მკვლევარები ადასტურებენ, რომ აგრესიულ ბავშვებს გარკვეული თავისებურებები ახასიათებთ, მაგალითად, თანატოლებისგან გამოირჩევიან ემოციურობით, მიაჩნიათ, რომ გარემო მათდამი მტრულადაა განწყობილი. იქნებ ამაში ჩვენი, უფროსების და იმ გარემოს წვლილია, რომელიც ჩვენ შევქმენით?

მკვლევარების ნაწილი მიიჩნევს, რომ აგრესია ნეგატიური ემოციების, მაგალითად, ბრაზის შედეგია. ბრაზს კი მოზარდებში ხშირად ინვეს:

- ფრუსტრაცია (იმედგაცრუება);
- არარეალიზებული გეგმები (მათ შორის მოკლევადიანი და ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული, მაგალითად, კომპიუტერით თამაშის აკრძალვა),
- სასკოლო თუ საოჯახო კონფლიქტები;
- თანატოლებისგან არასასურველი დამოკიდებულება;

• რაიმეს იძულება (თუნდაც იცოდეს, რომ ეს მისთვის სასარგებლოა);

• მკაცრი, ქაოსური ან არათანმიმდევრული აღზრდა.

მოზარდებში აგრესიის პროვოცირება შესაძლოა გამოიწვიოს ისეთმა ფაქტორებმაც, როგორცაა:

• პირადი პრობლემების მოუგვარებლობა;

• ალკოჰოლი ან ფსიქოტრუპული პრეპარატები;

• სოციუმისგან ან თანატოლების ჯგუფისგან გარიყულობის განცდა;

• გადაღლა;

• ძალადობის შემცველი ინფორმაციის სიჭარბე;

• ძალადობრივი გარემო.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია, ოჯახმა, სკოლამ, საზოგადოებას საკუთარი ქცევით ვაჩვენოთ და ვასწავლოთ ახალგაზრდებს ემოციების მართვის, ტოლერანტობის, ემპათიის მაგალიტები. მოვუსმინოთ ჩვენს შვილებს და მოსწავლეებს, კრიტიკის გარეშე გავიგოთ, რა ანუხებთ, გავატაროთ მათთან ერთად მეტი დრო, ვაჩვენოთ (და არა ვუთხრათ), რომ ჩვენ გვესმის მათი და მზად ვართ მივიღოთ ისინი თავიანთი ემოციებით და განცდებით, რომ კი არ განვსჯით მათ თავიანთი გრძნობებისა და სურვილებისთვის, არამედ ვცდილობთ, დავეხმაროთ მათთვის ოპტიმალური ვარიანტის მოძებნაში. მნიშვნელოვანია, საკმარისი დრო და მონდომება დავუთმოთ ძირითადად პრევენციულ ღონისძიებებს, რადგან ეს გაცილებით ეფექტიანი და მომგებიანი სტრატეგიაა, ვიდრე აგრესიის შედეგების კორექცია.

ცირა თავზავაძე

ფსიქოლოგი

ბევრ ტანჯვას და ვაი-ვაგლახს გამოივლის ახალი აზრის მქადაგებელი, ვიდრე დაიყოლიებს საზოგადოებას და ჩააგონებს თავის საკუთარ რწმენას.

ილია ჭავჭავაძე

ნიგნეის წიკას ლაქეის თინება სჭირდება

გერონტი გოგინაშვილს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. ჯან-მრთელობა და სიცოცხლე კვლავაც დიდ ხანს გაუგრძელოს ღმერთმა, ღვთისნიერი კაცი, ქრისტიანი, სიკეთით სავსე, მთელს გორს უყვარს, პატივს ცემენ, ეფერებიან...

5 წლის წინ იყო, 85 წლისთავი რომ აღუნიშნეს თანამემამულეებმა. იჭვით უყურებდა თავის მომავალს ბატონი გერონტი, ვაი თუო, მაგრამ დღესაც ისევე ენერგიულად, ომახიანად არის, როგორც მაშინ და კიდევ იმის წინ იყო. ამ კაცზე ამბობენ, არა ბერდებაო.

– მართლა, ბატონო გერონტი, რა არის თქვენი მარადიული ახალგაზრდობის მიზეზი?

ჯერ კიდევ დილა ეთქმებოდა, ქალები საბძლის გვერდზე გზის პირას ქათმებივით ჩამომსხდარიყვნენ, მზეს მიფიცხებულები თავიანთ ჭირ-ვარამზე საუბრობდნენ, თან ქვეყნის საქმეს არჩევდნენ და ისე ყაყანებდნენ, თითქოს წისქვილში ყოფილიყვნენ, ხან კი მათი ხმა სკიდან გამოსული ფუტკრის ნაყარის ზუზუნს მომაგონებდა. რომ დაინახეს სონია ჩქარი ნაბიჯით მათკენ მიდიოდა, ისე გაჩუმდნენ, თითქოს წისქვილის წყალს სათავე გადაუგდესო, თან გულში გაეხარდათ, ახალ ამბავს გვახარებსო. თებრომ კი წყრომით წარმოსთქვა, ქუჩაში გაგდებული ძაღლივით წანწალს როდის უნდა გადაეჩვიოს ეს სამიწეო, აჰა, ჯოჯოხეთს კიდევ ერთი მუგუზალი მოემატა, მოვა და აიკლებს აქაობას.

„ულვაშა“, გვ. 105

– სიკეთე და სიყვარული, ჩემო ბატონო, ეს გრძნობა და განწყობა შიგნიდან, გულიდან უნდა მოდიოდეს და ისევე გულს უნდა უბრუნდებოდეს. სიკეთე იმის იმედით არ უნდა აკეთო, რომ ვალივით უკან დაგიბრუნდება, არა, ჭეშმარიტი სიკეთე უანგაროდ კეთდება, ეეჰ, რაც მე სიკეთე მიკეთებია, ვინ მოთვლის, ღმერთმა შვილების, შვილიშვილებისა და მათი შვილების სიმრავლით დამიბრუნა. ღვთის წინაშე პირნათლად დავდივარ და ესაა ჩემი ცხოვრების აზრი...

– პატიოსნებასა და მორალზე რას იტყვით ბატონო გერონტი?

– ამ კითხვაზეც გულწრფელად მოგიგებთ პასუხს, ძალიან პატიოსანი და ალალი კაცი ვარ. (თვალებიდან ცრემლი გადმოსდის) ეს თვისებები ქართლებსათვის ზოგადად დამახასიათებელია, მე – ნამეტანი. ადამიანი გაჭირვებაში არასოდეს მიმიტოვებია, ჩემი მინა-წყლის, ჩემი ჯიშის კაცს, როგორ ვუღალატო, ეს შეუძლებელია, არაა, ამას არ ვიზამ, ფულის და ქონების დედაც არ ვატირე, კაცი კაცურად უნდა ცხოვრობდეს. მქონდეს და მოვატყუილო ადამიანი, არა მაქვს, გაჭირვებული ვარმეთქი? – ეგ შეუძლებელია. მაშინ მოკვდე...

პატიოსნება, უნდა გითხრათ, რომ აბსტრაქტული კატეგორიაა და გენეტიკურიც – ჩემი წინაპრებისაგან მომდევს შინაგანი ზნეობა და მორალი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ვიცი, როგორ ვცე პატივი მეგობარს, მეზობელს, ნათესავს, ქალს, კაცს, ბავშვს, დიდსა და პატარას. ზნეობა და მორალი ქმედებებშია გამოხატული და ეს აბ-

სტრატეგიული ცნება მაშინვე ცოცხლდება, ხელშესახები ხდება, როცა გატყუებენ, გლალატობენ... უზნეო ადამიანების მეტი რაა დღეს დედამიწაზე და საქართველოშიც, მაგრამ ცხოვრების აზრი იმაშია, რომ ზნეობრიობა მუდამ სჯაბნის უზნეობას და გამარჯვებული მუდამ სიკეთე გამოდის, ასე რომ არ იყოს, გადაშენდებოდა დედამიწა.

– **და უზნეო ადამიანებთან პირისპირ შეხვედრისას როგორ იქცევით, რა კანონებით მოქმედებთ?**

– ვაჟკაცურად, არც წავიღებ და არც მოვიტან, პირში ვეუბნები, უზნეო კაცი ხარმეთქი, თუ საჭირო გახდა, ერთი ლაზათიანად შევუკურთხებ ხოლმე კიდეც, ოღონდ, არა – კახურად.

– **მაგით რის თქმა გინდათ ბატონო გერონტი, კახელები უფრო მეტად ბილწსიტყვაობენ, ვიდრე ქართლები?**

– აბა რა, ამ თემაზე კამათი როგორ შეიძლება.

კახელებმა სამსართულიანი გინება იციან, ჩვენ, აქაურებმა, უფრო მორიდებული.

– **ვინმე რომ გალანძღეთ, ერთი ისეთი შემთხვევა მიამბეთ, რაღაც ვერ ვიჯერებ, რომ...**

– არა ჩემო ბატონო, რადიკალური პიროვნება გახლავარ, ვითმენ, მაგრამ მერე, მტრის კარს, მაგალითს გიამბობთ... ამ სამი წლის წინ ერთ ჩემებურ, ვითომ განათლებულ კაცს, თანამდებობის პირს ავტოგრაფით ჩემი წიგნი ვაჩუქე, დიდი პატივით, რაღათქმა უნდა. გავიდა ხანი, ერთი, ორი წელი... გავიხედე და შემხვდა გზაში, მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი და შუა ლაპარაკში ვკითხე: – აბა რა აზრის ხართ ჩემს წიგნზე-მეთქი?

ჯერ გაიკვირვა, რა წიგნიო? ...ცხადი იყო, ნაჩუქარი წიგნი სადღაც დავინწყნოდა, მერე ძლივს გაიხსენა და მიპასუხა,

– ...ჰოო, სად მეცალა კაცო შენი წიგნის წასაკითხადო... – ისე უდარდელად თქვა, მე შემრცხვა.

არც მე დავაყოვნე პასუხი:

– ფუ შენს კაცობას, შე კაი კაცო, ზრდილობის გამო მაინც გეთქვა, რომ წაიკითხე, იცი რა არის წიგნი და მწერალი? წიგნის დაწერას ღამეების გათენება და დიდი სიყვარული სჭირდება და შენ ისიც არ გახსოვს, რა წიგნი გაჩუქე-მეთქი... კარგა გვარიანად შევაგინე და დავშორდი...

სტალინმა შემოიტანა ხალხის შეგნებაში სამშობლოს სიყვარულის მძაფრი, ისტორიული სურნელი. მან შეძლო შეეჩერებინა ეკლესიების ნგრევა იმ მოტივით, რომ კულტურულ-ისტორიული ძეგლების ნგრევა საჭირო არააო. ეკლესიების დანგრევის მომხრენი კი იყვნენ ლენინი და ტროცკი.

„იოსებ სტალინი“, გვ40

დღემდე არ ვცნობ იმ კაცს კაცად და იმიტომ კი არა, რომ კონკრეტულად ჩემი წიგნი არ წაიკითხა, იმიტომ რომ ზოგადად, უწიგნურია. დღეს თანამდებობებზე ძირითადად წიგნთან ძალიან დაშორებული

ადამიანები სხედან. ჩვენი დრო სხვა იყო, წიგნიერებამ მოგვიყვანა ქართველობა და ისევ წიგნიერებამ უნდა გადაარჩინოს ჩვენი ერი, სხვანაირად არ ეგებოს...

– **ბატონო გერონტი, თქვენი ყველა ნაწარმოები, სხვადასხვა სიუჟეტებზეა აგებული, თემა კი ფაქტიურად ერთია, სამშობლოს დაფასება და სიყვარული. რა არის თქვენთვის სამშობლო?**

– სამშობლო, გენიოსი გალაკტიონისა არ იყოს, დედულ-მამულის ცვრიან მდელოზე ფეხშიშველი გავლით უნდა შეიქცნო და ეს გრძნობა სიყმანვილიდანვე უნდა იზრდებოდეს ადამიანში. ჯერ კიდევ შვიდი წლისა ვიყავი, ჩემი მშობლიური სოფლის ტირძნისის ველ-მინდვრებში, ცელს რომ ვიქნევდი და ვშრომობდი. ოთხ დას ერთი ძმა ვყავდი. მამა დაგველუბა, დედა გვზრდიდა შვილებს. იმ დღიდან მოყოლებული დღემდე, ჩემი დების მიმართ, სიყვარულის გარდა, პასუხიმგებლობის დიდი გრძნობა გამაჩნია. ჩემს არცთუისე დალხინებულ ოჯახში შევიგრძენი ადამიანთა დაფასების, შრომის სიყვარულის, წარსულის პატივისცემის გემო და ფასი, დღემდე ასე მოვდივარ. სამშობლოს სიყვარული ირგვლივ მყოფ ადამიანთა სიყვარულში უნდა ცხადდებოდეს, სხვანაირად იგი ერთი ჩვეულებრივი სიტყვაა და მეტი არაფერი. ადამიანები და მერე... შენი კარ-მიდამო, ადგილი, სადაც დაიბადე, მამული, ხე, ბალახი, მთა-გორები, ქვები რომ ქვებია, ის უნდა გიყვარდეს შენს სოფელში და ასე ვარ დღესაც. ჩემი დიდი სამშობლო ტირძნისიდან იწყება, ეს სიყვარული მთლად საქართველოს ერწყმის და მერე უკან მიბრუნებული, ისევ ტირძნისისაკენ მიმავალი გზით და იქაურებით მთავრდება.

სოფოსთვის ბებო არ იყო მარტო გამზრდელი, ის იყო მთელი სიცოცხლე, მასწავლებელი, სარწმუნოება, უმანკოება, სიბრძნე და თვით ღმერთიც კი. სოფოს თავი ჩაელუნა კინწმონყვეტილი ვარდივით, სათქმელი ძაფი გაუნყდა, აიბუზა ავადმყოფი, ქულა წინილასავით. ცრემლები მოეძალა, შინაგანი ტკივილით აკანკალდა შეცივებული ბავშვივით, ბაგე ვერ გახსნა სიტყვის სათქმელად, ტირილი დაიწყო. ბებო მიეფერა, გულზე მიიკრა, – კარგი შვილო, თქვი, ნუ მომკლავ, შენ გენაცვალოს ბებო, ჩემო ერთადერთო.

„ბარონი“, გვ55

ანტუან დე სენტ ეგზიუპერს აქვს კარგად ნათქვამი: „ჩვენ ყველანი ჩვენი სიყმანვილიდან მოვდივართ“, მე დავამატებ: – სიბერეში, გვსურს თუ არა გვსურს, ისევ სიყმანვილისაკენ მივდივართ, ეს ჩემმა ასაკმა შემაცნობინა, რაც ვბერდები, უფრო და უფრო მენატრება ჩემი სიყმანვილის მშობლიური სანახები, ფოთოლთა შრიალი, ჩიტების ჟიჟივი, ძაღლების ყეფა, ურმების ჭრიალი... ესაა ჩემი სამშობლო და კიდევ ის, რაც ვაჟამ ასე მრავალაზროვნად გამოხატა:

„ჯიხვს იალალი ალაღებს,
არწივს – მალალი მთანია,
რად მიყვარს ჩემი სამშობლო,
განა ეს საკითხავია?“

სამშობლოს გარეშე ამ ქვეყნად ჩემი არსებობა აზრს დაკარგავდა და ...

– ალბათ კალამსაც სამწერლოდ ვერ მოჰკიდებდით ხელს არა?

– დიახ, გადაუჭარბებლად გეტყვით, რომ ასეა, ჩემი ქვეყნისა და ჩემიანების დიდმა სიყვარულმა ამალებინა ხელში კალამი. ამტკივდა საქართველო, ამტკივდა მისი ჭირსა და ვარამში ჩავარდნილი ხალხი, ნალველი გამიჩინა ყველაფერმა, შემძრა გასული საუკუნის 80-90 წლებში დატრიალებულმა სამოქალაქო ომებმა, ეთნიკურმა კონფლიქტებმა, საზოგადოების დაპირისპირებამ, ქართველთა გათითო-კაცებამ და ასე, თავისდაუნებურად შეიქმნა ჩემი წიგნები.

– ბატონო გერონტი, როდის წერთ, დღისით თუ ღამით? დალხინებულ თუ გაბრაზებულ ხასიათზე მყოფი? ადვილად წერთ თუ წერთ და შლით, შლით და წერთ?..

მთელი რვა წლის მანძილზე ვერაფერს მივხვდი მისი აგენტობის შესახებ, იმას კი ვხვდებოდი დიდკაცობის მანიით რომ იყო შეპყრობილი და ჩემი ადგილისათვის რომ ეჭინჭრებოდა ტანი. ყველა სულდგმული ერთმანეთს ებრძვის, რომ თვითონ იცხოვროს, ზოგი კაცი ქამელეონივით იცვლის ფერს, როგორც დასჭირდება თავის გადარჩენის და დანაშაულების მიზნით ბოროტება და კეთილშობილება ებრძვის ერთმანეთს.

კაცს სინდისი არ უნდა დაეკარგოს, სიხარბემ არ უნდა დაძლიოს. კაცის ფორმა ყოველთვის არ ნიშნავს კაცობას. კაცი თურმე ფრთხილი უნდა იყოს და ცოტათი ეჭვიანიც, უცხო თვალით უნდა უყურებდეს ხანდახან ასეთ ადამიანს მეძებარი ძაღლის ყნოსვა უნდა ჰქონდეს, მე ვერ ამოვიცანი, გველი ყოფილა და დამშხამა კიდეც, მე კი მეგობარი მეგონა. ნამეტანი გულუბრყვილობა გამოვიჩინე, როგორ ვერ მივხვდი, ზოგჯერ რომ მოუთვინიერებელი მხეცივით იღრინებოდა.

“კაცი-რაინდი”, გვ.57

– ღამე, ღამეა ჩემი მეგობარი. თავი და აზროვნება მხოლოდ „წერის არხზე“ უნდა იყოს ჩართული. მოვიდა წერის მუხტი? ხელიდან არ უნდა გაუშვა ეს შესაძლებლობა, მეც იმავე წუთში ვიღებ კალამს და ვწერ, უნდა გითხრათ, რომ ვწერ ძალდაუტანებლად, თავისუფლად, ქართულ ლექსიკაში არ ვიკარგები, ადვილად ვპოულობ ჩემი აზრის ფორმირებისათვის შესაფერის ტერმინებს, სიტყვებს, ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს, დიდ ხანს არ ვეჯაჯგურები აზრს, ლალად წერა მკითხველისათვის იგივეა: ფერ-მარილიანი ლამაზის გვერდზე, ბუნებრივი სილამაზით სავსე გარეგნობის მანდილოსანი რომ დააყენო, განსხვავება ხომ აშკარა იქნება? პირადად მე, ბუნებრივი, ღვთიური სილამაზე მიზიდავს ადამიანებშიც და ნაწერშიც. ჩემი პროზაული ნაწარმოებებიც, დამიდასტურებს მკითხველი, შეპუდვრის, რუჯისა და კეკლუცობის გარეშეა დანერილი. გენერება, გემარჯვება ეს საქმე? – წერე. ნაწერის შემფასებელი მკითხველია. მე ჩემს კუთხეში ბევრი მკითხველი მყავს და მთელ საქართველოშიც. ამასწინათ რუსთავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მითხრეს, თქვე-

ნი წიგნი „ქალბატონი“ მუდმივ მოძრაობაშია მკითხველთან, მასზე მოთხოვნააო. გამიხარდა, მწერალი მკითხველის გარეშე იგივეა, რაც სკა – უფუტკროდ ან სკოლა – მოსწავლეების გარეშე.

მე მიყვარს ჩემი მკითხველი, ახლა მათთვის ვწერ ძალიან კარგ რომანს, „ქორების ბუდე“, რომელიც სულ მალე იხილავს დღის სინათლეს, იმედს ვიტოვებ, რომ თქვენც მოგეწონებათ.

– და თქვენთვის, ჩავთვალოთ, რომ ეს გედის სიმღერა არ იქნება...

– რას ლაპარაკობთ, ასი წლის იუბილეზე ახლავე გეპატიუებით!

– ბატონო გერონტი, პირადად მე თქვენს ნაწერებში ძალიან მომწონს ლიტერატურული ენა, რომელიც მხატვრული ხერხებით ფოლკლორული სიბრძნეებით არის გაჯერებული, თქვენი სამწერლო ენა მდიდარია დიალექტიზმებით, კილო-კავით...

მაშ როგორ? ქართულ სალიტერატურო ენას კახური და ქართლური დიალექტი უდევს საფუძვლად. სწორედ ეს არ უნდა დაკარგოს მწერლობამ, მე თითოეულ ძირძველ სიტყვას ვეფერები, დიალექტში გადარჩენილ იშვიათ ლექსიკურ ერთეულს ვაცოცხლებ და ჩემს ნაწერში ვიყენებ, ასევე იმ ბრძნულ გამოთქმებსაც, ჩვენს ხალხში და მათ ზეპირ სამეტყველო ენაში, რომ არის გაბნეული, ბევრ სხვა რამესთან ერთად ამ ნიშნებითაც ხდება ახლობელი და საინტერესო ნასაკითხი ჩემი წიგნები. სანამ პირში სული მიდგას, ილიასეული სამების ეს ერთი ჰიპოსტასი – ენა, ჩემთვის, როგორც მწერლისათვის იქნება მარადიული ღირებულება, რომელსაც ისევე არ ეღალატება, როგორც შვილს.

– ყველაფერთან ერთად, ბატონო გერონტი, თქვენ აქტიური საზოგადოებრივი მოქალაქე ბრძანდებით, როგორ ასწრებთ ამდენს?

– უსაქმური და მკვდარი ერთიდაიგივეა, სანამ ცოცხალი ვარ, ცოცხალი უნდა მეთქმოდეს, საზოგადოების წევრობა იმას ნიშნავს, რომ შენი ქვეყნის ავ-კარგში მონაწილეობას იღებდე და ღობის ძეძვივით არ ეგდო მინდორში. მე ავზე, ჩემ სათქმელს ვამბობს, კარგზეც, სიმართლეს ვამბობ. 90 წელი ბევრი ჩვენთანაა საქართველოში, თორემ ევროპასა და ამერიკაში ჩემი ტოლები ქორწინდებიან და ახალ ცხოვრებას იწყებენ. ადამიანი ყველა ასაკში კეთილ საქმეთა საკეთებლად უნდა იყოს რეალიზებული, ესაა ცხოვრების აზრი და მეც მინდა კვლავაც აქტიურად ვცხოვრობდე.

ესაუბრა
ლია მარტაშვილი

იაკობ გოგებაშვილის დღა ენით გზა ევროპისაკენ

„რვა წლიდან დაწყებული ვიდრე თორმეტ წლამდე სკოლის შთაბეჭდილებანი უფრო ღრმად მიდიან მოსწავლეთა სულსა და გულში, ვიდრე შემდეგ და ჰყრიან საძირკველს მომავლის მისწრაფებისა და მიმართულებისასა“
(ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტომი II. თბ, 1990, გვ53)

ევროპასთან ინტეგრაცია, დემოკრატია, ქართულ ფესვებზე დაფუძნებული თანამედროვე ადამიანის აღზრდა, კაცობრიობის მიღწევების სწორად შეფასება, გათავისება და საკუთარი ქვეყნის შენება – აი, ის მიზანი, რომელსაც ასე ვესწრაფვით. არადა, დადგა ოცდამეერთე საუკუნე და სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყანა კვლავაც მრავალი პრობლემის წინაშე დგას.

ჩვენი ისტორია, უკვე რამდენიმე ასეული წელია, ამ მიზნისაკენ სწრაფვის ისტორიაა. დიდი ხანია, რაც საქართველო თავისი სიტყვის თქმას ცდილობს ცივილიზებული სამყაროს წინაშე.

იაკობ გოგებაშვილამდე ბევრად ადრე საქართველოს ღვთის წყალობასავით ევლინება გენიალურ ადამიანთა მთელი პლეადა: სულ-ხან-საბა, ვახტანგ VI, ვახუშტი ბატონიშვილი, რომელთა სიტყვა და საქმე, სახელმწიფოებრივი თუ პოლიტიკური თვალსაწიერი ბიბლიურ მეფე – წინასწარმეტყველთა სოლომონისა და დავითის სიბრძნეს შეედრება. ისინი იწყებენ ახალი საძირკვლის ჩაყრას – ევროპულ ქვეყნებთან შერწყმას და მათ გვერდით საქართველოსათვის ღისეული ადგილის ძიებას. კიდევ ერთხელ დგება ქართული მნიგნობრობის აყვავების ხანა. დავითის, თამარისა და შოთას დიადი ეპოქის ხის ფესვი ჯერაც ცოცხალია. ჟამთასვლის შეუბრალებელმა ქართველებმა სასიკვდილოდ ბევრჯერ განირა, მაგრამ ამირანივით უკვდავია ქართველი კაცის სული და ფესვი. მას კიდევ უფრო ძველი ისტორია აქვს და ათასწლეულების სიღრმიდან მოდის. ვერაფერი შეაჩერებს მის მარადისობისაკენ ლტოლვას. ქართველი ხომ ახლაც მღერის ამ ხის ფესვიდან ამოსულ „მრავალჟამიერს“ და „შენ ხარ ვენახს“. ეს ხომ თვით უკვდავების ხის ღვთაებრივი სიმღერებია.

ამ ეპოქამ დიდი კულტურული რენესანსის სახელი დაიმკვიდრა საქართველოს ისტორიაში. დაიწერა წიგნთა-წიგნები: „სიბრძნე სიცრუისა“ და „სიტყვის კონა“. ვახტანგ VI-ის სტამბაში გამოიცა პირველი ბეჭდური „ვეფხისტყაოსანი“, საფუძველი ჩაეყარა მეცნიერება – რუსთაველოლოგიას, ქართულ დიდაქტიკურ მწერლობას. შეიქმნა საქართველოს ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ნიმუში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, საქართველოს ისტორიული ტე-

რიტორიის პირველი საფუძვლიანი გეოგრაფიული აღწერილობა, გეორაფიული ატლასები და ა. შ

ამ ეპოქის საამაყო შვილებმა იცინან, რომ ამის გარეშე ვერ აღორძინდება ქართული მნიგნობრობა და თან განაცხადს აკეთებენ ცივილიზებულ სამყაროში, რომ ქვეყანას, რომელსაც საქართველო ჰქვია, აქვს მდიდარი წარსული, უდიდესი სულიერი და გონებრივი პოტენციალი და ღირსია მომავალი ჰქონდეს. ისინი კარგად ხედავენ, რომ მომავალი მხოლოდ იმ ქვეყნებს ექნებათ, ვინც უკვე წარმატებულ ევროპას ნაბიჯს აუწყობს. მხოლოდ ის, ვისაც ექნება უნარი რაიმე ფასეული უთხრას კაცობრიობას.

იმდროინდელ ევროპაში უკვე შექმნილია ენციკლოპედიები, ლექსიკონები, სხვადასხვა ფილოსოფიური და რელიგიური ტრაქტატები, საბუნებისმეტყველო შრომები. ევროპა ცივილიზაციის მწვერვალს უახლოვდება. იწყება უდიდესი გადატრიალება – რეფორმა ცნობიერებასა და ყოფიერებაში. ევროპა სახელმწიფოს ყველაზე პროგრესული ფორმის – დემოკრატიის გარიჟრაჟზეა. შუასაუკუნეობრივ კარჩაკეტილობას, ინკვიზიციას, ფანატიზმს ახალი, თავისუფალი აზროვნება მოსდევს, როგორც ხელოვნებაში, ასევე – მეცნიერებაში.

ამას საქართველოშიც ხედავენ და იწყება ხსნის გზის – ევროპისაკენ სავალი გზის ძიება. სამწუხაროდ, ამ გენიალურ ქართველთა ცდა დროებით განწირულია, რადგან რუსეთი ევროპისაკენ მიმავალ გზას თავისი იმპერიული მიზნების გამო უხშობს საქართველოს.

რამდენი ათეული წლის შემდეგ მეორე აღორძინების – განმანათლებლობის ეპოქა დგება საქართველისათვის. ილია, ვაჟა, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გაბრიელ ქიქოძე და სხვანი – მთელი თანავარსკვლავედი დიდებულ ადამიანთა, ხელახლა გამობრწყინდება.

მიზანი იგივეა: თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ევროპული მიღწევების ქართულ სინამდვილეში შემოტანა. ის გზა კი, რომელიც ევროპამ განვლო, ჩვენთვის კვლავაც გასასვლელია.

ერის განათლება, განათლების საყოველთაობა – ამაშია ქვეყნის გადარჩენის კონცეფცია. ამიტომ იწყებს ილია ენის რეფორმას – არქაიზმებისაგან დახვეწას. ყოველი ქართველი უნდა ეზიაროს წიგნს, რადგან ცოტანი ვართ, პატარა ქვეყანაა საქართველო. რიცხობრივად ვერ შევედრებით ევროპულ გიგანტებს: საფრანგეთს, გერმანიას, ინგლისს. დიდი გონებრივი მუხტის დაგროვებაა საჭირო, „ქუდზე კაცი“-ვით ყოველი ქართველი უნდა გამოვიდეს ინტელექტუალურ ასპარეზზე.

ეს ბუმბერაზი ადამიანები, მიუხედავად რუსეთის დამპყრობლური მიზნებისა და წინააღმდეგობისა, ანტიქართული საგანმანათლებლო პოლიტიკისა, სწავლების ფორმალური მიმართულებისა, საქართველოს გადარჩენის წმიდათაწმიდა საქმეს სიცოცხლის ფასად იწყებენ. დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გაიხსნა

სახალხო სკოლები, ქართული თეატრი, ქართული ბანკი, გამოიცა ქართული გაზეთი, შედგა ინდუსტრიული ქალაქების – ფოთის, ჭიანჭურისა და ქუთაისის განვითარების პროექტები.

ცარიზმის განათლების სისტემისადმი დაპირისპირებული სახალხო სკოლების დაარსება მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ევროპაში უკვე არსებული საგანმანათლებლო სულისკვეთების გამოძახილია. საქართველო არ ჩამორჩება ამ მოვლენებს. „სიტყვა, თქმული სათავადაზნაურო სკოლის საზოგადო კრებაზე“ ამის თვალსაჩინო მაგალითია. იაკობ გოგებაშვილი გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის მაგალითებზე ქართული სკოლების მოწყობისა და განვითარების პერსპექტივაზე საუბრობს. ხაზს უსვამს რეალური ტიპის სკოლების შექმნას, სადაც თეორიულ ცოდნას პრაქტიკული საქმიანობის პარალელურად შეისწავლიან მოსწავლეები. იგი პედაგოგიკის უდიდესი რეფორმატორია. ჰარმონიული აღზრდის, ჰუმანისტური თეორიის, თანასწორობისა და ევროპული, დემოკრატიული თვალსაწიერის მქადაგებელია, რაც მის თხზულებებსა და თუ პუბლიკაციებში მკაფიოდ იკვეთება.

„ეროვნული სკოლა ის ადგილია, სადაც პირველად თვალი უნდა აახილოს გონებამ.. საცა პირველი ფეხი უნდა აიდგას კაცის სულმა და გულმა, საცა პირველად უნდა ჩაინერგოს თესლი ზნეობისა, სიკეთისა, კაი კაცობისა, ადამიანობისა...“ (ი.გოგებაშვილი. 1952. გვ.485)

მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობა, გაერთიანება და გაძლიერებაა, რუსეთის მიერ დათესილი ღვარძლის – საქართველოში კუთხური დაპირისპირების აღმოფხვრა, მათ შორის პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.

მეცნიერება, კულტურა, მწერლობა, პედაგოგიკა – ყველა სფერო თავის მძლავრ სიტყვას ამბობს და დამოუკიდებელი საქართველოს შენების პირველი ქვაც იდება.

ქართული სიტყვა და საქმე ერთ სხეულად უნდა იქცეს, რათა ამ ენაზე მეტყველთ, ვითარცა ლაზარეს – მკვდრეთით აღდგომილს – მიეცეს, მიემადლოს „ძღვევაი საკვირველი“.

სწორედ ამ ენაზე უნდა იზრახებოდეს ყოველივე – მეცნიერება თუ ფილოსოფია, ლიტერატურა თუ ინდუსტრიის საკითხები. განაჩენი საამაყო წინაპრები არ გვასწავლიდნენ, თუ რა განძი დევს ამ ენაში, განა მათ არ გვიჩვენეს შესანიშნავი მაგალითი დიდი და თანუბრალეო ჭეშმარიტებისა, როცა ბიბლია ქართულად თარგმნეს. განა იმ დიდებულმა სულის მესაიდუმლეებმა – ათონელმა მამებმა არ იცოდნენ, რომ ქართველი კაცი მხოლოდ თავის მშობლიურ ენაზე ეზიარება – შეუერთდება ღმერთს, მხოლოდ თავისი მამა-პაპის ენაზე გაიაზრებს და შეიტკობს წმინდა წერილს და მამათა სწავლების ნექტარს. ჩვენმა ბრძენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ, რომ სწორედ დედა ენაა ის ძარღვი, რომლითაც ყოველი არსება მიიღებს სულის საკვებს – „პურს არსობისას“ „კეთილი ნაყოფის“ გამოსაღებად.

სწორედ ენის – ილიასეული სამების ერთ-ერთი ჰიპოსტატი – მტრისგან ასე დამცრობილის აღზევებაა საჭირო, რომ მამული, ენა და სარწმუნოება გადარჩეს, რადგან ერთის სიკვდილი დანარჩენი ორის განადგურებას ნიშნავს და იაკობ გოგებაშვილი – ეს უდიდესი – ღმერთის ტოლი მასწავლებელი – ყოველი პატარა ქართველისათვის ქმნის „დედა ენა“-ს თავისი გენიალური „აი ია“-თი, „ბუნების კარს“, „საგანძურს“.

იაკობ გოგებაშვილი მოზარდის სულის უბადლო მშენებელია. მან იცის, რომ ადამიანი ტაძარია ღვთისა და ეს ტაძარი რომ აშენდეს, საძირკველი მყარი და საიმედო უნდა იყოს. საძირკველი კი თვით მის „დედა ენა“-შია.

სწორედ „დედა ენა“-ს უხილავ მადლს ნაზიარები ქართველი გაიაზრებს შემდგომ ილიას „კაცია – ადამიანს?!“, – ვაჟას – „სტუმარ-მასპინძელს“, შოთას – „ვეფხისტყაოსანს“ და ბოლოს თვით სახარებას – ღვთის სიტყვას. მხოლოდ ასეთი იხილავს იმ ქვეყანას, რომელსაც „...დღე და ღამ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“. (ი. ჭავჭავაძე)

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“-მ დიდი ხანია მარადიულ წიგნთა შორის დაიმკვდრა ადგილი. იგი სრულყოფილი და უნივერსალურია. იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკა უშრეტი წყაროა, იგი აღარ ემორჩილება დროის კანონებს, ის მარად თანამედროვე და აქტუალურია.

დღეს საქართველო თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყანაა, თუმცა თავისუფლების შენარჩუნებას არანაკლები თავგანწირვა სჭირდება, რადგან ვინც არ დაიცავს თავის საუნჯეს, იგი დაკარგავს მას, ასეთია არსებობის სისასტიკე.

21-ე საუკუნემ ახალი, ურთულესი პრობლემის წინაშე დაგვაყენა. სულ ერთი ნაბიჯილა გვაშორებს მიზანს, რომელსაც დიდი ხანია საქართველო ელტვის.

ევროპასთან ინტეგრაცია, ევროპულ ქვეყანათა კავშირში შესვლა – ესაა ჩვენი დროის უპირველესი უმნიშვნელოვანესი საქმე. ამას ემსახურება განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმაც. სწორედ ამას ჭვრეტდნენ წინასწარ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის უდიდესი მოაზროვნენი და მათ შორის – იაკობ გოგებაშვილი.

„ევროპულ ენათა შესწავლას და ცოდნას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ყველასათვის და განსაკუთრებით ჩვენთვის... ყოველმა მოკეთემ ქართველებსამ დაჟინებით უნდა ურჩიოს მათ: ისწავლეთ რაც შეიძლება ღმად და ზედმიწევნით ევროპული ენები და სვით ევროპული მეცნიერება ხარბად და გაუმადლრად.“ – წერს იაკობი.

ამ უდიდესი მიზნის მიღწევას კი ყოველი ნაბიჯის ღრმად გააზრება, ერთსულოვნება და ერთად დგომა სჭირდება. მომავლისაკენ მიმავალი გზა ბენჯის ხიდზე გადის. გაჩერება ან უკან სვლა დაღუპვას ნიშნავს, წინსვლისათვის კი უდიდესი გონიერება გვმართებს.

რა უნდა გაიყოლოს ქართველმა ამ ბენჯის ხიდზე გასასვლელად,

რათა გადარჩეს, მიზანსაც მიაღწიოს და თავისი ეროვნული სიმდიდრე, რომელიც საამაყოც არის და სასიცოცხლოც, არ დაკარგოს?!

როცა წმიდა მამები ბოროტ ძალებთან საბრძოლველად მიდოდნენ, თან წმინდა ნაწილები მიჰქონდათ სულის გასაძლიერებლად. ჩვენი ეროვნული საუნჯე, ქართული ენა და ამ ენაზე შექმნილი სულიერი ფასეულობებია. ამის გარეშე კი უძღურნი და დაუცველნი ვიქნებით „საცდურის“ წინაშე. ასეთი სინმინდებებითაა გაჯერებული იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“. მასშია ის იდუმალი გასაღები, ასე რომ გვჭირდება მომავალში შესასვლელად.

იაკობ გოგებაშვილის სწავლებაშია შერწყმული და შერიგებული ეროვნულობა და პატრიოტიზმი კოსმოპოლიტიზმთან, მეცნიერება - რელიგიასთან. ის გვასწავლის გზას მომავლისკენ, რადგან სწორედ მის „დედა ენა“-ზე სულიერების ამ უმტკიცეს ლიბოზე აღზრდილი ქართველი შეაფასებს კაცობრიობის მიღწევებს სწორად, თავის ეროვნულობას, ნამდვილ ქართულ ტრადიციას მინარევისგან გამოარჩევს და ჭეშმარიტ რწმენას - ფანატიზმისგან.

ოც წელზე მეტია, სკოლაში ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში უამრავ პრობლემას ვაწყდებოდი. ეკონომიურმა სიდუხჭირემ, კინოს და თეატრის გარეშე ცხოვრებამ, სულიერი ფასეულობების ჯოჯოხეთურმა გაუფასურებამ თავისი გავლენა იქონია საზოგადოებაზე, განსაკუთრებით - მოზარდებზე.

ყველა, ასე ვთქვათ, აგორებს, გაჰყავს წუთისოფელი და არავინ ფიქრობს დროის გაყვანის სულისკვეთება როგორ ამახინჯებს ბავშვის ადვილად მსხვრევად ფსიქიკას, „დღევანდელი კვერცხი“-ს თეორიით მონამღული თაობა როგორ კლავს მოზარდში მომავლის რწმენას. გაიზარდა აგრესია, დაქვეითდა სწავლისადმი ინტერესი. მშობელს გაუცნობიერებლად დაჰყავს შვილი სკოლაში. თითქმის გაქრა, გაუკუღმართდა მიზანი განათლების, აღზრდისა და წიგნის სიყვარულისა. ურთულესი ამოცანის წინაშე დადგა სკოლა, მასწავლებელი და მთლიანად - ერი. საჭიროა ახალი მიდგომების, ახალი გზების ძიება. ამ ფიქრში მრავალი წელი გადის. ხსნა კი აქვეა, ჩვენთვის კარგად ნაცნობი და მშობლიური. უბრალოდ, რატომღაც დაგვიწყნებია.

რამდენიმე წლის წინ, როცა გავიგე, რომ ტარდებოდა ქ. გურჯაანში არსებული იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების მიერ ორგანიზებული კონკურსი „გამოსცადე თავი შენი“, გადავწყვიტე ჩემი სახელმძღვანელო II კლასი ამ კონკურსისათვის მომემზადებინა.

იმ წლებში დაწყებით კლასებში ზურაბ ვახანიას სახელმძღვანელოებით ისწავლებოდა, როგორც ქართული ენა, ასევე მათემატიკა. მის მიერ შედგენილი „დედა ენა“ ძალიან საინტერესო და კარგად დამუშავებული წიგნია. მასში მრავლადაა ლოგიკური აზროვნების გასავითარებელი სავარჯიშოები, რესურსები, კითხვები, მდიდარია ლექსიკით, თუმცა, რაღაც უკმარისობის გრძნობა ყოველთვის მრჩებოდა. ხშირად მიხდებოდა ზნეობრივ, სამშობლოს

სიყვარულის, სიკეთის, მეგობრობისა თუ სხვა თემებზე მოსწავლეთა თვალსაწიერის შევსება.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ შესწავლა საპროგრამო მასალის პარალელურად დავინყე. თავიდან ამას გარკვეული ეჭვის თვალითაც კი ვუყურებდი, ვშიშობდი, ვაი თუ, მოსწავლეებმა ვერ დაძლიონ ასეთი დიდი მასალა, ან კარგის მოლოდინში – უარესი შედეგი მიმელო.

რამდენიმე ხნის შემდეგ შევამჩნიე, რომ მოსწავლეები განსაკუთრებული ყურადღებით, ინტერესით, სიხარულითაც კი ასრულებდნენ ამ დამატებით დავალებებს. თანდათან მათი სიმპათია იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებისაკენ გადაიხარა. მათმა წმინდა და ბავშვურმა ალლომ უნებური არჩევანი გააკეთა, რადგან იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები მათ სულს ეხმიანებოდა, მე კი მხოლოდ დამკვირვებლის როლი მერგო.

რამდენიმე თვის შემდეგ რაიონულ დონეზე გამართულ კონკურსში გავიმარჯვეთ. შედეგით აღფრთოვანებული ვიყავით. მოსწავლეთა უმრავლესობამ უმაღლესი შეფასება მიიღო. გამარჯვებით მიღებულმა სიხარულმა მოსწავლეებს საკუთარი ძალების რწმენა და მომავლის იმედი ჩაუსახა. ამ კლასმა შემდეგ წლებშიც საკმაოდ მაღალი აკადემიური შედეგი აჩვენა.

სახელმძღვანელოსა (რომელიც თანამედროვე სწავლების მრავალ ელემენტს შეიცავდა) და იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ ამ თავისებურმა სინთეზმა ერთობ საინტერესო შედეგამდე მიგვიყვანა, რომელსაც, ჩემი აზრით, უფრო ღრმა ანალიზი სჭირდება, რადგან ყოველი ახალი ეპოქა ახალ ამოცანას შობს. სასკოლო სახელმძღვანელოებიც ამ ეპოქის ამოცანებსა და მიზნებს უნდა პასუხობდეს.

იაკობ გოგებაშვილის ყოველი ახალი მოთხრობა სასწაულს ახდენდა. ამ მოთხრობებმა დაიპყრეს პატარების გულები. ისინი ადილად და ხალისით ითვისებდნენ. ამასთან, ხშირად ვუკითხავდი იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიას, ვუყვებოდი, თუ როგორ დევნიდნენ მეცხრამეტე საუკუნეში ქართულ ენას, როგორ სჯიდნენ მოსწავლეს ერთი სიტყვაც რომ წამოსცდენოდა მშობლიურ ენაზე. ამ მონათხრობებმა საოცრად იმოქმედეს მათ ბავშვურ ფსიქიკაზე. თავისებურად წარმოიდგინეს იმ საუკუნის შვილების ტრაგიზმი და გმირობა. მოიხიბლნენ მათი სამშობლოსადმი სიყვარულით, ერთგულებითა და თავგანწირვით. მზად იყვნენ თვითონაც ასეთები გამხდარიყვნენ.

ვცდილობდი, როგორმე დამეახლოვებინა მოსწავლის სული იაკობ გოგებაშვილთან, თუმცა ვიცოდი, ნამდვილი სიყვარული და მისი გენიის გააზრება ასე უცებ არ მოვიდოდა. სიყვარული ხომ ჯილდოა, რომელიც დიდი შრომის შემდეგ ეძლევათ რჩეულთ.

ყოველთვის ვფრთხილობ, როცა რაიმეს შევაგონებ მოსწავლეებს, რადგან მათი ინტუიცია საოცრად ფხიზელია და თუ ოდნავ მაინც შეგეპარა ყალბი ტონი ან ზომიერება ვერ დაიცავი, სიყვარულის ნა-

ცვლად გულგრილობას დათესავ, თუნდაც ეს სამშობლოს სიყვარულს ეხებოდეს ან თვით ღმერთსაც კი.

ასე ფრთხილად დავინყეთ. მეტი აქცენტი მოთხრობებზე გადავიტანე. ერთ მოთხრობას მეორე მოყვა, მეორეს – მესამე და სასწაულიც მაშინ მოხდა.

მეც, ჩემს პატარებთან ერთად ვილაცის მძლავრმა ხელმა დიდ, იდუმალ, ამასთან, ძალზე ნაცნობ, მშობლიურ, მაგრამ ჩვენდა უნებურად მიტოვებულ და მივიწყებულ სამყაროში შეგვიყვანა.

მისი მოთხრობებიდან თვით იაკობ გოგებაშვილი – ეს უდიდესი მასწავლებელი გადმოდიოდა და ასწავლიდა პატარებს სიყვარულს, სიკეთეს, მშვენიერებას ქართული მიწისა და კიდეც იმ მაღლს გვაზიარებდა, რომელიც უხილავადაა ჩაქსოვილი მის მოთხრობებში. ჩემი მიზანი ისლა იყო, მისი ნაწარმოებები მიმეტანა მოსწავლეებამდე.

მისი ყოველი მოთხრობა, როგორც უებარი წამალი, კურნავს მრავალ სულიერ დაავადებას: უცოდინრობას, სიზარმაცეს, სიხარბეს, ბოროტებას და სხვა, რადგან იაკობ გოგებაშვილმა იცის ქართველის სული, მისი ისტორია, მისი ძირი და ფესვი; იცის, თუ რით უწამლოს, რით ანუგეშოს, რით კვებოს. ამ ბრძენმა ექიმმა კარგად იცის წამლის დამზადების საიდუმლო, მე კი მხოლოდ ვაძლევდი ამ წამალს პატარებს და ის თვითონ ახდენდა სასწაულებს.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“-ზე მუშაობისას მოსწავლეთა ხალისი გაორმაგდა. ვმსჯელობდით ამა თუ იმ მოთხრობის გმირებზე, ვხატავდით სიუჟეტებს. შემდეგ გამოფენაც მოვანყვეთ, რომელსაც „მოგზაურობა იაკობ გოგებაშვილის სამყაროში“ დავარქვით. ხშირად ვწერდით მოთხრობების შინაარსს. ეს მათ ძალიან მოსწონდათ, ეამაყებოდით, როცა თვითონაც „ქმნიდნენ“ რაღაცას, რითაც მათი აზრით ავტორს ემსგავსებოდნენ. მოვანყვეთ ექსკურსია იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ სოფელ ვარიანში, რამაც მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

აღსანიშნავია, რომ საკონკურსო სამზადისში მშობლებიც ერთსულვნად მესმარებოდნენ. იაკობ გოგებაშვილმა დედა-შვილი უფრო მეტად დაახლოვა ერთმანეთს და საღამოობით თავიანთ პატარებს უშინაარსო სერიალების ნაცვლად, ნამდვილ ქართულ მარგალიტებს უკითხავდნენ.

რა საიდუმლო ძალას ფლობს იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებები, როგორ ალებს მოსწავლის სულის მიუდგომელ სენაკებს, – ეს მათაც ებოძა და უნებურად პარალელს ვავლებდი მის მოთხრობებსა და სახარებისეულ მოთხრობებს შორის.

იგავის ისტორია კაცთა მოდგმის ისტორიასავით ძველთაძველია. გარეგნულად მარტივია, რადგან ადამიანთა ყოფაზეა აგებული, არსში კი უდიდეს სიბრძნეს იტევს. იგავთა წვდომა ძველ საბერძნეთში მხოლოდ რჩეულებს, ხელდასმულებს შეეძლოთ.

იგავი უნივერსალური მასწავლებელია. ადამიანი ხომ თავისი ამაყი ბუნების გამო არ იღებს პირდაპირ ნათქვამ მითითებას ნაკლო-

ვანებასა თუ ცოდვაზე. იგავს კი უხილავი ძალა აქვს, იგი ფრთხილად შედის სულსა და გონებაში, ღირსებას, თავმოყვარეობას უხეშად არ ეხება, მიზანს კი აუცილებლად აღწევს.

ასე უმტკივნეულოდ კურნავდა სულის სნეულებებს თვით ქრისტე, ხოლო იგავის საიდუმლო მხოლოდ თავის მოსწავლეებს – მოციქულებს გაანდო.

იაკობ გოგებაშვილი, როგორც ქრიტეს მოსწავლეები, ხელდასმულია, მადლმოსილია და ეს უძველესი სიბრძნე „დედა ენა“-ში უხვად ჩააბნია. მისი იგავისებური მოთხრობები და ხალხური ზეპირსიტყვიერების წიაღიდან ამოკრებილი სიბრძნის ცოცხალი და ლალი გამონათქვამები – ანდაზები, ისე ფეხაკრეფით აღწევს მოსწავლის სულში, რომ ვერც კი ხვდება მათ სიდიადეს. ის ხომ ძალიან ახლობელი და უბრალოა, ბუნებრივია, ის ხომ ბავშვის ენაზეა დანერვილი.

იაკობ გოგებაშვილის სწავლება მრავალი ევროპული ქვეყნის მიერ დღეს უკვე აღიარებული თანამედროვე სწავლების ელემენტებს შეიცავს. იგი მოსწავლეზეა ორიენტირებული, მასში ჩადებულია ჰუმანისტური სწავლების თეორია. მისთვის მიუღებელია იმპერატიული სწავლების სტილი, რომელიც ასე იყო გაბატონებული იაკობ გოგებაშვილის ეპოქაში. მან კარგად იცის, რომ ასეთი ძალადობრივი სწავლება-შეგონებანი პიროვნების თვითრეალიზაციისათვის მხოლოდ შეფერხებაა და სხვა არაფერი.

საკუთარი თავის შეფასების, არჩევანისა და დასკვნის გაკეთების მოსწავლეზე მინდობა მას თვითაქტუალიზაციისა და თვითრეალიზაციაში ეხმარება, ამბობს კ. როჯერსი, ამერიკელი ფსიქოლოგი, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი. „მე ცუდი ვარ“ თავის თავზე ასეთი შეხედულება მოსწავლეს მასწავლებლისა და გარემომყოფების არასწორი ქცევის შედეგად უყალიბდება. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები კი მათ ამ საშინელ „წნეხს“ არიდებს, მისგან იცავს.

ამერიკელი ფსიქოლოგის ლ.კოლბერგის მორალური განვითარების თეორიის მიხედვით, ბავშვის მორალური განვითარება იწყება არა შეგონებებით, არამედ მაგალითის მიცემით. მაგალითად: ლიტერატურული გმირების საქციელზე ფოკუსირებით, სხვისი ტკვილის, გრძნობების გათავისებით, საგაკვეთილო თემებში ემპათიის ხშირი მაგალითები მოსწავლეს მორალური განვითარების საფუძველს უქმნის, ხოლო საკლასო დისკუსიები ამ თემების ირგვლივ მას მორალურ პრინციპებსა და მოსაზრებებს უყალიბებს.

იაკობ გოგებაშვილი თანამედროვე ფსიქოლოგიის წინამორბედიცაა. იგი თავისი „დედა ენით“ ბევრად ადრე ამბობს პედაგოგიკაში ისეთ სიტყვას, რომელსაც შემდგომში მრავალი მეცნიერი ფუნდამენტური კვლევებით დაამტკიცებს.

მინდა, ერთ ასპექტზეც გავამახვილო ყურადღება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ესაა მისი მოთხრობების სილალე, სიმსუბუქე, იუმორი, რომელიც პოზიტიურად განაწყობს მოსწავლეს სწავლის

პროცესისადმი. დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიის“ თანახმად სასწავლო პროცესის ეფექტურობას სწავლისადმი დადებითი ემოციური განწყობა განსაზღვრავს. მასალა, რომელსაც გადავცემთ მოსწავლეს, შესაფერისი უნდა იყოს მოსწავლის განვითარებაში აქტიუალური ზონისათვის, რადგან ბავშვის განვითარება მის ინტერესებსა და სურვილებზეა დაფუძნებული. „აღზრდის ტრაგედია“ იქიდან იწყება, როცა მასწავლებელი არ ითვალისწინებს ბავშვის ინდივიდუალურ მისწრაფებებს, მისი სამყაროს თავისებურებებს. „უამბეთ ბავშვებს ცოცხლად და სურათულად და თქვენ მათს ნორჩ გულებში ჩასახავთ ღრმასა და მეტად ნაყოფიერ შთაბეჭდილებასა.“ – წერს იაკობ გოგებაშვილი და თავისი „დედა ენა“ პედაგოგიკის მთავარ, ფუნდამენტურ მცნებაზე დააშენა. (იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტომი II, გვ.175).

ბოლო ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრებული სწავლების მეთოდიკა და ჩვენც, მასწავლებლებიც ხშირად ვცოდავთ და მოსწავლეს თავისებურ „დიდ ყუთს“ ვამსგავსებთ, რომელშიც ყოველდღიურად უამრავ ინფორმაციას „ვყვით“ და მერე, ღმერთმა იცის, როდის გადააფასებს ამ ყველაფერს. მოიცლის კი ამისათვის ზრდასრულობის ასაკში ცხოვრების ორომტრიალს შეჭიდებული?!

ასეთი მცდარი სწავლების შედეგი ძალიან მალე იჩენს თავს. ერთის მხრივ, მართლაც რა ჯობია, სხვადასხვა საგნებში „განსწავლულ“ მოზარდს, მაგრამ დავფიქრდეთ, ყველაზე მთავარი ხომ არ გვაკინწყდება; ამ ახლად ფეხადგმულ ქვეყანას ხომ არ ვუტოვებთ უგულო, ზნეობრიობისგან დაცლილი, ეროვნულობას მონყვეტილ, თუნდაც ფრიად „განათლებულ“ თაობას; საშიში ხომ არ იქნება ასეთმა „ცოდნამ“ უმორალო და სულიერი ფასეულობების გარეშე გაზრდილ კაცში მოიყაროს თავი; საკუთარი ხელით ხომ არ ვჭრით იმ ტოტს, რომელმაც უნდა გადაგვარჩინოს.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები მოსწავლეს საკუთარ თავში დაფარულ სამყაროს აცნობს. ჭეშმარიტი სწავლება კი სწორედ, საკუთარი თავის შეცნობაა. სკოლის მიზანიც სამყაროსა და საკუთარი თავის, საკუთარი ადგილის პოვნისა და შეცნობის უნარის განვითარება უნდა იყოს. „შეიცან თავი შენი და შეიცნობ ღმერთს“, – ესაა სწავლების ქვაკუთხედი. მხოლოდ ამის შემდეგ მიუტყევებ „ძმას“, შეიყვარებ „მტერს“, მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებ მოახმარო შენი ცოდნა ადამიანთა კეთილდღეობას. ცარიელი შეგონებანი კი ვერაფერს ასწავლის მოზარდს.

არ იქურდო, არ იცრუო, გიყვარდეს ღმერთი, სამშობლო, მოყვასი, – ხშირად ვეუბნებით მათ, არადა, მისი კაცობრივი ბუნება, ხანდახან სულ სხვას კარნახობს. შინ ყველა სურვილს უსრულებენ, თავს ევლებიან, თავისი თავი ყველაფრის ბატონ-პატრონი ჰგონია. სკოლაში კი მისი პირველი, დამოუკიდებელი შეხვედრა ხდება საზოგადოებასთან. აქ იგი „მარტოა“ და თვითგადარჩენის ინსტიქტიც დაუნდობელ

ბრძოლას იწყებს. ახლა ის „მეფე“ აღარაა. „პირველობის“ სურვილი კი არ ასვენებს.

ინდივიდუალობა, თვითრეალიზაცია – სანამ ამ სიტყვების ჭეშმარიტ არსს ჩასწვდება, გრძელი გზა აქვს გასავლელი. მიზანთან მისვლას კი ხშირად ტყუილით, თავისებური ეშმაკობით ცდილობს. მან ჯერ არ იცის, რომ მხოლოდ სიკეთით, სიყვარულით და ცოდნით მიაგნებს თავის მეობას, თავის ნამდვილ სახეს. მრავალი „ფართო“ გზა შეხვდება ამ ქვეყნად, თუმცა ყველა როდი მიიყვანს მიზნამდე.

ხშირად მშობლებიც სცოდავენ და სულ პატარა კონფლიქტზეც კი, რომელიც მის პირმშოს სკოლაში ხვდება, განგაში იწყება – მათ ხომ შვილი დაუჩაგრეს და შეგონებანიც ათასგვარი მოჰყვება ამას: – თავი არავის დააჩაგვრინო, სამაგიერო მიუზღვე და ა.შ.

როგორღა მიხვდება სახარებისეულ სიტყვებს „ერთ ლოყაში რომ გაგარტყან, მეორე მიუშვირე...“, როდის გაიგებს ემპათიის, თანაგრძნობის, ალტრუიზმის, ტოლერანტობის, ამ დიდი სიტყვების მნიშვნელობას?

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები თავისი ხატოვნებითა და სიმსუბუქით მოსწავლეებში ინტერესს აღვივებს. ის არ აშინებს მას შეგონების სიმკაცრით, სიუჟეტის სირთულით. მოთხრობის გმირებიც ხომ ხშირად მათივე ასაკისანი არიან. ავტორსა და მოსწავლეს შორის თავისებური ხიდი იდება, პატარა სიამოვნებით შედის ამ სამყაროში და უჩინარი მონმე ხდება მათი თავგადასავლისა.

აი, სწორედ აქ, ამ რუბიკონის მიღმა უნდა მოხდეს მოზარდის სულიერი ფერისცვალება.

ზარმაცა და ბეჯითი, ჭკვიანი და სულელი, კეთილი და ბოროტი გმირები მის სულში ერკინებიან ერთმანეთს და უხილავი ბრძოლა იწყება. საით გადაიხრება, როგორ არჩევანს გააკეთებს? სწორედ აქ, ამ არჩევანით უნდა მოხდეს მისი, როგორც ადამიანის ფორმირება. კეთილი და სამართლიანი მოეწონება, თუ ჯიუტად უთანაგრძნობს ბოროტს. რა გადანყვეტილებას მიიღებს, რომელ გმირს სცნობს თავის ახლობლად, „ნატვრისთვალის“ რომ ჰქონდეს, რომელ პერსონაჟად გადაიქცეოდა, თუ გულგრილი დარჩება ყველაფრის მიმართ?!

„დედა ენის“ სამყარო მოზარდის წარმოსახვას და ფანტაზიას საოცარ ფერებს ანიჭებს. ეს მრავალფეროვანი ხასიათებითა და სახეებით მდიდარი თეატრალური სამყაროა, რომელიც პატარას ხიბლავს და იზიდავს. ეს მისი ბავშვური ოცნებების და იმედების ქვეყანაა. აქ იგი თავისუფალია, მხოლოდ აქ გაიგებს ღმერთის უპირველესი საჩუქრის – თავისუფალი ნების გემოს.

ამ ზღაპრულ-თეატრალურ ქვეყანაში უცნაური ამბები ხდება. მისი ყოველი გმირი ჯადოსნურ სარკეში გახედებს. ეს შენი სულის სარკეა. ვიღაც ფრთხილად და უმტკივნეულოდ ჩამოგხსნის ყველა ნიღაბს, სხვების დასანახად რომ გქონდა აფარებული და საკუთარ სულს დაგანახებს. ახლა შენივე ნებით საკუთარი თავის ყველაზე მკაცრი შემფასებელი ხდები და არჩევანი გაადვილდება.

ამ სამყაროს სულგრძელ მასპინძელს – იაკობ გოგებაშვილს ღვთაებრივი არჩევანის სიმძიმე თავის თავზე აუღია. მისი უპირველესი მიზანი ისაა, რომ ამ წარმოსახვით სამყაროში მოზარდის ჯერ კიდევ ნორჩი სული ამ ასაკშივე დიდი მომავლისათვის მოამზადოს, რადგან შემდეგ თითქმის შეუძლებელი იქნება საკუთარ თავში კაცობრივი და ღვთაებრივი ბუნების აღმოჩენა, შეცნობა და ჰარმონიული შერწყმა.

ვცდილობდი, არ ჩავრეულიყავი მათ არჩევანში. იაკობ გოგებაშვილსა და მოსწავლეს მარტოს, ერთმანეთის პირისპირ ვტოვებდი. ბავშვების სულში გადატრიალება ხდებოდა და ვხედავდი, როგორ იმარჯვებდა კეთილი ბოროტზე.

ისინი იცინოდნენ ზარმაც ვანოზე, ლეკურს რომ სიამოვნებით უვლიდა, სწავლა კი ეზარებოდა. ეს უბოროტო სიცილი სწორედ კეთილი არჩევანის ნიშანი იყო. მათ სიზარმაცეზეც გაიმარჯვეს. მართალია, ცხოვრებაში კიდევ ბევრჯერ ეწვევათ ეს „დაუპატიჟებელი“ სტუმარი, მაგრამ ზნეობრივი კოდექსი მათ სულში უკვე ჩაიდო, ამ მცნებამ მათ სულში უკვე გაიდგა ფესვი.

მოსწავლეებმა ჯერ კიდევ არ იციან ამ, ერთი შეხედვით, პატარა ნაბიჯის – უბრალო არჩევანის ფასი. არადა, ეს უკვე იმ დიდი გზის დასაწყისია, რომელიც მათ სწორ, ზნეობრივ და თავისუფალ მოქალაქედ ჩამოაყალიბებს, თავის ადგილს აპოვნინებს, თვითრეალიზებას შეაძლებინებს.

ასე გადიოდა დღეები. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ საოცარ ძალას ჩემს პატარებთან ერთად მეც ვგრძნობდი და მათთან ერთად მეც ვიზრდებოდი, რადგან ეს დიდებული წიგნი, მარადიული მეგზური და მასწავლებელია ყოველი ქართველისა. ამ ძალას „დედა ენის“ ყოველი სიტყვა ატარებს და ჩემს თვალწინ ხდებოდა ის, რაზეც მიოცნებია, მაგრამ ვერაფრით მიმიღწევია, რადგან ასეთი სულიერი ძალა უბრალო ადამიანებს არ გააჩნიათ, ეს მისია მხოლოდ რჩეულთ ეძლევათ.

ერთმა გოგონამ, როცა მოთხრობაზე „სიკეთე ბოროტებისათვის“ ვსაუბრობდით, დარცხვენილმა მითხრა: ხანდახან მეც ვაროსავით თანაკლასელებს დავცინიხოლმეო. მისი სიტყვები სხვებმაც მოისმინეს, ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, არაფერი უთქვამთ, მაგრამ ვგრძნობდი, გულში ყველა იგივეს ფიქრობდა.

საკუთარი შეცდომის ხედვა დიდი ნიჭია, მაგრამ სინანული უდიდესი საჩუქარი და მადლია. სინანულს კი მხოლოდ ის განიცდის, ვის სულშიაც უკვე დაივანა მცნებამ. შვიდი წლის გოგონას ეს გულწრფელი სიტყვები ნამდვილი აღსარება იყო, რომელიც იაკობ გოგებაშვილმა, ამ დიდმა მოძღვარმა ათქმევინა.

თანდათან უცნაური მეტამორფოზა დაიწყო მოსწავლეებში. ახლა ისინი სხვა თვალთ უყურებდნენ სამყაროს. გაქრა მათი ზერელე დამოკიდებულება. ახლა გაკვეთილი სავალდებულო და მოსაბეზრებელი კი არა, პირიქით უფრო საინტერესო და ახლობელი გახდა, თითქოს იქ მათი ბედი წყდებოდა და ასეც იყო.

მოსწავლეები მსჯელობდნენ მოთხრობების გმირებზე, დაინყეს მათი შეფასება. ხან ემხრობოდნენ, ხან კი მკაცრად კიცხავდნენ, ხანაც ლმობიერები იყვნენ. მალე ანდაზების აზრსაც ჩასწვდნენ. ძალიან უხაროდათ და გულიანადაც იცინოდნენ, როცა სხვადასხვა სიტუაციას შესაფერის ანდაზას არგებდნენ. ამას თავისი ბავშვური ინტუიციით გრძნობდნენ.

კულტურულ ცხოვრებას მონყვეტილი და არსებობისათვის დაუნდობელი ბრძოლის მაყურებელი მოზარდი ამ მოთხრობებში ძალიან თბილსა და იმედიანს, რწმენით სავსე სიტყვებსაც ეხება. მას ხომ უკვე იშვიათად ესმის სიმშვიდის, ჰარმონიის, სიყვარულის გამომხატველი სიტყვები აღარც შინ და აღარც გარეთ. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ კი სავსეა გულის ამ საკვებით – რწმენით, იმედით და სიყვარულით.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების უკეთ გაცნობა მოსწავლეს თავისი ქვეყნის წარსულთანაც აახლოებს.

სახელმწიფოს სიცოცხლის საიდუმლო გუშინდელისა და დღევანდლობის ერთიანობაში, ამ ერთიანობის ხედვასა და შეგრძნებაშია. თუ ეს კავშირი არ განყვეტილა, თუ ეს კავშირი ცოცხალია, მხოლოდ მაშინ ექნება ქვეყანას მომავალი.

სადღაც შორეთში აღქმული წარსული, თუნდაც საამაყო, ნაწილ-ნაწილ დაშლილ და დარღვეულ ცნობიერებას უყალიბებს მოზარდს. ასეთი დაბნეული და გაუთლიანებული შინაგანობის მხოლოდ წარსულით მოტრახბე, დღეს კი არაფრის მაქნისი კაცი, იმ ბოროტ მონას დაემსგავსება, მინაში რომ ჩაფლა ერთადერთი ტალანტი, არ გაამრავლა, ის ერთიც დაკარგა და თავისი თავიც.

დრო, რომელშიც ცხოვრება მოგვინია, დიდი გამონწევების წინაშე გვაყენებს, ენას ჩვენ თვითონ ვბილწავთ უცხო ხმას აყოლილები, მამულს გვართმევენ, სარწმუნოება კი თავისთავად დაიკარგება ჩვენივე უცოდინრობაში, ზერელეობასა და გულგრილობაში.

ახალგაზრდას ველარ გაუგია ვინ არის, არის კი ნამდვილი მემკვიდრე იმ დიადი წარსულისა, ხატება და მსგავსება თავისი წინაპრებისა. არადა, ზუსტად ისეთია, უბრალოდ, ამის შესახებ არაფერი იცის, რადგან ბოლო ასწლეულების განმავლობაში თავისუფლებისაკენ სწრაფვა – უმადურობად, ეროვნული ღირსება – ნაციონალიზმად, ჩვენი თურაშაული – პანტად მოგვაჩვენა სულის „კომპრაჩიკოსობაში“ განაფულმა შინა თუ გარე მტერმა.

უკვე რამდენი წელია, რაც ნანატრ თავისუფლებას ვეღირსეთ. თუმცა, ტკბილი მონობის ნოსტალგიით შეპყრობილმა საზოგადოებამ მისი ფასი ჯერ ვერ გააცნობიერა. თავისუფალი სახელმწიფო შეიქმნა, შედგა, მაგრამ ვართ კი ჩვენ თავისუფალი ქვეყნის ღირსეული შვილები, შედგა კი ჩვენგან თავისუფალი ქვეყნის მოქალაქე?

მომავალმა თაობამ სამშობლოს, თავისი თავისა და თავისუფლების ფასი უნდა გაიგოს. სკოლის მერხიდანვე უნდა აღიზარდონ თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის ღირსეული შვილები, რომლებიც

ეროვნულ თვითმყოფადობას და კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნას შეაერთებენ და ბედნიერ მომავალს შექმნიან. ღვარძლი მრავალი შეხვდებათ, მაგრამ იაკობ გოგებაშვილს, ამ დიდ მებაღეს, ღვთის სიტყვის დასამკვიდრებლად ნოყიერი ნიადაგი უკვე გაუმზადებია და თუ იავნანასავით შევაცვარებთ მოსწავლეს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“-ს, იგი პატარა ქეთოსავით ველარასოდეს დაივინყებს მის ღვთაებრივ ძალას. ასე მოძალებულ უცხო საცდურს გაუძლებს, არასოდეს დაკარგავს თავის ჭეშმარიტ სახეს და შეაბიჯებს „აღთქმულ ქვეყანაში“, რომელსაც ევროპული ცივილიზაცია ჰქვია და რომლის ნაწილიც შინაგანად დიდი ხანია ვართ.

მანია ჯონხაძე,

ქ. გურჯაანის მეორე საჯარო სკოლის
დანწყებითი კლასების მასწავლებელი

სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილი ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაცა. საჭიროა ზნე განწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს გადუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფაქცევა – სხვა, გონება ერთს ეტყვის და გული სხვას აქმნევინებს. უზნეობა, უხასიათობაც ეს არის და ამ უზნეობითა და უხასიათობით არის ავი ზნე-უნვრთნელი სწავლული კაცი.

ილია ჭავჭავაძე

ინოვაციური მეთოდების არჩევანის თავისუფლება მოსწავლეებისათვის

პედაგოგიური გამოცდილების ვრცელი ტრადიციული გზა გამოვიარე, სწავლა სიცოცხლის ბოლომდეო და მეც დავიწყე ზრუნვა საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

ამ მიმართებით პრიორიტეტი მივანიჭე წიგნიერების კომპეტენციის მისაღწევ კომპონენტებს: ა) ინფორმაციის დამუშავებისა და ბ) მოსაზრებების გამოთქმის უნარებს, რომლებიც შესაბამისობაშია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნასთან: სასწავლო პროცესისათვის იმ აქტივობის დაგეგმვა, რომელიც მოსწავლეებს განუვითარებს წიგნიერების უნარს, ცვალებად კონტექსტში ინფორმაციის დამუშავებისა და მოსაზრებების გამოთქმის უნარს /მუხლი 32 ა.დ./.

საკუთარი საგაკვეთილო პროცესის დაკვირვების მეთოდით შესწავლამ შემდეგი სურათი მომცა: გაკვეთლზე აქტივობების, წერიტი და ზეპირი საშინაო დავალების შესრულებისას მოსწავლეთა უმრავლესობა იყენებს იმ მეთოდებს, რომლებსაც მასწავლებელი ურჩევს.

მოსწავლეთა უმრავლესობას უჭირს ინფორმაციის დამუშავებისა და მოსაზრებების გამოთქმის შემცველი დავალებების შესასრულებლად ეფექტური მეთოდის არჩევა და ელოდებიან მასწავლებლის მითითებებს.

მოსწავლეთა უმრავლესობას უძნელდება მეთოდების ცვალებად კონტექსტში გამოყენება და ერთი საგნიდან ცოდნისა და გამოცდილების სხვა საგანში გადატანა.

აღნიშნული სუსტი მხარის დაძლევისათვის განვსაზღვრე სასურველი შედეგი /ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით 2011-2016 წ.წ./: – ინფორმაციის ცოდნა და გამოყენება: შეუძლიათ ფაქტების ამოკრეფა, გახსენება, იმ ინფორმაციის აღდგენა, რომელიც რაიმე ნიშნით უკავშირდება საგაკვეთილო მასალას.

ინფორმაციის გამოყენება ახალ და კონკრეტულ სიტუაციაში.

– საკუთარი მოსაზრების გამოთქმა:

მკაფიოდ, ცხადად და გასაგებად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს.

საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად იყენებს ციტატებს მხატვრული ნაწარმოებიდან, სხვადასხვა საინფორმაციო რესურსებს სამეცნიერო ლიტერატურიდან, რაც ხელს უწყობს მთავარი იდეის გამოკვეთას, ტექსტში ასახული პრობლემების თემების გაანალიზებას.

გაუმჯობესებული შედეგების მისაღწევად თითოეული კომპონენტისათვის შევარჩიეთ რამდენიმე მეთოდი (სტრატეგია), რათა მოსწავლეებს არჩევანის თავისუფლება ჰქონოდათ.

ინფორმაციის ცოდნისა და გამოყენებისათვის:

ბლუმის ტაქსონომიიდან: ცოდნა: გაიმეორე, გაიხსენე, მოიყვანე ციტატა. გამოყენება: მოამზადე, დააკავშირე, შექმენი.

ორმხრივი ჩანაწერის დღიური: შუაზე გაყოფილი ფურცლის ერთ მხარეს ჩანერილია ამონარიდი, ციტატა, გამოთქმა, მოვლენა, ფაქტი, მეორე მხარეს იწერება კომენტარი. ეს მეთოდი ეფექტურია წყაროებზე მუშაობის პროცესში ინტერნეტ-რესურსების მოძიებისას.

აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსების გამოყენება – სასწავლო რესურსების მოძიება, შენახვა, გამოყენება, განსახილველ თემასთან მიმართებაში. დემონსტრირება – ნიმუშის, მოდელის ან მოპოვებული ინფორმაციის წარმოდგენა, თვალსაჩინოების ჩვენება ან აქტივობის ჩატარება. ტესტების შედგენა – მოცემული თემისგან პრობლემის ირგვლივ ტესტების მოძიება ან შედგენა. ტექსტები ექვემდებარება ანალიზს ან განხილვას. კომენტარი – რაიმე მოსაზრების, ციტატის, მოვლენის, ტექსტის მიმართ შემავსებელი ინფორმაციის მოწოდება.

კაპი – კითხვა, არგუმენტი, პასუხი, ინფორმაცია – ტექსტის სიღრმისეული კითხვისას გამოყენება. კითხვა შეირჩევა ტექსტიდან, არგუმენტირებული პასუხები უნდა შეირჩეს ტექსტიდან, გაირკვევა, რა აკლია ტექსტს, რომ ინფორმაცია სრულყოფილი იყოს.

მოსაზრებების გამოთქმისათვის:

- ჩანაწერის ამ მონახაზის გაკეთება
- მითითებული თემის ან პრობლემის ირგვლივ წყაროების მოძიება,
- მხარდაჭერა,
- გუნდური მუშაობა,
- პრობლემის დასმა და მისი გადაჭრის განსაზღვრა,
- წყაროების მიმოხილვა,
- სხვისი სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა,
- პრობლემის სხვადასხვა პოზიციიდან ხედვა,
- არგუმენტის მოხმობა.

პირველ ეტაპზე (მეათე კლასი, აპრილი-მაისი) მოსწავლეებს გაცანი მეთოდები, დავაუფლე მათ გამოყენებას. შედეგი უკეთესი აღმოჩნდა, მოსწავლეებს შეეძლოთ მოცემული დავალებების შესასრულებლად გააზრებულად შეერჩიათ ეფექტური მეთოდი, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე დავალების დამოუკიდებლად სახლში შესრულებისათვის.

შედეგი გამოვლინდა დავალების შესრულებისათვის დახარჯული დროის შემცირებასა და დავალების შესრულებისადმი ინტერესის ამაღლებაში.

მეორე ეტაპზე შედეგების გაუმჯობესებისათვის მუშაობის გაგრძელება საჭიროდ მივიჩნიე. ამჯერად განვიზრახე მეთოდების არჩევანის თავისუფლებაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სხვა სიტუაციაში, ცვალებად კონტექსტში გამოყენების უნარის გაძლიერება. საამისოდ განვსაზღვრე პირობები: არდადეგების შემდეგ ყოფილი X კლასის, ამჯერად XI კლასში სასწავლო წლის დასაწყისში – განმეორების პერიოდი, **ინტეგრირებული გაკვეთილი**. ინტეგრირება მოხდა საქართველოს ისტორიაში. გაკვეთილს ჩემთან ერთად წარმართავდა წმიდა ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტის ლექტორი, ისტორიის დოქტორანტი, გურანდა კუკულაძე.

სასწავლო თემა – ისტორიული პირები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში.“

გაკვეთილი ჩატარდა გამოცდილების პრეზენტაციის სახით, ესწრებოდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრები, უნივერსიტეტის ლექტორები, პედაგოგიურ პრაქტიკას დაქვემდებარებული სტუდენტები, მათ დაურიგდათ შეფასების ფურცლები, რომლებშიც აღნიშნავდნენ გამოცდილების ძლიერ და სუსტ მხარეს, სურვილებს, წინადადებებს.

მოსაზრებები გამოთქმისათვის:

ჩანაწერების ან მოხსენების გაკეთება – ძირითადი იდეის ჩანწერა, თეზისის შედგენა. იმ საკითხების მონახვაში, რომელსაც ეთანხმება ან საპირისპირო შეხედულება აქვს.

მითითებული თემის ან პრობლემის ირგვლივ წყაროების მოძიება – მოსაზრების მხარდამჭერი ან მოწინააღმდეგე პოზიციების შეჯერება. საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

გუნდური მუშაობა – პრობლემის გარშემო რამდენიმე მოსწავლის ერთობლივი მუშაობა, პროექტის მომზადება ან აქტივობის შერჩევა.

პრობლემის დასმა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა – განსახილველი სასწავლო მასალის პრობლემების შერჩევა და მისი გადაჭრის გზების ძიება.

წყაროების მიმოხილვა – ერთი პრობლემის შესახებ სხვადასხვა წყაროდან ციტატების მოხმობა, ავტორის პოზიციის გარკვევა, თანხმობითი ან უარყოფითი მასალების მოძიება.

სხვისი სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა – დადებითი აღნიშვნა, რას ეთანხმება, რას არ ეთანხმება და რატომ, რას სთავაზობს დასკვნის სახით.

პრობლემის სხვადასხვა პოზიციიდან ხედვა – მოსაზრებების ჩამოყალიბება ავტორის, მკითხველის, დამკვირვებლის, პერსპექტივის შემფასებლის, აღმზრდელის ან სხვა პოზიციიდან.

არგუმენტის მოხმობა – ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შთაბეჭდილებიდან ელექტრონული რესურსების ჩვენება. ინტეგრირებული გაკვეთილისათვის გარემოს შესაქმნელად მომზადდა თვალსაჩინოებები.

საკაკვეთილო პროცესისათვის დაგეგმილი აქტივობების გარდა, მოსწავლეებს წინასწარ მიეცათ სხვადასხვა სახის წერიტი და ზეპირი დავალებები, რითაც მიეცათ სახლში დამოუკიდებლად მეთოდის არჩევანის თავისუფლების შესაძლებლობა.

აღვნიშნავ, რომ მოსწავლეებს ვთხოვ განმარტებებს, რა მეთოდით შეძლეს დავალების შესრულება, რატომ აირჩიეს ეს მეთოდი, რამდენი დრო დასჭირდათ. ამავე განმარტებებს ვთხოვ გაკვეთილზე აქტივობების შესრულებისას, ინდივიდუალურად, წყვილებსა და ჯგუფებში, მაგალითად, აღწერეთ „კაპი“-ის არჩევით მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების პროცედურას. საშინაო დავალება; აშოტ კურაპალატის პორტრეტი.

კაპი

კითხვა – შეარჩია ტექსტის წაკითხვის შემდეგ: რატომ საუბრობს ავტორი ასე ხშირად და სიყვარულით აშოტ კურაპალატიზე?

არგუმენტი – მოიძია ტექსტიდან, როგორც ლიტერატურული, ასევე ისტორიული წყაროდან.

პასუხი – ჩამოაყალიბა ორივე წყაროს მიხედვით. ამასთან გაარკვია, რა აკლია მასალას, რომ

| მეთოდის არჩევანით აქტივობებს ვასრულებ | შესანიშნავად | კარგად | დამაკმაყოფილებლად | ვსაჭიროებ გაუმჯობესებას |
|--|--------------|--------|-------------------|-------------------------|
| შემიძლია ტექსტიდან ფაქტების ამოკრება პრობლემის ან კითხვის შესაბამისად | | | | |
| შემიძლია ინფორმაციის აღდგენა, რომელიც უკავშირდება განსახილველ თემას | | | | |
| შემიძლია ინფორმაციის გახსენება მისი ახალ სიტუაციაში გამოყენებისათვის | | | | |
| შემიძლია საკუთარი აზრის ნათლად და დამაჯერებლად ჩამოყალიბება | | | | |
| საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად ვიყენებ ციტატას, ამონარიდს მხატვრული ან სამეცნიერო ლიტერატურიდან | | | | |
| შემიძლია ტექსტში ასახული პრობლემის თემის გაანალიზება | | | | |
| შემიძლია პრობლემის სხვადასხვა პოზიციიდან შეფასება | | | | |
| შემიძლია შედეგის მისაღწევად ვიპოვო ახალი გზა და გაბედულად წარმოვადგინო | | | | |
| შემიძლია გამოვკვეთო საკითხი მსჯელობისათვის | | | | |
| შემიძლია ლიტერატურაში მიღებული გამოცდილება გადავიტანო ისტორიაში | | | | |

ინფორმაცია – სრულყოფილი იყოს, მოიძია ინტერნეტ-რესურსი, კერძოდ: აშოტ კურაპალატი – დავით მეფესალმუნეს შთამომავალი, შექმნა ახალი ინფორმაცია, რომელიც გაკვეთილზე წარმოადგინა.

გამოცდილების **ძლიერი მხარეა** მოსწავლეთა ინტერესების ამაღლება, საკუთარი სწავლის შედეგით მიღებული სიხარული, მიღებული ცოდნის სხვა საგანში გადატანა, არჩევანის მრავალფეროვან მეთოდებზე დაუფლებით არჩევანის შესაძლებლობა.

თავდაპირველად სუსტი მხარეა ის, რომ მეთოდების გაცნობასა და დაუფლებას სჭირდება, როგორც გაკვეთილის დრო, ასევე გაკვეთილის გარეთ ინდივიდუალური ინსტრუქტაჟი, კონსულტაცია.

მიღწეული შედეგების შესაფასებლად გამოვიყენე შეფასება და კოლეგების თანაშეფასება.

ეფექტური აღმოჩნდა მოსწავლეთა თვითშეფასების ცხრილი, რომელშიც წიგნიერების კომპენტენციის ხარისხი განისაზღვრა მახასიათებლებით: შესანიშნავად, კარგად, დამაკმაყოფილებლად, ვსაჭიროებ გაუმჯობესებას.

თვითშეფასების სქემა

თვითშეფასების ცხრილი გამოვიყენეთ: **ა) სანყის ეტაპზე; ბ) მეთოდების დაუფლების შემდეგ; გ) ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების შემდეგ.**

ანალიზმა დაადასტურა დადებით შედეგი.

თვითშეფასების შედეგები

| | შესანიშნავად | კარგად | დამაკმაყოფილებლად | ვსაჭიროებ გაუმჯობესებას |
|-----------|--------------|--------|-------------------|-------------------------|
| I ეტაპი | 10% | 20% | 16% | 54% |
| II ეტაპი | 21% | 39% | 10% | 30% |
| III ეტაპი | 34% | 46% | 4% | 8% |

მოსწავლეთა დამოკიდებულება შევამოწმეთ **თვითშეფასების ტესტით**, რომლის ანალიზით მახასიათებელმა – „სიამოვნებით“ – მიიღო **82%**

თვითშეფასების ტესტი

მეთოდის არჩევის თავისუფლებით სხვადასხვა აქტივობებს ვასრულებ: (გახაზეთ)

სიამოვნებით

მოვალეობის მოხდის მიზნით

ქულების მიღებისათვის

შედეგმა შემდეგი სურათი მოგვცა:

„სიამოვნებით“ – **82%**

განეული მუშაობის შედეგად მივიღეთ დასკვნა:

1. ინოვაციური მეთოდების არჩევანის თავისუფლება ეხმარება მოსწავლეებს წიგნიერების კომპენტენციის კომპონენტების: ინფორმაციის დამუშავების, მოსაზრების გამოთქმის დაუფლებისათვის საკუთარი სწავლის ხარისხის ამაღლებაში, რაც გამოვლინდა: ა) საგაკვეთილო პროცესში და სახლში დამოუკიდებლად მუშაობისას წერიითი და ზეპირი აქტივობების შესრულებაზე დახარჯული დროის შემცირებით; ბ) ერთ საგანში მიღებული გამოცდილების სხვა საგან-

თან ინტეგრირებისას მიზნობრივად გამოყენებაში; გ) საკუთარი სწავლის შედეგით სიამოვნების განცდაში;

2. მეთოდების არჩევანის თავისუფლებისათვის საჭიროა არჩევანის შესაძლებლობის შემცველი აქტივობების დაგეგმვა;

3. მოსწავლე ფლობდეს წიგნიერების კომპენტენციის ერთი კომპონენტის მისაღწევად რამდენიმე მეთოდს, რაც ამაღლებს აქტივობაში ჩართულობას;

4. მეთოდების არჩევანის თავისუფლების განვითარებისათვის სასარგებლო ფორმაა ინტეგრირებული გაკვეთილი;

5. განწყობის შექმნას ხელს უწყობს თემის შესაბამისი გარემოს მოწყობა და რესურსების შექმნა;

6. ეფექტიანი გამოდგა გამოცდილების პრეზენტაციაზე კოლეგებთან ერთად პედაგოგიურ პრაქტიკას დაქვემდებარებული სტუდენტების ჩართვა.

მერი ღიასაშიძე

საქართველოს საპატრიარქოს
შუახვევის მუნიციპალიტეტის ხიჭაურის
წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის
სკოლის პედაგოგი

ყველა ხალხს მშობლიური ენა მიაჩნია განათლებისა და განვითარების დედაბოძად და მის ფართო დაყენებაზე სკოლებში დაუცხრომლად ზრნავს.


იაკოვ ვოგუაშვილი

სასწავლო ელექტრონული რესურსი


ელექტრონული რესურსი ბევრი მასწავლებლისთვის ნამდვილი თავსატეხი აღმოჩნდა. განსაკუთრებით იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც მაინცა და მაინც ვერ გამოირჩევიან თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობაში, თუმცა ზუნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო შინაარსის ელექტრონული რესურსი განათლების სისტემის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

მდგომარეობა სრულიადაც არ არის უიმედო, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული რესურსები ძირითადად ინგლისურ ენოვანია, მაინც შეიძლება ამ მხრივ გაუმჯობესება. დავიწყოთ იქედან თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ელექტრონულ რესურსად. რესურსად შეიძლება ჩაითვალოს სახელმძღვანელოს ციფრული ვარიანტი, ელექტრონული ტესტები, ინტერნეტ ენციკლოპედია – ვიკიპედია –, სასწავლო მიზნით შექმნილი კომპიუტერული პროგრამები, საგანმანათლებლო ვებ-გვერდი და სხვა.ორი აზრი არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს ისე როგორც არასდროს, მთლიანად საზოგადოება და განსაკუთრებით ახალგაზრდები, მოსწავლეები დამოკიდებულნი არიან თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე. ეს მათთვის იმდენად ახლობელი და საინტერესოა, რომ სამუხაროდ ბევრი რამის, მაგალითად წიგნის მიმართაც, კი ავლენენ გულგრილობას. ვინაიდან და რადგანაც ამ გლობალიზაციის პროცესს ჩვენ ვერ შევარჩევთ, ის ზუნდა მივიჩნიოთ შესაძლებლობად მომავალი განვითარებისთვის, ამიტომ არის მნიშვნელოვანი, ჩვენ, პედაგოგები დავენიოთ მოსწავლეთა მოთხოვნილებებს, გავითვალისწინოთ მათი ინტერესები და შევთავაზოთ ალტერნატიული სწავლების მეთოდები ელექტრონული რესურსების სახით. თუმცა შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ წიგნის კითხვა სხვა რამით ჩანაცვლდეს, მაგრამ მოდით დავფიქრდეთ, საიდან დავიწყეთ – ჯერ იყო ქვისა თუ თიხის ფირფიტები, შემდეგ პაპირუსი, პერგამენტი, ქაღალდი, ახლა კი ელექტრონული მოწყობილობა. ისმება ლოგიკური შეკითხვა: პერგამენტიდან ქაღალდზე გადასვლა რატომ ზუნდა ჩაითვალოს ღალატად... ჩემი აზრით მოსწავლეები ქვეცნობიერად ამას გვეუბნებიან ამიტომ ვფიქრობ მთავარი ინფორმაციის მიღებაა და ამას ქაღალდიდან მივიღებთ თუ ელექტრონული მოწყობილობიდან, მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა გვესმის მათი ზომიერად გამოყენების მნიშვნელობაც. ერთი რამ ნათელია, საგაკვეთილო პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენება გაკვეთილს ბევრად საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და მოტივაციას, აგრეთვე მნიშვნელოვანია მისი კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. მისი გამოყენება შეიძლება ინდივიდუალური, ჯგუფური და შემაჯამებელი შეფასებისთვისაც კი.

მიმოვიხილოთ ერთერთი ინტერნეტ საიტი, სადაც მასწავლებელს ეძლევა საშუალება შექმნას და სრულყოს ელექტრონული სასწავლო რესურსი. საიტის მისამართია learningapps.org მოცემულ საიტში შესაძლებელია მრავალი ადაპტირებული რესურსის შექმნა მაგ:



ვიქტორინა



თავსატეხები



კროსვორდი

ვიქტორინა, ეგრეთწოდებული „ვის უნდა ოცი ათასი“, რომელიც სახალისო გაკვეთილის გარდა, იძლევა საშუალებას შემეცნებითი ხასიათი მიიღოს განვლილი მასალის გახსენებამ, რაც შესანიშნავი საშუალება იქნება შემაჯამებელი გაკვეთილის ჩასატარებლად. ბოლო სამი წელია, რაც აქტიურად ვიყენებ ელექტრონული რესურსების ამა თუ იმ ფორმებს და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მოსწავლეების მხრიდან არასდროს არ მიგრძვინია ამდენი პოზიტივი საგაკვეთილო პროცესის მიმართ. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ ელექტრონული რესურსები უნდა გახდეს გაკვეთილის დაგეგმვისას გასათვალისწინებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.

ჩემს შემთხვევაში მოხდა ის, რასაც არ ველოდი. ელექტრონული რესურსის გამოყენების შემდეგ სრულიად შეიცვალა ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ მოსწავლეებისთვის საგანი ხელოვნება, რომელსაც მე ვასწავლი, უფრო მიმზიდველი და მრავალმხრივი ინტერესის სფერო გახდა, რაც აღმძრავს ახალ-ახალი რესურსების დამუშავებისა და შექმნისკენ.

ჩემი დაკვირვებით, თუმცა ელექტრონული რესურსის შექმნა ითხოვს დიდ დროსა და ენერგიას, ეს ღირს ძალისხმევად. მოსწავლეები ამ ახალი მეთოდების გამოყენებას არათუ მხოლოდ ითხოვენ, არამედ აუცილებელ კომპონენტსაც კი შეადგენს მათი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, რაც არამარტო მათ, არამედ მეც, როგორც მასწავლებელს მამუდნიერებს და ძალებს მაძლევს განვითარდე და ყოველთვის მზად, ვიყო ვუპასუხო ახალ გამონგვევებს.

გიორგი არბოლიშვილი ქობულეთი, სოფელ ჯიხანჯურის საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი

აღზრდისა და განათლების ურთიერთმიმართების შესახებ

აღზრდისა და განათლების ურთიერთმიმართების შესახებ არაერთხელ დამინერია და, ბუნებრივია, საყვედურიც გამოომთქვამს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მისამართით, რომლის კომპეტენციაშიც შედის როგორც განათლების, ისე აღზრდის მართვა. წესით, არც სამინისტროს და არც თავად მინისტრს, ცხადია, რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვებინა ეს პროტესტი, მაგრამ, როგორც ამბობენ, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. რატომ?! რატომ არ იცავს სამინისტრო თავს, როცა მას იმ საქმის უყურადღებობაში ედავებიან, რაც მისი უმთავრესი საქმეა?! აშკარაა, რომ განათლების სამინისტროს /მეცნიერება შეგნებულად „შევუკვეცე“ ამ სამინისტროს რადგან, ჩემი აზრით, მეცნიერებას ჰყავს თავისი პატრონი მეცნიერებათა აკადემიის სახით და, თუ სამინისტრო ხელს არ შეუშლის და ცოტა დაფინანსებასაც გაუზრდის, მშვენივრად გაუძღვება იგი თავის საქმეს/ აღარაფერი აქვს სათქმელი და თავის გასამართლებელი. მე მხოლოდ ფაქტებით ვილაპარაკებ და არა თეორიებით /ამ დონემდე განათლების სამინისტრო ჯერ არ ამალღებულა/. ფაქტები კი ასეთია: განათლების სამინისტრომ გააუქმა მასთან /ამ სამინისტროსთან/ არსებული პედაგოგიკის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტი, უგულვებლყო „პედაგოგიკა“, როგორც აღზრდის შესახებ მეცნიერება, გააუქმა პედაგოგიკის კათედრები, გააუქმა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, გააუქმა პედაგოგიური უნივერსიტეტი /მხედველობაში მაქვს სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტი/. რაც შეეხება პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიას, რომლის შემადგენლობაში ჩვენი ქვეყნის ბევრი თვალაჩინო მეცნიერი და ხელოვანი შედის, მისთვის ერთი ოთახის გამოყოფაც კი გაუჭირდა როგორც სააკაშვილის ხელისუფლებას, ისე ამ ახალ ხელისუფლებასაც. ეს, რაც შეეხება პედაგოგიკასა და აღზრდას. ხოლო რაც შეეხება მეცნიერებას, რომელიც, ცხადია, მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს კომპეტენციაში შედის, იქ მდგომარეობა ასევე საგანგაშოა. ჩამოვთვლი მხოლოდ იმ საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტებს, რომელთა შესახებაც პირადად მე ვიცი: აღარ არსებობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი /ოღონდ აქ აკადემია არაფერ შუაშია/. ინსტიტუტი, სადაც მოღვაწეობდნენ აკად. შალვა ნუცუბიძე, მერაბ მამარდაშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, სავლე წერეთელი,

კოტე ბაქრაძე, ზურაბ კაკაბაძე, გურამ თევზაძე, თამაზ ბუაჩიძე, ანგია ბოჭორიშვილი, ირაკლი კალანდია. გაუქმებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დამაარსებელი იყო მსოფლიო კლასის მეცნიერი, განწყობის თეორიის შემქმნელი დიმიტრი უზნაძე და სადაც მოღვაწეობდნენ ალექსანდრე ფრანგიშვილი, შოთა ნადირაშვილი, ირაკლი იმედაძე /ოლონდ აქაც აკადემია არაფერ შუაშია/. გაუქმებული საკვლევი-სამეცნიერო ინსტიტუტების ჩამოთვლა კვლავაც ბევრის შეიძლება, მაგრამ ახლა მოდით, ისევ აღზრდა-განათლების ურთიერთმიმართების საკითხს დავუბრუნდეთ. ფაქტი ერთია და ფრიად სამწუხარო: განათლების სამინისტრო მის მიერ მომზადებულ არცერთ დოკუმენტში არ ახსენებს აღზრდას და „აღზრდის“ ნაცვლად ლაპარაკობს „განათლებაზე“, ისე თითქოს „აღზრდა“ და „განათლება“ ერთიდაიგივე იყოს და თითქოს ამ ცნებათა შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდეს. სამწუხაროდ, ასე მხოლოდ ის იქცევა, ვისაც არავითარი თეორიული ცოდნა არ გააჩნია და ცნებების დონეზე ვერ აზროვნებს. ეს ნამდვილი კატასტროფაა! მაგრამ ეს კატასტროფა რომ იგრძნო, თავად უნდა აზროვნებდე ცნებებით, მსჯელობებით, დასკვნებით, თავად უნდა იცოდე აზროვნების კანონები და იცავდე მას, ანუ იცოდე მეცნიერების ანაბანა. მარტო უცხოეთში მიღებულ /თანაც საეჭვო გარემოებებში/ სერტიფიკატს კი არ უნდა ფლობდე, არამედ უნდა გაგაჩნდეს ლოგიკური აზროვნების ცოდნა და გამოცდილება.

კიდევ უფრო მეტი: დღეს არ არსებობს უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც პედაგოგს, მასწავლებელს მოამზადებდა ისე, როგორც ამზადებენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლები იურისტებს, ფსიქოლოგებს, სოციოლოგებს, მედიკოსებს, ინჟინრებს. არ ვიცი – აცნობიერებს თუ არა განათლების სამინისტრო – რას ნიშნავს ეს, ანუ აცნობიერებს თუ არა იმას, რომ გარკვეული წლების შემდეგ /და ეს დრო შორს არ არის/ სკოლის მასწავლებელი, ანუ პედაგოგი არ გვეყოლება. მართალია, სკოლებს კი ამცირებენ, მაგრამ ბავშვების შობადობას მთლიანად ვერ შეწყვეტენ /ისედაც შემცირებულია/ და სკოლის ასაკის ბავშვებსაც სხვაგან, სხვა ქვეყანაში ვერ გადაასახლებენ.

რასაც ახლა ვიტყვი, ესეც, როგორც ამბობენ, მილიონჯერ მაქვს ნათქვამი: ის ვითარება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამზადებს, ვთქვათ, ბიოლოგებს, ან ფიზიკოსებს ან ქიმიკოსებს და ა.შ., არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ამზადებდნენ ბიოლოგიის, ფიზიკის ან ქიმიის მასწავლებლებს. მომავალი მასწავლებლები მარტო საგანს /ბიოლოგიას, ფიზიკას ან ქიმიას კი არ სწავლობენ, არამედ სწავლობენ იმასაც, თუ როგორ უნდა ასწავლონ ეს საგნები სხვა ადამიანებს, ანუ სტუდენტებს., სწავლობენ ამ საგნების სწავლების მეთოდებს, ან სხვანაირად სწავლობენ – როგორ უნდა ასწავლონ სწავლება.

როგორც უკვე ითქვა, დღევანდელმა განათლების სამინისტრომ ფაქტიურად გააუქმა ისეთი მეცნიერება, როგორცაა პედაგოგიკა. მეცნიერება, რომელსაც ქმნიდნენ გენიალური მოაზროვნეები, იან ამოს კომენსკიდან დანყებული, ჯონ დიუით დამთავრებული /აქ მე დიუით იმიტომ ვამთავრებ, რომ პედაგოგიკის კლასიკოსებს ვგულისხმობ, ანუ იმათ, ვისი გვარებიც იცის საზოგადოებამ, თორემ პედაგოგიკის სხვა თეორეტიკოსებიც ბევრნი არიან/. პედაგოგიკის გაუქმება კი იმას ნიშნავს, რომ არ გვინდა მეცნიერება აღზრდის შესახებ. მაშ, რა გვინდა? როგორც განათლების დღევანდელი მესვეურები ამბობენ, გვინდა განათლებული ადამიანები, ანუ ადამიანები, რომელთაც განათლება აქვთ, მაგრამ აღზრდა არა აქვთ, ანუ ადამიანები, რომლებიც განათლებულები კი არიან, მაგრამ იმავდროულად აღზრდელები არიან?! მეეჭვება, განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო საქმიანობა აქეთკენ იყოს მიმართული. და თუ ეს არ უნდა სამინისტროს, მაშინ ამ დილემიდან ერთადერთი გამოსავალი ასეთია; განათლებულობა თავისთავად უნდა გულისხმობდეს აღზრდილსაც. თუ განათლებულში კარგად აღზრდილი, რაფინირებული, ჯენტლმენი ყმანვილი იგულისხმება, მაშინ „აღზრდის“ ცნებას ადვილად ჩაენაცვლებოდა „განათლებულის“ ცნება და პრობლემა გადაჭრილი იქნებოდა.

არიან ადამიანები, რომელთაც ეს ცნებები იდენტურ ცნებებად მიაჩნიათ. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ, მიუხედავად ამ ცნებების სიახლოვისა, ისინი ვერ ფარავენ ერთმანეთს და სინონიმური ცნებები არ არიან /ადამიანთა ამ კატეგორიას განვეკუთვნები პირადად მე/. ისინი მსჯელობენ ასე: შეიძლება ადამიანს ჰქონდეს საუკეთესო განათლება, იყოს მრავალმხრივ განსწავლული, დიდი დიაპაზონით და ფართო ერუდიციით, მაგრამ კარგად აღზრდილი არ იყოს /აშკარაა, რომ ჩვენ კარგად აღზრდილში, უპირველესად, ზნეობრივ ადამიანს ვგულისხმობთ/. შორს რომ არ წავიდეთ და გარე-გარე არ დავუნყოთ მაგალითებს ძებნა. ჩვენი „საყვარელი“ ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეგვიძლია დავასახელოთ. იგი განათლებული, თანამედროვე ევროპულ-ამერიკული სტანდარტების მიხედვით, ნამდვილად იყო. იცოდა ენები, მეტნაკლებად ერკვეოდა პოლიტიკაში, კარგად საუბრობდა, ჰქონდა მჭევრმეტყველებისა და ორატორული ხელოვნების ნიჭი, ქარიზმატულიც იყო /მან ხომ თავის დროზე თითქმის მთელი საქართველო „გააბრუა“ და თავისთვის მიაცემინა ხმა. უფრო მეტიც, მან თავისთვის უცხო ქვეყანაში – უკრაინაში მოსახლეობის ნახევარი აიყოლა /დამეთანხმებით, ალბათ, რომ ბნელი, გაუნათლებელი კაცი ამას ვერ შეძლებდა, მაგრამ, მეორე მხრივ, იყო არნახული უზნეო, სადისტი, პირსისხლიანი ადამიანი. მან 9 წელიწადში საქართველო სასაკლაოდ აქცია და, თუ დავსვამთ კითხვას: რა აკლდა მას – განათლება თუ აღზრდა, ერთმნიშვნელოვან პასუხს მივიღებთ: მას ჰქონდა განათლება, მაგრამ აკლდა /აკლდა კი არა, საერთოდ არ ჰქონდა/ აღზრდა, პირველ რიგში, ზნეობრივი აღზრდა.

მარტო ეს მაგალითი კარგად აჩვენებს, რომ „განათლებულობა“ ვერ ფარავს „აღზრდილობას“. მაშინ, რატომ არ უნდათ აღზრდის გაგონება ჩვენი განათლების მესვეურებს?! ასეთი რა დაუშავათ აღზრდამ?

ჩემი ღრმა რწმენით, ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ აღზრდა გულისხმობს აღმზრდელს, მოძღვარს, ჭკუის დამრიგებელს, გზის გამკვალავს, ანუ მასწავლებელს, ანუ იმას, ვინც გიზიარებს თავის ცოდნა-გამოცდილებას, გიყალიბებს მსოფლმხედველობას, გარკვევს ღირებულებათა იერარქიაში. და კიდევ უფრო მეტი, ის, რის გამოც ზარავთ აღზრდის მონინააღმდეგებს აღზრდის გაგონება, ისაა, რომ აღზრდა აუცილებლად გულისხმობს ეროვნულობას /ეროვნული, პატრიოტული აღზრდა/, ზნეობრიობას /ზნეობრივი აღზრდა/, რელიგიურობას /რელიგიური აღზრდა/, სილამაზისა და მშვენიერებისაკენ სწრაფვას /ესთეტიკური აღზრდა/. ცხადია, აღზრდა ასევე გულისხმობს ცოდნის შექენა-დაუფლებას, მაგრამ მასში უპირველესი მაინც ზნეობრივი და პატრიოტული აღზრდაა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა სკოლა და სააღმზრდელო დაწესებულებები არ არსებობდა, ბავშვების აღზრდას მარტო ოჯახი და მშობლები კი არ ახორციელებდნენ, არამედ გვარში უხუცესები, მოძღვრები, მახვშები და ა. შ.

თუ აღზრდა ეროვნული ფესვებზე დაყრდნობას გულისხმობს, განათლება კოსმოპოლიტურია თავისი ბუნებით, ასეთ განათლებულობას კი კომპიუტერიც იძლევა. მაგრამ კომპიუტერიცა და ინტერნეტიც უსულო, უემოციო საგნებია. შესაბამისად, განათლებას არა აქვს ეროვნული ხასიათი, ეროვნული ბუნება. აღზრდა კი აუცილებლად ეროვნული ბუნებისაა. ამასთან, აღზრდა მრავალ ამკრძალავ ნორმებს უწესებს ადამიანებს, განათლება კი – არა! მარტო 10 მცნება რომ ავიღოთ, მათგან თითქმის ნახევარი ამკრძალავია /„არა კაც კლა“, „არა იმრუშო“, „არა ცილი სწამო“ და ა.შ./, განათლებულსაც შეუძლია ბევრი რამ ამკრძალავი ამოიკითხოს წიგნიდან, მაგრამ გაიზიარებს თუ არა მას, ეს მხოლოდ მის ნებაზეა დამოკიდებული. აღზრდის შემთხვევაში კი ყველა ზნეობრივი ნორმის შეთვისება აღმზრდელის დახმარებით ხდება.

ნუთუ იმას, რასაც ახლა მე ვამბობ, მარტო მე ვხვდები და აღზრდის საქმის მესვეურები, მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა ამას ვერ ხვდება?! ცხადია, ხვდებიან და, ალბათ, ჩემზე ნაკლებად არა. მაშ, რაშია საქმე? რატომ ანიჭებენ უპირატესობას განათლებას აღზრდასთან შედარებით? რატომ არ უნდათ ამ ადამიანებს „პედაგოგიკის“, როგორც აღზრდის შესახებ მეცნიერების ხსენებაც კი? პასუხი ამ კითხვაზე ძალზე მარტივია და ცალსახა: „აღზრდა“, როგორც ეროვნულობასთან დაკავშირებული ცნება, მიუღებელია ჩვენი უცხოელი პატრონებისათვის. ისინი ამას არც მალავენ და ყველას გასაგონად აცხადებენ, რომ ეროვნულობა საშინელი პროვინციალიზმია, ფეოდალიზმის გადმონაშთია და ამ-

დენად ანაქრონიზმი, რომელსაც სწორედ განათლებულობით უნდა დაუპირისპირდეს ერიც და ინდივიდიც. მათი ლოგიკით, რაც უფრო გაიზრდება განათლებულობა, მით უფრო ამოიკვეთება აღზრდის პროვინციალურობა და შემცირდება სწრაფვა ეროვნულობისაკენ. და, რაც მთავარია, ეს იქნება კარგი. ეს იქნება „წარმატება“, „წინსვლა“ და ა. შ.

„განათლებისა“ და „აღზრდის“ ცნებების ერთმანეთში აღრევას, გარდა უცხოელი პატრონების ხათრისა, ისიც უნყობს ხელს, რომ ჩვენი ხელისუფლება საერთოდ მწყრალადაა მეცნიერებასთან, ყოველშეთხვევაში ჰუმანიტარულ მეცნიერებასთან. „კომაროველთა თავმოყრამ“ ხელისუფლებაში დიდად დააზარალა ჰუმანიტარული დარგები. მათ, მაგალითად, არა მარტო არ ანუხებთ „აღზრდისა“ და „განათლების“ ცნებების ურთიერთაღრევა, არამედ არც „კულტურისა“ და „ცივილიზაციის“ ცნებების არაიდენტურობაც. დღეს, როცა მეცნიერებას მიაჩნია, რომ ცივილიზაცია სხვაა და კულტურა სხვა, საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა არათუ უნდა გაჰყონ ისინი ერთიმეორისაგან, არამედ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კულტურის დაცვლებას ცივილიზაციისაგან და ამ გზით იზრუნონ კულტურის წინსვლისა და აღმავლობისათვის.

მეტი სიცხადისათვის კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის განსხვავება, რაც არსებობს კულტურასა და ცივილიზაციას შორის. საქმე ისაა, რომ ცივილიზაცია დღეს გულისხმობს ტექნიკის იმგვარ წინსვლას, რომელიც ადამიანთა მატერიალურ კეთილდღეობას, მისი ყოფითი ცხოვრების გაუმჯობესებას უწყობს ხელს, კულტურა კი ეხება ადამიანის სულს, მის ზნეობრივ კათარზისს, მის სულიერ სრულქმნას და სრულყოფას.

საკმარისია ეს სათანადოდ არ, ან ვერ გაცნობიერდეს, საკმარისია ცივილიზაციას მიექცეს უფრო მეტი ყურადღება, ვიდრე კულტურას, რომ მოხდეს ტექნიკის გაფეტიშება და შესაბამისად, ადამიანი დაემსგავსოს მანქანას, იქცეს რობოტად, მანქურთად, Homo Faber-ად.

იქ, სადაც „კულტურას“, „ცივილიზაციას“, „განათლებას“ და „აღზრდას“ ურევენ ერთმანეთში /უფრო შეგნებულად, ვიდრე შეცდომით/, რა ზნეობრივ აღზრდაზე შეიძლება ლაპარაკი?

„კულტურის“ კრიზისის გამოხატულებაა ისიც, რომ ჩვენმა საგანმანათლებლო სისტემამ დღემდე არ იცის – უნდა ჰქონდეთ ჩვენს მოსწავლეებს რაიმე სახის იდეოლოგია თუ არა. გასაგებია, რომ არ გვინდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, კლასთა ბრძოლისა და ათეიზმის იდეოლოგია, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება მისი ჩანაცვლება ეროვნული იდეოლოგიით /გნებავთ, ღირებულებებით/ ისეთით, მაგალითად, როგორიცაა:

ილიასეული: „მამული, ენა, სარწმუნოება?“.

ამგვარი კითხვით მივმართე მე მეცნიერებისა და განათლების ყოფილ მინისტრს კახა ლომიას მოსწავლეთა სასახლეში პედაგოგიკის აკადემიის აკადემიკოსებთან მისი შეხვედრის დროს, რაზედაც მი-

ნისტრმა ჯერ არაფერი მიპასუხა, წაიყრუა, ვითომ შეკითხვა ვერ გაიგონა და სხვა ადამიანის შეკითხვას გასცა პასუხი. მაგრამ შეკითხვა ისევ რომ გავუმეორე, გაცხარებულმა მინისტრმა აი, რა მიპასუხა: თუ თქვენ გინდათ, რომ მე ფაშისტურ იდეოლოგიას დავუჭირო მხარი, ეს არ გამოგივათო. ამ შეკრებას ასობით ადამიანი ესწრებოდა და ეს ფაქტი ბევრს დღესაც კარგად ახსოვს.

მართალი გითხრათ, მაშინ ვერ გავიგე – რა ფაშისტურ იდეოლოგიაზე ლაპარაკობდა ბატონი მინისტრი, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ მან სრულიად გულწრფელად და დაუფარავად გამოთქვა ის, რასაც სხვები ფიქრობდნენ მაშინაც და ფიქრობენ ახლაც. საქმე ისაა, რომ განათლების ყოფილი მინისტრისათვის, ისევე როგორც ბევრი სხვისთვის, ეროვნული, ანუ ნაციონალური იდეოლოგია გაიგივებული იყო ნაციონალიზმსა და შოვინიზმთან და ამდენად, ფაშიზმთან. სხვათაშორის იდეოლოგიის ამგვარი, ყოვლად უვარგისი და საზიანო გაგება ბევრისთვის დღესაც ძალაშია და ამიტომაცაა მათთვის ყოველგვარი ლაპარაკი ეროვნულზე მიუღებელია და უკუსაგდები.

მიუხედავად მინისტრის ამგვარი გაცხარებისა, მე დღესაც იმ აზრის ვარ, რომ, ცხადია, უნდა არსებობდეს ეროვნული იდეოლოგია, ანუ სკოლამ უნდა იცოდეს, რა ღირებულებებზე უნდა აღზარდოს მომავალი თაობა – მამულის, მშობლიური ენისა და მართლმადიდებლური ქრისტიანობის სიყვარულით, თუ უეროვნებო, უსახო, ცივისისხლიან კოსმოპოლიტიზმად.

ამასწინათ ერთ-ერთ უაღრესად საინტერესო შეკრებაზე მეუფე დანიელმა, ამ უაღრესად განსწავლულმა და ეროვნულმა ადამიანმა, ბრძანა: თუ იდეოლოგია წარსულის უსიამოვნო ასოციაციებს იწვევს, იქნებ ეს სიტყვა ფასეულობებით /ღირებულებებით/ შევცვალოთო. ჩემი აზრით, ეს მშვენიერი გამოსავალია მდგომარეობიდან, რადგან ფასეულობები /ღირებულებები/ არავითარ უსიამოვნო ასოციაციებთან აღარ არის დაკავშირებული. ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ კი, ყოველი ადამიანი ვალდებულია მისდიოს ისეთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, როგორებიცაა: „ჭეშმარიტება“, „სიკეთე“ და „სილამაზე“ და ისეთ ეროვნულ ღირებულებებს, როგორებიცაა: „მამული“, „ენა“ და „სარწმუნოება“. ეს ისეთი ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებებია, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში სწირავდნენ თავს ადამიანები. დარწმუნებული ვარ, ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა არც ის იციან, თუ რა არის ღირებულება და არც ღირებულებათა იერარქიაზე აქვთ ნათელი წარმოდგენა /ყოველშემთხვევაში ამის თქმის უფლებას პირველკურსელ სტუდენტთა გამოკთხვის შედეგი მაძლევს/.

სამწუხაროდ, ჩვენს სკოლას და არა მარტო სკოლას, არამედ ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს არასწორად ესმის „თავისუფლების“ ცნების შინაარსი, კერძოდ, ესმის როგორც ყველაფრისაგან განთავისუფლება, როგორც აბსოლუტური თავისუფლება, რაც, რასაკვირველია, სწორი არ არის. დავინწყით იმით, რომ აბსოლუტური თავისუფ-

ფლება არ არსებობს /ასე მაგალითად, ადამიანი თავად ვერ ირჩევს – სად დაიბადოს და როდის, რომელ ქვეყანაში და რომელი ფორმაციის პირობებში, რომელ ოჯახში – მდიდარსა თუ ღარიბში, ქრისტიანულსა თუ მუსლიმანურში და ა.შ. და მერე მეორე: აბსოლუტური თავისუფლება ლოგიკურად მიდის თვითნებობამდე, აღვირახსნილობამდე, უზნეობამდე /ტყუილად ხომ არ ეძახიან ასეთ თავისუფლებას „გიჟის თავისუფლებას“/. თუ ისტორიული თვალთახედვით განვიხილავთ, ანტიკური მითოლოგია საერთოდ გამორიცხავდა ადამიანის თავისუფლებას, მიაჩნდა რა, რომ ადამიანზე ზემოქმედებს ბედის ფატალური გარდუვალობა. არსი ამგვარი ფატალური გარდუვალობისა ისაა, რომ ადამიანს დაბადებიდანვე თან დაჰყვება გარკვეული ბედი /ბედისწერა/, რომელშიც ადამიანს არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ყოველგვარი მცდელობა – შეეცვალა რაიმე მის ბედში, ადამიანის მხრიდან აზრს ჰკარგავდა. ამ თემაზეა სწორედ აგებული სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“, რომლის მიხედვითაც ოიდიპოსს უნდა მოეკლა საკუთარი მამა და დედა ცოლად შეერთო. რა არ იღონეს ოიდიპოსის მშობლებმა, რომ ეს საშინელი ბედი თავიდან აეცილებინათ, მაინც ვერაფერი შეძლეს. მოხდა ზუსტად ისე, როგორც ეს ბედისწერით იყო განსაზღვრული: ოიდიპოსმა მოკლა საკუთარი მამა და დედა ცოლად შეირთო.

განსხვავებით მითოლოგიური მსოფლმხედველობისაგან, რელიგიური მსოფლმხედველობა /ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანულ მსოფლმხედველობა/, ადამიანს თავისუფალ არსებად აცხადებდა, თუმცა ეს თავისუფლება არავითარ შემხვევაში არ იყო აბსოლუტური თავისუფლება. ასე რომ ყოფილიყო, ყოველგვარ აზრს დაკარგავდა სამოთხე და ჯოჯოხეთი. გავიხსენოთ; როგორ ამწესებს ღმერთი ადამიანებს ზოგს სამოთხეში, ზოგსაც – ჯოჯოხეთში. ანუ როგორ აჯილდოებს ადამიანების ერთ ნაწილს სამოთხეში ცხოვრებით, მეორეს – ჯოჯოხეთისაკენ „ისტუმრებს“.

თუ მეცნიერების მონაცემებს გავითვალისწინებთ, თავისუფლება არ არსებობს პასუხისმგებლობის გარეშე, მაღალი შეგნების გარეშე. თანაც თავისუფლებაცაა და თავისუფლებაც. არსებობს როგორც „რალაციისაგან თავისუფლება“, ისე „რალაციისათვის თავისუფლება“. აქედან პირველი, თავისუფლების დაბალი დონეა. იგი გულისხმობს რალაციისაგან /ვთქვათ, ტყვეობისაგან, პატიმრობისაგან, იძულებისაგან, ძალდატანებისაგან, ადმინისტრირებისაგან თავისუფლებას, მეორე კი, ანუ „რალაციისათვის თავისუფლება“ გულისხმობს თავისუფლებას, მიმართულს შემოქმედებითი საქმიანობისაკენ, რალაც სასარგებლოსა და ღირებულის შექმნისაკენ, ვთქვათ, ნიკორწმინდის აგებისაკენ, „კიდევაც დაიზრდებიან“-ის გამოქანდაკებისაკენ და ა.შ.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: რაც ახლა მე ვთქვი, მეცნიერებისთვის ნამდვილად არაა ახალი აღმოჩენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ცოდნით რომ ესარგებლა ჩვენს პარლამენტს, ასე გრიალ-გრიალით

არ მიიღებდა იმ ანტიდისკრიმინაციულ კანონს, რომელშიც ბევრი რამ არის ისეთი ჩადებული, რაც ასე ეწინააღმდეგება ქართველი კაცის ბუნებას, მის ეროვნულ ხასიათს, მის მენტალიტეტს. ეს ცოდნა რომ ჰქონოდა ჩვენი განათლების მესვეურებს, მაშინ სხვასაც აუხსნიდნენ, რომ არსებობს არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი ანუ რელატიური თავისუფლება და რომ ადამიანი სოციალური არსებაა და მას, როგორც სოციალურ ანუ საზოგადოებრივ არსებას, არ შეუძლია დაუპირისპირდეს საზოგადოებას, არ იცხოვროს საზოგადოებრივი ნორმების და ტრადიციების შესატყვისად.

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა: განათლებულობა ვერ ფარავს აღზრდას. სანამ ადამიანი არსებობს, მანამ იგი უარს ვერ იტყვის აღზრდაზე. ცხოველისაგან განსხვავებით, რომელსაც უცვლელი ბუნება აქვს, ადამიანი ცვალებადი ბუნების არსებაა. ეს ნიშნავს იმას, რომ იგი იბადება არა იმთავითვე ადამიანად, არამედ იბადება ადამიანობის კანდიდატად. ადამიანად იგი მერე ფორმირდება აღზრდის, ანუ სააღმზრდელო გარემოს საშუალებით.

რეზო გულანჩივაძე

პროფესორი

ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი.

ილია ჭავჭავაძე

ჯონ დიუი ჩემი პედაგოგიური მრწამსი

მუხლი მეოთხე, მეთოდის ბუნება

მჯერა, რომ საბოლოო ჯამში, მეთოდური საკითხი ბავშვის ინტერესებისა და შესაძლებლობების განვითარების საკითხამდე დაიყვანება. მასალასთან მოპყრობის და მისი წარმოდგენის წესი თავად ბავშვის ბუნების ნაწილია. სწორედ ამიტომ, მჯერა, რომ წინამდებარე დებულებები უდიდესი მნიშვნელობის და იმ სულისკვეთების მატარებელია, რომლითაც განათლება წინ მიიწევს;

1. მე მჯერა, რომ ბავშვის ბუნების ჩამოყალიბების პროცესში აქტიური ჯაბნის პასიურს, გამოხატვა წინ უსწრებს ცნობიერ აღქმას, კუნთების განვითარება უსწრებს სენსორულ განვითარებას, ცნობიერ შეგრძნებებს წინ უძღვის მოძრაობები. მჯერა, რომ გაცნობიერება არსებითად მოტორული ან იმპულსურია და რომ ცნობიერი მდგომარეობები ასახვას მოქმედებაში ჰპოვებენ.

მე მჯერა, რომ ამ პრინციპის უგულვებლყოფა სასკოლო საქმიანობაში მეტწილად დროისა და ძალების ფლანგვის მიზეზია. ბავშვის მდგომარეობა პასიურ თვისებასა და მიმღებლობას ემყარება. შეუსაბამო პირობები მას საშუალებას არ აძლევს მიყვეს საკუთარი ბუნების წესს; შედეგი არის წინააღმდეგობა და ამაო ხარჯვა.

მე მჯერა, რომ იდეები (ინტელექტუალური და რაციონალური პროცესები) მოქმედების საფუძველზე ქცევის უკეთესი მართვის მიზნით ყალიბდება. ის, რასაც ჩვენ გონებას ვუნოდებთ, პირველ რიგში ქცევის თანმიმდევრულად და ეფექტურად წარმართვის წესია. ორგანიზების გარეშე განსჯისა და გონებრივი უნარების განვითარების მცდელობა ჩვენი ამჟამინდელი მიდგომების ძირეული შეცდომაა. შედეგად, ჩვენ ბავშვს პირობითად შერჩეული სიმბოლოებით ვამაგრებთ. გონებრივი განვითარებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს სიმბოლოები, მაგრამ მათ, როგორც ძალისხმევის დაზოგვის საშუალებებს, თავიანთი ადგილი აქვთ. მიმართების გარეშე ისინი უშინაარსო და უსაფუძვლო იდეების მასას წარმოადგენენ, რომლებშიც გარედან ძალით არიან თავს მოხვეულნი.

2. მე მჯერა, რომ სურათ-ხატი სწავლების საუცხოო ინსტრუმენტია. ის, რასაც ბავშვი მისთვის შეთავაზებული თითოეული საგნიდან იღებს, არის უბრალოდ ხატები, რომლებსაც ის ამ საგნებთან მიმართებაში თავისთვის აყალიბებს.

მე მჯერა, რომ იმ ენერჯის ცხრამეათედი, რომელიც ბავშვისთვის კონკრეტული საგნის სწავლებისკენაა მიმართული, ბავშვის მიერ სათანადო ხატების ფორმირებაზე რომ დახარჯულიყო, სწავლების კუთხით სამუშაო გაცილებით შემსუბუქდებოდა.

მე მჯერა, რომ იმ დროის უდიდესი ნაწილი, რომელიც გაკვეთილების მომზადებასა და წარმოდგენას ეთმობა, შეიძლებოდა უფრო გონივრულად და სასარგებლოდ მიმართულიყო ბავშვის წარმოსახვის ვარჯიშსა და იმ საგნების ზუსტი, ცოცხალი და გავითარებადი ხატების შემუშავებაზე, რომლებთანაც ბავშვს გამოცდილების მიღებისას აქვს შეხება.

3. მე მჯერა, რომ ინტერესები შესაძლებლობების ზრდის ნიშნები და სიმტომებია. მჯერა, რომ ისინი უნარების განვითარების საფუძველია. შესაბამისად, ინტერესებზე მუდმივ და გულმოდგინე დაკვირვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლებისთვის.

მე მჯერა, რომ ამ ინტერესებს უნდა განიხილავდნენ, როგორც ბავშვის მიერ განვითარების მიღწეული დონის მაჩვენებლებს.

მე მჯერა, რომ ზრდასრულ ადამიანს მხოლოდ ბავშვების ინტერესებზე მუდმივი დაკვირვებით შეუძლია შეაღწიოს ბავშვის სამყაროში და დაინახოს, რისთვის არის ის მზად და რა მასალასთან იმუშავებს ის უფრო ნაყოფიერად და მეტი მზაობით.

მე მჯერა, რომ არ შეიძლება ამ ინტერესთა არც მიშვება და არც შეზღუდვა. ინტერესის შეზღუდვა ნიშნავს, ბავშვის ზრდასრულად აღქმას და ამგვარად მისი ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობის დაჩლუნგებას, მისი სიმხნევეების ჩახშობას, ინიციატივისა და ინტერესების ჩაკვლას. ინტერესის მიშვება ნიშნავს მუდმივის გარდამავალით ჩანაცვლებას. ინტერესი ყოველთვის მისი რაღაც მიღმიერი შესაძლებლობის ნიშანია; ძალიან მნიშვნელოვანია ამ შესაძლებლობის აღმოჩენა. ინტერესთა მიშვება მის ზედაპირულად გააზრებას ნიშნავს, რისი უეჭველი შედეგიც ჭეშმარიტი ინტერესის კაპრიზითა და ახირებით ჩანაცვლებაა.

4. მე მჯერა, რომ განცდები ქცევათა ანარეკლია.

მე მჯერა, რომ განცდების, მათი შესაბამისი აქტივობებისგან განყენებულად აღძვრის მცდელობა არაჯანსაღი და ავადმყოფური გონებრივი მდგომარეობის ნახალისებაა.

მე მჯერა, რომ თუკი ჩვენ ყოველივე დადებითთან, ჭეშმარიტთან და მშვენიერთან კავშირში ქცევისა და აზროვნების ჩვევების გამო-მუშავებას შევძლებთ, ემოციები საკუთარ თავს თავად მიხედავენ.

მე მჯერა, რომ სიყრუესთან და სიჩლუნგესთან, ფორმალიზმსა და რუტინასთან ერთად ჩვენი განათლება სენტემენტალიზმის არანაკლები ბოროტებითაა შეპყრობილი.

მე მჯერა, რომ ეს სენტიმენტალიზმი მოქმედებისა და გრძნობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის მცდელობის აუცილებელი შედეგია.

მუხლი მეხუთე: სკოლა და სოციალური პროგრესი

მე მჯერა, რომ განათლება სოციალური პროგრესისა და გარდაქმნის ფუნდამენტური მეთოდია.

მე მჯერა, რომ ყველა რეფორმა, რომელიც მხოლოდ კანონთა ამოქმედებას, სასჯელის მუქარას ან მექანიკურ თუ გარეგან ღონისძიებებს ეფუძნება, წარმავალია და ამაო.

მე მჯერა, რომ განათლება საზოგადოებრივ ცნობიერებაში ჩართვის პროცესს ემსახურება და ამ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე დაყრდნობით ინდივიდუალური აქტივობის მონესრიგება სოციალური რეკონსტრუქციის ერთადერთი სანდო გზაა.

მე მჯერა, რომ ეს კონცეფცია პატივს მიაგებს, როგორც ინდივიდუალისტურ, ასევე სოციალისტურ იდეალებს. ის, როგორც მართებული ცხოვრების წესი, ერთადერთი ჭეშმარიტი საფუძველი, ჯეროვნად ინდივიდუალურია, რადგან კონკრეტული ხასიათის ჩამოყალიბებას გულისხმობს. ის სოციალისტურია, ვინაიდან მიიჩნევს, რომ ეს ხასიათი არამარტო ინდივიდუალური აღქმის, მაგალითისა და მოწოდების საფუძველზე, არამედ უპირატესად ინდივიდზე გარკვეული ინსტიტუციური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმის გავლენით უნდა ყალიბდებოდეს და რომ სოციალური ორგანიზმი სკოლის, როგორც მისი ორგანოს საშუალებით, ეთიკის მიზნებს უნდა ადგენდეს.

მე მჯერა, რომ იდეალურ სკოლაში ინდივიდუალისტური და ინსტიტუციონალური იდეალები ერთმანეთთან თანხმობაშია.

მე მჯერა, რომ როგორც კი საზოგადოება ამ მიმართულების განვითარების შესაძლებლობებს გააცნობიერებს და მის ვალდებულებებს აღიარებს, განათლების სპეციალისტის განკარგულებაში უამრავი დრო, ყურადღება და ფინანსური რესურსები აღმოჩნდება.

მე მჯერა, რომ განათლებით დაინტერესებული ყველა პირი საქმეს სკოლის, როგორც სოციალური პროგრესისა და რეფორმატორის, უმთავრეს და ყველაზე ეფექტურ საშუალებად აღიარების დაჟინებული მოთხოვნაა. მისი მიზანია, საზოგადოებამ გამოიღვიძოს და გაიაზროს, თუ რისთვის არსებობს სკოლა და გააცნობიეროს, რომ მასწავლებლები თავისი მოვალეობის სათანადოდ შესრულებისთვის საკმარისი რესურსებით უნდა აღჭურვოს.

მე მჯერა, რომ ამგვარად გაგებული განათლება, მეცნიერებისა და ხელოვნების ყველაზე სრულყოფილ და უშუალო ერთობას ქმნის, რომლის წარმოსახვაც შესაძლებელია მხოლოდ საკაცობრიო გამოცდილებით.

მე მჯერა, რომ ამგვარად ადამიანის შესაძლებლობათა და მათი საზოგადოების სამსახურში ჩაყენება უზენაესი ხელოვნებაა; იგი თავის სამსახურში საუკეთესო ხელოვნებას უხმობს; ამგვარ საქმე-

ში არანაირი ალლო, სიმპათია, ტაქტი, შესრულების უნარი არ არის გადაჭარბებული.

მე მჯერა, რომ ფსიქოლოგიური მეცნიერების საშუალებით, რომელიც ინდივიდის სტრუქტურისა და განვითარების კანონების წვდომის საშუალებას იძლევა, სოციალური მეცნიერების განვითარებას ითვალისწინებს, ინივიდთა სწორი ორგანიზების შესახებ ჩვენს ცოდნას ამდიდრებს, შესაძლებელია საგანმანათლებლო მიზნების ყველა სახის სამეცნიერო რესურსის ამუშავება.

მე მჯერა, რომ როდესაც მეცნიერება და ხელოვნება საერთო ძალით ერთიანდება, მიიღწევა წარმართველი ადამიანური ქცევა, მოქმედების ნამდვილი სათავეების გაცოცხლება და უდიდესი ძალისხმევა, რაც ადამიანურ ბუნებას ძალუძს განიოს.

მე მჯერა, რომ მასწავლებელი არა მხოლოდ ინდივიდთა წვრთნითაა დაკავებული, არამედ ის მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმირებაში.

მე მჯერა, რომ თითოეულმა მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს საკუთარი მონოდეების კეთილშობილება, რომ ის საზოგადოების მსახურია, რომელიც სათანადო წესრიგის შენარჩუნებისა და საზოგადოების ჭეშმარიტი გზით განვითარების უზრუნველსაყოფად განანესეს.

მე მჯერა, რომ ამ გაგებით მასწავლებელი მუდამ ჭეშმარიტი ღმერთის წინასწარმეტყველი და წინამძღოლია ღვთის ჭეშმარიტი სასუფეველისაკენ.

წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს – სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა – კი გონების გახსნასა და მსჯელობის განვითარებაზე. საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი კაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს. ეს კაი კაცობა და კაი კაცობის შემძლებლობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს. ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია.

ილია ჭავჭავაძე

ეკონომიკური სენი და ნაგალი

იაკოვ გოგაეაშვილი

კუბლიცისტიკა

ამას წინადა „ცნობის ფურცელი“ შეეხო ქართულის ენის უნუგემო მდგომარეობას სხვა-და-სხვა საშუალო სასწავლებელში როგორც სავაჟო, ისე საქალოში. ოფიციალური სტატიკური ცნობების გამოქვეყნებით, წერილის ავტორმა ცხადჰყო, რომ დედა-ენას ზოგს სასწავლებელში სწავლობს მხოლოდ მეოთხედი ქართველი მოსწავლეთა რიცხვისა, ზოგში – მესამედი, ზოგში – ნახევარი, და ამაზედ მეტი-კი – ძალიან იშვიათად. ჩვენ ამ საკითხსავე ორიოდ წლის წინადა ვუძღვნიტ წერილი ქართულს ენაზედ და ცალკე დაბეჭდილს ნიგნაკში-აც ვრცლადა განვმარტეთ იგი; მაგრამ თავი არავინ შეინყინა, ბანდი არავინ მოგვცა და საქმე ჩაჩუმდა. ახლაც ეს ჩაჩუმება ერგება წილადა ამ დიდს საკითხს, თუ საზოგადოება ჯეროვანს ყურადრებას არ მიაპყრობს და ქართველი კალმოსანნი დაიზარებენ ბანის მიცემას. ჩვენებურს კალმოსანთ ხშირად, ძალიან ხშირად ავინყდებათ, რომ ერთი განმრატოებული ხმა, თუნდაც იგი არ იყოს მოკლებული ძალას, ვერას დროს ვერ შეიძლებს დაბადოს მოძრაობა ჩვენს მიძინებულს საზოგადოებაში და გამოიწვიოს პრაქტიკული ღონისძიებანი მთხოვნელობის დასაკმაყოფილებლადა. რათა სიტყვა საქმედ იქცეს, წადილი განხორციელდეს, საჭიროა მთელი გუნდის მონაწილეობა, ხმის ამალლება ბევრისაგან, კანონიერი პროპაგანდა, ერთი სიტყვით, ხორო მლადადებელთა. ამ მოსაზრების ძალიტ, ჩვენ მოვინადინეთ მხარი დავუჭიროთ წერის ავტორს, მივსცეთ მას ბანი და ჩვენი წვლილი შევიტანოთ საკითხის გამოკვლევაში. სხვებსაც ამასვე ვურჩევთ და ვთხოვთ კიდევც.

უპირველესადა ყოვლისა ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ დედაენის უსწავლელობა სკოლაში ბევრად უფრო მაზარალებელია და მავნებელი ქართველ მოსწავლეთათვის, ვიდრე სხვა კავკასიელის ბავშვებისათვის. მოზარდი თაობა ყველა კავკასიელის ხალხისა სწავლობს დედა-ენაზე ყველა სასწავლებელში, პირველი კლასიდან დაწყებული უკანასკნელ კლასამდე, ერთს განსაკუთრებულ საგანს, რომელსაც საღმრთო სჯული ჰქვინან. ამ საგნის სახელმძღვანელოები ყველა მონაფეს აქვს ხელში, კითხულობენ მას, იზეპირებენ, ეჩვევიან მსწრაფლს კითხვას მშობლიურის ნიგნებისას, ითვისებენ თავისს ძველსა და ახალს ენას და ორგანულად უკავშირებიან თავისს ერსა. დაუმატეთ ამას ისიც, რომ საღმრთო სჯულის მასწავლებლები ღვიძლი შვილები არიან იმავე ერისა, მამობრივი სიყვარულიტ ექცევიან თვის მონაფეებს, მუდამ ესაუბრებიან მათ ღვიძლს ენაზედ, უქადაგებენ ზნეო-

ბასა და სარწმუნოებას ბუნებრივი ენით, და თქვენთვის ცხადი შეიქმნება, თუ რა სახარბიელო უფლება აქვთ ამ კავკასიელს ერებსა. როგორც კარგად მოგეხსენებათ, საღმრთო სჯულს ყველა სასწავლებლებში ქართულს ბავშვებს ასწავლიან რუსებთა ერთად ამ უკანასკნელების ენაზე და ასწავლიან უმეტესად არა ქართველნი. ჩვენი შვილები მოკლებულნი არიან სრულიად არამც თუ ქართულს სახელმძღვანელოებს საღმრთო სჯულისას, არამედ თვალითაც ვერ ხედავენ ქართულს სახარებასა და დაბადებასა და დანატრებულნი არიან მამობრივს დარიგებას ღვიძლი ენის საშუალებით.

ამის გამო, თუ სხვა კავკასიელი ბავშვი არ ივლის თავისი ენი გაკვეთილებზედ, ამით იგი არ მოსწყდება სამშობლო ნიადაგსა, რადგანაც მასთან აკავშირებს მას საღმრთო სჯულის სწავლება დედა-ენაზე, როგორც ვსთქვათ. მაგრამ თუ ქართველი ბავშვი გაურბის და არ ეკარება ქართულის ენის გაკვეთილებს, იგი ჰკარგავს ერთად ერთს შემაერთებელს კავშირს სამშობლოსთან, სწყდება ეროვნულს ხესა, ემსგავსება მოჭრილ ტოტსა და გზა დაბნეული არსების ბედს იმზადებს...

აი რისთვის უნდა ჩაითვალოს ორ-კეც და სამ-კეც უბედურებად ის სავალალო მოვლენა, რომ მხოლოდ მცირედი ნაწილი ქართული მოზარდი თაობისა სწავლობს თავის დედა-ენას სხვა-და-სხვა სასწავლებელში, უმრავლესობა-კი სრულიად მოწყვეტილია ამ ეროვნულს წყაროსა.

მიზეზად ამ მეტად სამწუხარო მოვლენისა ჩვენმა ავტორმა დაასახელა გულ-გრილობა დედა-ენისადმი ქართველ მშობელთა და ამით გაათავა სიტყვა. სწორედ წინ-დაუხედველობა მოუვიდა, და აი რად. მან ამით იარაღი მისცა ხელში იმ შავრაზმელებს, რომელნიც ლაქლაქებენ, რომ ქართული ენა თვით ქართველებსაც აღარ უნდათო. ეს უძღვები პოლიტიკანები თავისს საკბილოს ვერაფერს იპოვნინდნენ ავტორის წერილში, თუ რომ მას გაეგრძელებინა სიტყვა, გაეფურჩქნა თავისი აზრი და ყოველმხრივ მოეფინა ნათელი საგნისათვის. მან თავი არ შეიწყინა. და ეს გარემოება იძულებულს გვყოფს მისგან შუა გზაზე დატოვებულს ეტლს ჩვენ შევებათ და შეძლებისამებრ ვეცადოთ მივაგოროთ იგი ბინამდი, თუ ამინდმა არ გვიღალატა.

მართალია, სრული მართალი, რომ აღნიშნულს სამწუხარო მოვლენაში გულ-გრილობას ქართველი მშობლებისას ადგილი აქვს, წილი უძევს. მაგრამ ეს გულ-გრილობა ერთი მრავალთაგანი მიზეზია, და არა ერთად ერთი. ხოლო ვიდრე ამ მიზეზს გამოვარკვევდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ამ გულ-გრილობას ისტორიული სარჩული გავუშინჯოთ.

მრავალთა საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ურიცხვნი მტერნი სულ იმას ცდილობდნენ, რომ სარწმუნოება წაერთმიათ ჩვენთვის და თავის რჯულზე გადაეყვანათ. ჩვენი ენის წართმევაზე-კი, მის ამოფხვრასა და გაუქმებაზე არამც თუ არა ფიქრობდნენ,

პირიქით, თვითონაცა სწავლობდნენ. ჩვენი სარწმუნოების დევნით სავსებით სავსეა საქართველოს წარსული; მაგრამ დიოგენის ფარნითაც ვერ მიაგნებ იქ ენის დევნასა. ამის გამო ჩვენი წინაპარნი იბრძოდნენ მხოლოდ სარწმუნოებისათვის და ამ ბრძოლაში უკანასკნელს ხარისხამდე გაიწვრთნენ და სიმტკიცე ფოლადისა მოიპოვეს. ენისათვის ბრძოლა-კი მათ სრულიად არ იცოდნენ, რადგანაც ამ ეროვნულს საუნჯეს მათ არავინ ართმევდა, არავინ აუქმებდა, არავინ სჩაგრავდა... რუსეთთან შეერთების შემდეგ სარწმუნოება უზრუნველყოფილ იქნა; მაგრამ ბევრი ქართველი ვერა გრძნობს, ვერ ამჩნევს ხიფათს და განსაცდელს, რომელიც მოელის მის დედა-ენას, და არა ზრუნავს შესაბამის ღონისძიებაზე. პირიქით, დარწმუნებულა, რომ როგორც სარწმუნოებას, ისე ენას არაფერი დაუშავდება. აბა ამისთანა ქართულის ენის გაკვეთილებზეო, და იგი გულწრფელად მოგიგებს: „ქართული ენა სად წაუვიათ, შემდეგშიც მოასწრებენ მის შესწავლასაო“. მაგრამ ასე ფიქრობენ მხოლოდ უბირი გონების პატრონნი. სხვებს-კი კარგად აქვთ შეგნებული სიბრძნე ქართულის ანდაზისა: მიმპარავი ძალი უარესია მყეფარზედაო. ამ უკანასკნელებს კარგად ესმით მშობლიური ენის მნიშვნელობა, ესმით, რომ იგი არის მთავარი ბურჯი ერის არსებობისა და წარმატებისა, ესმით, რომ დედა-ენის შეუსწავლელობა მათს შვილებს დააქვეითებს ზნეობითაც, გონებითაც, ხასიათითაც და მისწრაფებითაც, მაგრამ მაინც ვერ ავალებენ თავის შვილებს – უთუოდ იარონ ქართულის ენის გაკვეთილებზე.

რა უშლის მათ ხელსა, რა უბნევს გზასა და რა ჰყოფს იძულებულს უკუღმართად მოიქცნენ? ქართულის ენის სწავლება სკოლებში ჩაყენებულია ყოვლად შეუძლებელს გარემოებაში. აი ნამდვილი მიზეზი ამ სავალალო მოვლენისა.

ავილოთ ჯერ რიცხვი გაკვეთილებისა. როგორც მოგეხსენებათ, ქართულის ენისათვის დანიშნულია პირველს და მეორე კლასში ორ-ორი გაკვეთილი, მესამეში და მეოთხეში კი თითო-თითო. მეხუთე კლასიდან დაწყებული ქართულის ენის ჭაჭანებაც აღარ არის. ეს ისეთი უკიდურესი სიმცირეა დროისა, რომ სწავლება ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუნდა ყველა სხვა გარემოება ხელს უწყობდეს მას. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ყველაფერი სხვაც ხელს უცარავს სწავლებასა.

თვით დრო ქართულის გაკვეთილებისა ყოვლად შეუფერებელია. ქართულს ენას ნარგუნები აქვს დამატებითი მეექვსე საათი. ბავშვებმა ჯერ უნდა გაათავოს ხუთი გაკვეთილი სხვა-და-სხვა საგნებისა და შემდეგ ეწვიოს თავის დედა-ენასა. ეწვიოს მაშინ, როდესაც იგი სრულიად დაღლილ-დაქანცულია. რა გულით და რა ყურადღებით უნდა მოეკიდოს ხუთი საათის ჩიჩინით ილაჯ-განწყვეტილი ბავშვი თავის ენის გაკვეთილსა? რის შესწავლა შეუძლიან მას? მას ამ დროს ესაჭიროება, უკიდურესად ესაჭიროება, დასვენება, და დასვენების

მაგივრად ხელ-ახლად სმენ ხმელ სკამზე და ისევ წიგნს აჩეჩებენ ხელში... მიუხედავად ამისა, ცოცხალი, მცოდნე და ხალისიანი მასწავლებელი ქართული ენისა მოახერხებდა ბავშვებში აღეძრა ხალისი საგნისადმი და ნაყოფიერად ეშრომა; მაგრამ სად არის ამისთანა მადლიანი მასწავლებელი? ქართულს ენას აბარებენ იმისთანა სულიერებს, რომელთაც არც ცოდნა აქვთ, არც ხალისი საქმისა, მოკლებულნი არიან უნარსა და მთელს გაკვეთილებს ატარებენ მთქნარების და თვლენაში. და ასეთს მკვდარს სწავლაში მშობლები ვალდებულნი არიან ცალკე საფასი აძლიონ, რაც მძიმე ტვირთს შეადგენს ქართული ცალიერი ჯიბისათვის.

ყველასათვის ცხადია, ვგონებ, თუ რა ღონისძიებით შეიძლება ვიხსნათ ჩვენი ენა იმ ჭაობიდან, რომელშიაც იგი არის ჩაფლული, და დავაყენოთ სწორე და ფართო გზაზე, ქართული ენა უნდა გახდეს სავალდებულო საგნად ყველა ქართველთათვის, მიენიჭოს სრული უფლება საშტატო საგნისა და ისწავლებოდეს იმ დროს, როდესაც ისწავლება ყველა სხვა საგნები, ხუთის ნორმალურის საათის განმავლობაში, და არ ებას სასწავლებლებს რალაც უმნიშვნელო კუდად. მის მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ იგივე ცენზი, იგივე სამსახურის უფლება და ეძლეოდეთ იმდენივე ჯამაგირი ხაზინიდან, რა ცენზიც მოეთხოვება, რა უფლებაც აქვს და რა ფასიც ეძლევა სხვა საშტატო საგნების მასწავლებელთა.

ასე იყო უნინ, ასე უნდა დანესდეც ახლაც.

თუ იყო, რად გაუქმდა, ეს მადლიანი წესი? ქართულს ენას ხომ არ დაედო რაიმე ბრალი, და დასასჯელად მას სავალდებულო საგნის უფლება ჩამოართვესო? შეიძლება იკითხოს ზოგმა მკითველმა.

ახლად შობილი კრავი არ იქნება ისე უბინყო, როგორც უბინო და უბრალო იყო ქართული ენა ყოველ მხრივ და მას არავინ არც სდებდა რაიმე ბრალსა. საქმე უკუღმა დატიალდა გარეშე მიზეზით. მესამოცე წლებში, როგორც მკითხველს ეხსომება, პოლონელებს შეცდომა მოუვიდათ და რუსეთს აუჯანყდნენ. მალე დამარცხდნენ და დამორჩილებულ იქმნენ. დასასჯელად დაჰკარგეს ბევრი სიმართლე და მათ შორის პოლონურს ენასაც ჩამოერთვა საშტატო საგნის უფლება. თუმცა ქართველებს ეს ცოდო არ ჩაუდენიათ, და მუდამ სამაგალითო ერთგულებით ემსახურებოდნენ სახელმწიფოსა, მაგრამ მათს ენასაც ის დღე დაადგა, რაც პოლონელების ენასა. ეს იყო მესამოცე წლების ბოლოსა. მასუკან გარემოება ბევრად შეიცვალა, პოლონურმა ენამ დაკარგული უფლება მეორედ მოიპოვა, ამავე უფლებით სარგებლობენ არამც თუ ფილიანდიელები, არამედ სარტებიც-კი საშუალო აზიაში, რომელთა ენასაც სავალდებულო და საშტატო საგნის უფლება მიენიჭა სამის წლის წინად; მაგრამ საწყალი ქართული ენა კი ისევ იმ შავს მაზრაშია გახვეული, რომელიც მას ოცდა ათის წლის წინად წამოასხეს, და ამ შავი მაზარის თავიდან მოუშორებლობა პირდაპირ შედეგია ჩვენის თავად-აზნაურობისა, ჩვენის ლიტერატურისა და ჩვენის მოღვაწეების უზრუნველობისა.

დროა, გამოვიფხიზლოთ, უზრუნველობას თავი დავახნიოთ და ჯეროვანი სიმხნე გამოვიჩინოთ დედა-ენის უფლების აღსადგენად და მისს ასაყვავებლად. დროა, სავსებით შევიგნოთ ჩვენი მაღალნიჭიერის პოეტის გრიგოლ ორებლიანის ლექსის მნიშვნელობა:

**„რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს,
ჩირქი მიეცხოს ტაძარსა წმიდას“.**

დროა, გონს მოვიყვანოთ ჩვენი თავი შემდეგი სიტყვების მოგონებით, რომელიც დაბეჭდა თავის წლიურს ანგარიშში ყოფილმა მზრუნველმა კავკასიის ოლქისამ იანუარი ნერვეროვემა, როდესაც ჰმარტავდა საჭიროებას ქართულის ენის საფუძვლიანად შესწავლისას: Нет оброщения без возможно полного знания своего родного языка как орудия мысли“. ფრიად საგულისხმოა მშიშარა ქართველებისათვის აგრეთვე შემდეგი მსჯელობა მხურვალე რუსი პატრიოტის გადაევისა, რომელიც ამბობს: „Для того, чтобы грузин был хорошим русским подданным, он должен быть с начала хорошим грузином“.

ვინ უნდა იკისროს ჯეროვანი შუამდგომლობა მთავრობის წინაშე? რასაკვირველია, თავად-აზნაურობამა. ამას ავალებს მას შემდეგი ორი მიზეზი: ჯერ ერთი ესა, რომ ამგვარი შუამდგომლობის უფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ თავად-აზნაურობასა და სხვას არავის, მეორედ, საშუალო და სამოქალაქო სასწავლებლებში დიდს უმარვლესობას ქართველის მონაფეებისას შეადგენენ თავადთა და აზნაურთა შვილები. იმერთა თავად-აზნაურობამ უკვე აღძრა ამ გვარი შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, გზა უკვე გაუკვლია საქმესა და ამერთა თავად-აზნაურობას მხოლოდ ისლა დარჩენია, რომ თავისთავის და ქვეყნის სასიკეთოდ ამ გზასვე დაადგეს და ბანი მისცეს თავი დასავლეთს მოძმეებსა. უკან დგომა, ან განზე განწევა სამარცხვინოც იქნება და მავნებელიცა.

ეს შუამდგომლობა უეჭველად გასჭრის, მეტადრე ამ ჟამად, როცა განათლების სამინისტრო სასწავლებელთა რეორგანიზაციას, გადაკეთებას შესდგომია; გასჭრის, თუ იგი შუამდგომლობა გულიანად იქნება აღძრული და საფუძვლიანად დასაბუთებული.

რედაქციისაგან: ასე რთულ გზაგამოვლილი ჩვენი მშობლიური ენა, რომელსაც უდიდესი ღვაწლი შეაღია იაკობ გოგებაშვილმა, განსაკუთრებით მოსავლელი, გასაფრთხილებელი და დასაფასებელია დღეს, რისთვისაც ყველაზე მეტად სკოლამ, მასწავლებელმა, მშობელმა და მოსწავლემ უნდა იზრუნოს. ერის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად პირველ რიგში დედაენის გადარჩენა გვჭირდება.

ავტორთა საყურადღებოდ!

**ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებისათვის“ განკუთვნილი
მასალები არ უნდა აღემატებოდეს ჩვეულებრივი ფორმატის
ქაღალდის 12-15 გვერდს. მასალები აკრეფილი უნდა იყოს
„Microsoft Word“-ში და გადმოგზავნილი
ელ. ფოსტაზე: chafidzegari@yahoo.com
მინიშნებით „სკოლა და ცხოვრება“.**

**წერილებს უნდა ახლდეს ცნობები ავტორების შესახებ:
გვარი, სახელი (სრულად), მისი პროფესია – საქმიანობა,
წოდება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, წინააღმდეგ
შემთხვევაში წერილი არ განიხილება.**



9772587455009